

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინსტიტუტი ტექნოლოგიების

ჰუმანიტარული რეფერატული ჟურნალი

#3, 2023

თბილისი

მთ. რედაქტორი: **ირმა რატიანი** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი)

მთ. რედაქტორის
მოადგილე **ფიქრია წოწკოლაური** (ინსტიტუტი ტექინფორმი)

სარედაქციო კოლეგია: **ირინა ბედინაშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მაკა ელბაქიძე** (შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), **მადონა კოპალეიშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **დავით ლომიტაშვილი** (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო), **ნელი მახვილაძე** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **ჯაბა სამუშია** (შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი), **მარინე ქავთარაძე** (თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია), **ლია ქაროსანიძე** (ოსუ, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი), **მზია ლოდელიანი** (ინსტიტუტი ტექინფორმი), **მანანა შეყილაძე** (ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია), **თეიმურაზ ჩუბინიშვილი** (ინსტიტუტი ტექინფორმი)

ინგლისური ტექსტის
რედაქტორი **ვალერი სარჯველაძე**

საკონტაქტო მისამართი: **თბილისი, ტექინფორმი, კოსტავას 47**
ტელ.: 233 53 15; 233 51 22
ელ. ფოსტა: tech@gtu.ge
https://techinformi.ge

© ტექინფორმი
<https://techinformi.ge>

გამომცემლის ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია გამოცემის რომელიმე ნაწილის რეპროდუცირება ან გადაცემა ნებისმიერი ელექტრონული, მექანიკური თუ ფოტოგადამღები საშუალებით, ან შეტანა ნებისმიერი სახის საძიებელ სისტემაში გამომცემლის ნებართვის გარეშე. განაცხადი ნებართვის მიღებაზე ეგზავნება ტექინფორმს, ამასთან წერილობითი ნებართვის აღება საჭიროა მოხდეს მანამ, სანამ გამოცემის რომელიმე ნაწილი შეიტანება ნებისმიერი სახის საძიებელ სისტემაში.

წინასიტყვაობა

რეფერატული ჟურნალი ასახავს საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციებს ჰუმანიტარული მეცნიერებების სფეროში. მასში მოცემულია სამეცნიერო სტატიების, მონოგრაფიების, დისერტაციების, ჩატარებული კონფერენციების მოხსენებების რეფერატები ისტორიისა და არქეოლოგიის, ენისა და ლიტერატურის, ფილოსოფიის, რელიგიის, ხელოვნების დარგებში.

ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური სფეროს პუბლიკაციების რეფერატული ჟურნალი გამოიცემა 2000 წლიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ ტექნიფორმის მიერ. მის ბაზაზე შექმნილია ქართულ-ინგლისურენოვანი მონაცემთა ბაზა „**საქართველოს სამეცნიერო პუბლიკაციები**“, რომელიც თავისუფალი წვდომის რეჟიმში განთავსებულია ინტერნეტში. აღნიშნული ბაზის შევსება ჰუმანიტარული მეცნიერებების პუბლიკაციებით დაგვიანებული, მაგრამ უდავოდ საშური საქმეა.

ჰუმანიტარული მეცნიერებების ქართული რეფერატული ჟურნალი ორენოვანია, გამოიცემა ქართულ და ინგლისურ ენებზე. რეფერატები სისტემატიზებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო კვლევების კლასიფიკატორის მიხედვით. ჟურნალს თანდართული აქვს ავტორთა და თემატური საძიებლები.

ახალი რეფერატული ჟურნალი გააფართოებს საქართველოს მეცნიერთა პუბლიკაციების გავრცელების არეალს და ხელს შეუწყობს კვლევებში მონაწილე პარტნიორების მოძიებას.

სარედაქციო კოლეგია

თემატური რუბრიკები

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სამეცნიერო დარგების კლასიფიკატორის (FOS) მიხედვით

6. Humanities

6.1 History & archaeology

History (*history of science and technology to be 6.3, history of specific sciences to be under the respective headings*)

Archaeology

6.2 Languages & literature

General language studies

Specific languages

General literature studies

Literary theory

Specific literatures

Linguistics

6.3 Philosophy, ethics & religion

Philosophy, history & philosophy of science & technology

Ethics (*except ethics related to specific subfields*)

Theology

Religious studies

6.4 Arts (arts, history of arts, performing arts, music)

Arts, art history

Architectural design

Performing arts studies (musicology, theater science, dramaturgy)

Folklore studies

Studies on film, radio & television

6.5 Other humanities

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.1 ისტორია და არქეოლოგია

ისტორია (*მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია უნდა იყოს რუბრიკაში 6.3, ცალკეული მეცნიერებების ისტორია უნდა გაერთიანდეს შესაბამის რუბრიკებში*)
არქეოლოგია

6.2 ენა და ლიტერატურა

ზოგადი ენათმეცნიერება

ცალკეული ენები

ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა

ლიტერატურის თეორია

ცალკეული ლიტერატურული

მიმდინარეობები

ენათმეცნიერება

6.3 ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია

ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია

ეთიკა (*გარდა ცალკეული დარგების ეთიკისა*)
თეოლოგია

რელიგიათმცოდნეობა

6.4 ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, სასცენო ხელოვნება, მუსიკა)

ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

არქიტექტურული დიზაინი

სამშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (*მუსიკათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, დრამატურგია*)

ფოლკლორისტიკა

კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში

6.5 სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

შინაარსი

რეფერატულ ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები	6
წინამდებარე ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები	7
თემატური რუბრიკები	
6. ჰუმანიტარული მეცნიერებები	
6.1. ისტორია და არქეოლოგია	8
6.1.1. ისტორია	8
6.1.2. არქეოლოგია	14
6.2. ენა და ლიტერატურა	16
6.2.1. ენების ზოგადი კვლევები	16
6.2.2. ცალკეული ენები	18
6.2.3. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა	21
6.2.4. ლიტერატურის თეორია	26
6.2.5. ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები	30
6.2.6. ენათმეცნიერება	32
6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია	47
6.3.1. ფილოსოფია, მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია	47
6.3.2. ეთიკა (გარდა ცალკეული დარგების ეთიკისა)	47
6.3.3. თეოლოგია	48
6.3.4. რელიგიათმცოდნეობა	48
6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)	51
6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია	51
6.4.2. არქიტექტურული დიზაინი	52
6.4.3. საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრთმცოდნეობა	53
6.4.4. ფოლკლორისტიკა	57
6.4.5. კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში	58
6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები	58
ავტორთა საძიებელი	63
თემატური საძიებელი	66

რეფერატულ ჟურნალში ასახული სამეცნიერო გამოცემები

1	საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე	ISSN 0132-1447
2	ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები	ISSN 2233-3363
3	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, სამეცნიერო ჟურნალი სჯანი	e-ISSN 2346-772X ISSN 1512-2514
4	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ჟურნალი განათლება	ISSN 2346-8300
5	საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი სპექტრი	ISSN 2587-4810 e-ISSN 2720-8389
6	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული	ISSN 1512-0600
7	ჟურნალი ენა და კულტურა	ISSN 1987-7323
8	სამხრეთ კავკასია – არქეოლოგიური კონტექსტი	E ISSN 2667-9353
9	ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი)	ISSN 1512-2018
10	ჟურნალი ნოვაცია	ISSN 1512-3715
11	ჟურნალი გონი	ISSN 1512-066X

წინამდებარე ჟურნალში ასახული პერიოდული გამოცემები

1. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #2, #4; 2023. – ტ. 17. – #1, #2.
2. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX; 2021. – XXI.
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2022. – #3(525)
4. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35).
5. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2023. – #1(21)
6. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27, #28.
7. ჟურნალი სპექტრი. – 2022. – #6.
8. ჟურნალი ნოვაცია. – 2023. – #31.
9. ჟურნალი გონი. – 2023. – #9.
10. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი). – 2023. – #2 (28).

6. ჰუმანიტარული მეცნიერებები

6.1. ისტორია და არქეოლოგია

6.1.1. ისტორია

3.6.1.1.1. ინტერესთა შეუთავსებლობა და ტერიტორიულსასაზღვრო საკითხები საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობებში 1919-1921 წლებში. /ნ. ზოსიძე, რ. მაღაყმაძე, ე. დიასამიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #4. – გვ. 127-134. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ისტორიულ წარსულში საქართველო ახერხებდა არათუ დაეცვა თავისი სახელმწიფო საზღვრები, არამედ გაეგრძელებინა გავლენა მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიაზე. საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო რეჟიმი მეზობელ სახელმწიფოებთან ხშირად ქვეყნის შიდაპოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ისტორიულ-ტერიტორიული სახელმწიფო საზღვრები დღეს არსებული რეალობიდან ძალიან შორს დგას. ამ მხრივ, ერთ-ერთი რთული მონაკვეთი 1919-1921 წლების საქართველო-ოსმალეთის სასაზღვრო ხაზი იყო. XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის მიერ ფეოდალური ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსიის შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთის იმპერიების სახელმწიფო საზღვრები საქართველოს მონაკვეთზე რამდენჯერმე შეიცვალა. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს საქართველოს დაუბრუნდა ისტორიული მიწა-წყალი, რითაც ქვეყნის სასაზღვრო ხაზი ამ მონაკვეთზე მიუახლოვდა ისტორიულ რეალობას და იყო მისი კიდევ უფრო გაფართოების შანსი (პირველი მსოფლიო ომის დროს). საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყნის ხელისუფლება ძალასა და ენერგიას არ იშურებდა სახელმწიფო საზღვრის დასაცავად. საქართველოს ხელისუფლებას საზღვრებთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან – რუსეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან, რაც კავკასიაში რუსეთის იმპერიის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობიდან გამომდინარეობდა (სამწუხაროდ, ეს რეალობა დღესაც აქტუალურ ხარისხშია). თავის დროზე რუსეთის იმპერიამ შეგნებულად მოშალა ამ ქვეყნებთან საქართველოს ისტორიული საზღვრები. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა ცდილობდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა ისტორიულ საზღვრებში შეენარჩუნებინა, თუმცა მაშინ არსებული საშინაო და საგარეო მდგომარეობის პირობებში რთული იყო ამის მიღწევა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თურქეთთან სასაზღვრო რეჟიმის 1914 წლამდე არსებული რეალობის შენარჩუნებას ცდილობდა, რასაც, ცხადია, ოსმალეთის იმპერია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. იმჟამინდელ ოსმალეთის იმპერიას (თურქეთის სულთანათს!!!) ზურგს უმაგრებდა სხვადასხვა საერთაშორისო გადაწყვეტილებები. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე ხელჩასაჭიდი მათთვის ბრესტის ზავი იყო, რომელიც საკმაოდ რთულ ვითარებაში გაფორმდა, ყოველ შემთხვევაში, მომავალი ახალი საქართველოსათვის მეტად არახელსაყრელი პირობებით. ლიტ. 12.

ავტ.

3.6.1.1.2. თანამედროვე ომის „მთავარი იარაღი“. XXI საუკუნის გამოწვევები. /კ. ჭაფოძე/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI. – გვ. 3-16. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

წარმოდგენილია თანამედროვე „მთავარი იარაღის“ სწორად განსაზღვრის აქტუალობა, როგორც ომისა და ომის წარმოების გამოწვევებთან გამკლავების გასაღები. შინაარსობრივად „მთავარი იარაღი“ აღქმულია არა მხოლოდ როგორც ტექნოლოგიური წინსვლის შედეგი, არამედ როგორც სამხედრო თეორია შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებით, დოქტრინული განვითარებითა და სამხედრო ძალებში ორგანიზაციული ცვლილებების დანერგვით. ხაზგასმულია I და II

მსოფლიო ომების პერიოდში დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომები, რომლებიც დაკავშირებული იყო „მთავარი იარაღის“ სწორად განსაზღვრასთან. ნაშრომში განხილული მაგალითებიდან ნათლად ჩანს, თუ რა გავლენა ჰქონდა ტექნოლოგიური წინსვლის საშუალებებს ომის წარმოებაზე და რა შეცდომები დაუშვეს, რაც გამოწვეული იყო სამხედრო საქმეში გატარებული არასრულფასოვანი რევოლუციური მეთოდებით. სტატიაში მნიშვნელოვან გამოწვევად არსებულ რეალობასთან მორგებული ხედვის კრიზისია დასახელებული, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ტექნოლოგიური წინსვლა უნდა აღვიქვათ ადეკვატურად და ამისათვის შევქმნათ შესაბამისი დოქტრინული ბაზა და შევიტანოთ აუცილებელი ორგანიზაციული ცვლილებები ჩვენი თავდაცვის ძალების შემადგენლობაში, რათა ტექნოლოგიური წინსვლის შესაძლებლობები მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული. საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო განზომილებებში გავრცელებული უახლესი ტექნოლოგიური მიღწევები, უპილოტოდ მართვადი სახმელეთო, საზღვაო თუ საჰაერო პლატფორმები წარმოადგენს მომავლის ომის „მთავარ იარაღს“. ეს ის უახლესი ტექნოლოგიური საშუალებებია, რომლებიც ომის წარმოების პირობებს მნიშვნელოვნად შეცვლის მომავალში. ლიტ. 19.

ავტ.

3.6.1.1.3. ნიკო ნიკოლაძე და გაზეთი „Огонь“–ი რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთების შესახებ. /გ. ბასილაძე/. ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 129-134. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

XIX საუკუნე უაღრესად რთული და საინტერესო პერიოდია ქართველი ხალხის ისტორიაში. ეს არის საუკუნე, რომელიც გამოირჩევა ისეთი საპირისპირო მოვლენებით, როგორიცაა სახელმწიფოებრიობის დაკარგვა, ეროვნულობის გამოღვიძება, ისტორიული მიწებისა და მოსახლეობის კვლავ მშობლიურ მიწა-წყალთან შეერთება, რუსეთის იმპერიის წიაღში, ქართველი ხალხის ერთ-ერთ ერად ჩამოყალიბება და ასე შემდეგ. ცარიზმის უღელქვეშ ქართველმა ხალხმა შეძლო არამარტო გადარჩენა და კონსოლიდაცია, არამედ საუკუნეების განმავლობაში დაკარგული მიწებისა და მოსახლეობის დაბრუნება. ამ პროცესებში აქტიურად იყო ჩართული ქართული პატრიოტული ინტელიგენცია, რომელიც რუსეთის ძალას უკავშირებდა ოსმალეთის იმპერიის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას. ამ შემთხვევაში საქართველოს ეს ისტორიული ტერიტორიები ერთი დამპყრობელიდან მეორეს ხელში გადადიოდა, მაგრამ ტერიტორიული გამთლიანება, თუნდაც კოლონიურ პირობებში, თავისთავად პროგრესული აქტი იყო. ყოველივე ეს ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა შეგნებული. ამიტომ იგი აქტიურად მონაწილეობდა რუსეთ-ოსმალეთის 1806–1812, 1828–1829 და 1853–1856 წლების ომებში და რუს მეომართა მხარდამხარ ღვრიდნენ სისხლს ქართული მიწა-წყლის დასაბრუნებლად. ლიტ. 8.

ავტ.

3.6.1.1.4. ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული სამონეტო ტიპის გენეზისისთვის (გიორგი III-ის მონეტა (1174 წ.)). /მ. პატარიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #4. – გვ. 135-139. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომის კვლევის მიზანს წარმოადგენს შუასაუკუნოვანი ქართული ნუმისმატიკის ძეგლის, გიორგი III-ის (1157-1184) 1174 წლის სპილენძის საფასის იკონოგრაფიული თავისებურების გამოვლენა. გიორგი III-ის სამონეტო პორტრეტი, როგორც ჩაცმულობის ელემენტებით, ისე იკონოგრაფიული სიუჟეტით, ამოვარდნილია შუასაუკუნოვან საერო პირთა პორტრეტებიდან.

1844 წელს მიხეილ ბარათაევის (ბარათაშვილის) მიერ გამოთქმული ერთ-ერთი ვარაუდი მონეტაზე მეფის სამხედრო ჩაცმულობით გამოსახვასთან დაკავშირებით, ახალმა ეგზემპლარებმა დაადასტურა. მონეტაზე წარმოდგენილ სცენაში გათვალისწინებულია ისლამურ ხელოვნებაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული, ძლევამოსილი ხელმწიფის სახე. ქართველი მეფის ადრესატი მუსლიმური სამყაროა. მონეტის გამოსახულების ეკლექტურობა და ამბიციური შინაარსი კონკრეტულ ისტორიულ მოვლენას, კერძოდ, ანისის დაუფლებას უკავშირდება და მონეტაც ანისისსავე ზარაფხანაშია მოჭრილი. მონეტაზე მეფის გამოსახვის აღმოსავლური სტილის საფუძვლების კვლევამ აჩვენა, რომ გიორგი III-ის საფასის იკონოგრაფია არ არის გამორჩეული მხოლოდ სხვადასხვა ექსტრავაგანტური (ნადირობის ელემენტი, ტანზე აბჯარი) დეტალების გამო. გაირკვა, რომ ფეხმორთხმით მჯდომი მეფის იკონოგრაფიული პორტრეტი ისლამურ ნუმისმატიკაში ამ მონეტის ემისიამდე, 1174 წლამდე, არ დასტურდება. ქართველი მეფე ფულზე ათავსებს სიუჟეტს, რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებს შემდგომში ფულის ემისიების ამგვარ ტიპს ახლო აღმოსავლეთში, რაც მუსლიმურ გარემოცვაში ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური წონის უტყუარ დასტურად შეიძლება ჩაითვალოს. ლიტ. 24, სურ. 2. ავტ.

3.6.1.1.5. ანტიკური რომის საერთაშორისო კავშირების გაფართოება ძვ.წ V-III ს.-ში. /ჯ. აბუსელიძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 15-22. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.01>

სტატიაში წარმოდგენილია ანტიკური რომის კავშირები, რომელიც ტრადიციულად მეფეთა ხანის დასრულების შემდეგ განსაკუთრებით, რესპუბლიკის პერიოდშიც აგრძელებდა განვითარებას. მათგან აღსანიშნავია ეტრუსკებთან კავშირი, სავაჭრო ხელშეკრულებები კართაგენთან, ლათინური კავშირი, ვეის წინააღმდეგ კავშირი, კელტების შემოჭრა ჩრდილოეთ იტალიაში, გალები და მისი საერთაშორისო შედეგები. იტალიაში და სამნიტურ ომებში რომაული კავშირები, რომის ჩარევა კამპანიის საქმეებში, გალიური საფრთხის აღმოფხვრა და ბრძოლა ტარენტუმთან და პიროსთან სამხრეთ იტალიისთვის. რომაულ-იტალიური კავშირის შექმნის პროცესი და ფორმირების მეთოდები. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდის რომი მეზობელ სახელმწიფოებს სთავაზობდა მოკავშირეობას, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში ზოგიერთი სახელმწიფო მფარველობის ქვეშ შეჰყავდა. სტატიის მიზანია ანტიკური რომის საერთაშორისო კავშირების შესწავლა, კვლევის ევოლუციური პრინციპი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. სამეცნიერო სტატიაში წარმოჩენილია რომისა და კართაგენის კავშირი ძვ.წ. III ს-ის და ძვ.წ. IV-I ნახევარში და კავშირის მიზეზები. პირველი პუნიკური ომი და მისი საერთაშორისო კავშირები და შედეგები. კართაგენის და რომის კავშირი ომის შემდეგ. სიცილიის, სარდინიის და კორსიკის მოკავშირედ და პროვინციებად გადაქცევა, ციზალპიურ გალიასთან და ილირიასთან კავშირი. რომაული და კართაგენის სტრატეგიული კავშირები მეორე პუნიკური ომის წინა პერიოდში. კაპუასა და სირაკუზის დაცემის შემდეგ რომის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში ცვლილებები და კართაგენთან კავშირი. ესპანეთის დაპყრობის პროცესი და კავშირი: კოლონიზაცია, რომანიზაცია და მის ტერიტორიაზე პროვინციული სისტემის ჩამოყალიბება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაანალიზებულია ანტიკური რომის კავშირების გაფართოებასთან დაკავშირებული პოლიტიკური და დიპლომატიური მოლაპარაკებები. ამ დროს დამკვიდრდა „გაყავი და იბატონეს“ იდეა. განსაკუთრებულია ისიც, რომ ანტიკური რომი არცერთ ხალხთან და სახელმწიფოსთან ერთი და იგივე პრინციპით არ ხელმძღვანელობდა, რა თქმა უნდა განსხვავებული ხერხები ნათლადაა წარმოჩენილი სტატიაში. ლიტ. 14.

ავტ.

3.6.1.1.6. რუსეთის ქვევის წყაროები (1992-1999). /ზ. აბაშიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2023. – ტ. 17. – #1. – გვ. 188-195. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

1947 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი დიპლომატის, შემდგომში ცნობილი მეცნიერის ჯორჯ კენანის სტატია „საბჭოთა ქვევის წყაროები“, რომელშიც ავტორმა გააანალიზა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა ექსპანსიონიზმის მიზეზები და ამოცანები. აღნიშნულ პუბლიკაციაში გაკეთებული დასკვნები და რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა „ცივი ომის“ პერიოდში აშშ-ის სტრატეგიის შემუშავებისას, რომელსაც საფუძვლად დაედო ე.წ. შეკავების პოლიტიკა. ჯორჯ კენანის მოსაზრებები დღეისათვისაც გარკვეულწილად აქტუალურია, თუმცა ამჟამინდელი რუსეთი და ზოგადად საერთაშორისო ვითარება მნიშვნელოვნად განსხვავდება „ცივი ომის“ ეპოქისაგან. 1992-1999 წლებში რუსეთმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები პოლიტიკური პლურალიზმის საფუძვლების შექმნისა და ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გატარების თვალსაზრისით. თუმცა, მეოცე საუკუნის ბოლოს მძიმე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ გააძლიერა რევანშისტული ძალები და ანტიდასავლური ტენდენციები. ამ განწყობებზე სერიოზული გავლენა იქონია 1999 წელს კოსოვოს კონფლიქტმა და ნატოს გაფართოებამ. ნაშრომის მიზანია აღნიშნულ პერიოდში რუსეთის „ქვევის“ როგორც შიდა პოლიტიკური, ასევე საგარეო და სამხედრო-პოლიტიკური ფაქტორების ანალიზი, რაც საყურადღებოა დღევანდელი გართულებული საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით. ლიტ. 6.

ავტ.

3.6.1.1.7. თელავი და ხელოსნური წარმოება. /თ. სიმაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 29-36. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.03>

საქართველოს უძველესი ქალაქი თელავი უძველესი საქარავნო „აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზის“ ერთ-ერთ მთავარ არტერიას მდებარეობდა, მრავალი წლის მანძილზე იყო კახეთის სამეფოს დედაქალაქი და კახეთის მეფეთა რეზიდენცია. თელავი ერთგვარ მიზიდულობის ცენტრს წარმოადგენდა და აქ სამუშაოდ, სავაჭროდ თუ საცხოვრებლად, მოდიოდნენ სხვადასხვა დარგის ხელოსნები, ვაჭრები და მოგზაურები. საუკუნეების განმავლობაში თელავში ხელოსნობის განვითარება შედარებით მაღალ დონეზე იდგა - ამ დროს უკვე არსებობდა ხელოსნების პროფესიული გაერთიანებები - „ამქრები“ თავისი იერარქიით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ქალაქებიდან მხოლოდ თელავში არსებობდა ე.წ. „ამქრის ბაღები“. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ძალდატანებითი მიერთების შედეგად, მართალია, თელავმაც დაკარგა თავისი მნიშვნელობა - იგი პროვინციულ ქალაქად იქცა და სამაზრო ცენტრის ფუნქცია დაეკისრა. ამის მიუხედავად, საქალაქო ცხოვრება და მისი შემადგენელი ნაწილი - ხელოსნური წარმოება ამ პერიოდის თელავში საკმაოდ განვითარებული იყო. საბჭოთა პერიოდში, 1920-იანი წლების ბოლოს ხელოსნური წარმოების განვითარებას საკმაოდ დიდი დარტყმა ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის ზრდამ მიაყენა. გარდა ამისა, ამ დროს იწყება ინდივიდუალური შრომის შეზღუდვა და ქალაქად ხელოსნებს აიძულებდნენ გაერთიანებულიყვნენ არტელებში. სხვადასხვა მიზეზის გამო ხელოსნების ნაწილი არტელებში არ ერთიანდებოდნენ, რაც 1920-იანი წლების ბოლოს მათზე რეპრესიების გამხორციელების მიზეზად იქცა. დღეს, ისევე როგორც სხვა ქალაქებში თელავში ძველი ხელოსნური წარმოების კვალი თითქმის აღარაა შემორჩენილი, გაქრა „ამქრის ბაღებიც“, მათი ადგილი თანამედროვე შენობებმა და სხვადასხვა დაწესებულებებმა დაიკავა. ლიტ. 12.

ავტ.

3.6.1.1..8. ბეჭედი - დიპლომატიის ინსტრუმენტი. /ჯ. აბუსელიძე/. ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 122-128. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატიაში ყურადღებას იპყრობს ისეთი დიპლომატიური რიტუალები როგორიცაა: ცერემონიები და ბეჭდის სიმბოლო. მათი აქტიური გამოყენება. გაანალიზებულია ცნობილი მკვლევრების შეხედულებები ბეჭდის როგორც რელიგიურ ასევე დიპლომატიურ ურთიერთობებში სავალდებულო მოქმედებებში ასევე, როგორ ვითარდებოდა და მკვიდრდებოდა საუკუნეების განმავლობაში მისი მასობრივად გამოყენება. ფაქტია, რომ თანამედროვე დიპლომატიაშიც ბეჭედს განსაზღვრული და მოკრძალებული ადგილი უკავია. სტატიაში წარმოჩენილია სახელმწიფოების დიპლომატიურ ურთიერთობებში ბეჭდის განსაკუთრებული როლი, რომელმაც საშუალება მისცა, რომ ნებისმიერმა დიპლომატმა სოციალურად და ინდივიდუალურად შეასრულოს მასზე დაკისრებული დიპლომატიური პასუხისმგებლობა სრულყოფილად და განიცადონ ის როგორც საკუთარი თავის წინაშე ვალდებულების შესრულება. აღსანიშნავია, რომ ბეჭედს დიპლომატიაში რიტუალური ფორმატი, კომუნიკაციური, მარეგულირებელი და აფექტური ფუნქციები აქვს. ის აგრეთვე, მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია საერთაშორისო პოლიტიკის გაგებისა და დიპლომატიური ურთიერთობების რეგულირებისთვის. მიუხედავად ამისა, დიპლომატიაში ბეჭედი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ფორმალურად ასევე მანიპულაციურად. ნაჩვენებია ანტიკური მწერლების სამი ძირითადი შეხედულება: 1) ბეჭდის ტარების ჩვეულება; 2) ბეჭდის გაკეთება მარცხენა ხელზე; და 3) ტრიუმფის დროს რკინის ბეჭდის გაკეთება. ხოლო თანამედროვე მკვლევარები ორ ვარიანტს გამოყოფენ: 1) ბიზანტიურს და 2) მუხამედის ბეჭედს. ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სენატორების უცხო სახელმწიფოში ელჩებად გაგზავნა და მისიის დროს ელჩების მიერ ოქროს ბეჭდის ტარება, რომლებსაც მიღებული ჰქონდათ სახელმწიფოსგან და რესპუბლიკის სიმბოლოს წარმოადგენდა. ავტორი სტატიაში აანალიზებს, ოქროს ბეჭდის ტარების განსაკუთრებულ უფლებას, რომელიც სპეციალური კონცეფციას მოიცავდა, ის რამდენიმე საუკუნის განმავლობაში იყო სენატორების, მაგისტრატებისა და ელჩების ექსკლუზიური პრივილეგია, ხოლო ყველა სხვა პირი აგრძელებდა რკინის ბეჭდის ტარებას. ასევე ხაზგასმულია იმ გარემოებაზე, რომ რომაელები, ისევე როგორც ბერძნები, თითებს ბეჭედით იფარავდნენ. ანტიკური რომაელი ელჩების გარდა ბეჭედი დიპლომატიასთან ერთად ზოგჯერ რწმენასთან და მისტიურობასთან ასოცირდებოდა. ლიტ. 17.

ავტ.

6.1.2. არქეოლოგია

3.6.1.2.1. ციხიაგორას ნასახლარის რადიოკარბონული თარიღები და სამხრეთ კავკასიაში ბედენური კულტურის ნიშნების გამოჩენა. /ზ. მახარაძე, ნ. კალანდაძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #4. – გვ. 140-144. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განხილულია ციხიაგორას ნასახლარის ახალ რადიოკარბონულ თარიღები, რომელიც მნიშვნელოვანია, რადგან ბედენური კულტურის ნიშნების გამოჩენა და მისი თანაარსებობა მტკვარარაქსის კულტურასთან ქრონოლოგიურად გაურკვეველი იყო. ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის შუახანებში, სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი, აღმოსავლეთ საქართველოში, ირღვევა

მტკვარარაქსის კულტურის სტაბილური ხასიათი, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეული უნდა ყოფილიყო აქ ახალი, ჩრდილოური და სამხრეთული ელემენტების გამოჩენით. ყველაზე თვალსაჩინოდ, მტკვარ-არაქსის კულტურის განვითარების გვიანდელი პერიოდი აღმოსავლეთ საქართველოში და მისი მიმართება ადრეულ ყორღანებთან აისახა ციხიაგორას ადრებრინჯაოს ხანის მასალებში. ციხიაგორას ნასახლარის სტრატეგრაფიული მონაცემები და ახალი რადიოკარბონული თარიღები საშუალებას გვაძლევს ამ კულტურული ტრანსფორმაციის საწყისი პერიოდი ძვ. წ. მე-3 ათასწლეულის პირველ ნახევარში ვივარაუდოთ, რაც მნიშვნელოვანია სხვა კულტურებთან სინქრონიზაციის და ბედენის კულტურის გენეზისის კვლევის დროს. ლიტ. 14

ავტ.

3.6.1.2.2. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული გვიანანტიკური ხანის მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის საკითხისთვის. /კ. კობერიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. - 2023. - ტ. 17. - #2. - გვ. 180-185. - ინგ.; რეზ.: ინგ., ქართ.

წინამდებარე ნაშრომი ეხება აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებული გვიანანტიკური ხანის მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის შესწავლას, მათი წარმომავლობის, მნიშვნელობის და დანიშნულების განსაზღვრას. კვლევით დგინდება, რომ ამგვარი კერამიკული ნაწარმი წარმოადგენს იმპორტს პართიიდან და მესოპოტამიიდან, რის გამოც, ისინი ქართლის სამეფოში (იბერიაში) ძვირად ფასობდა და, შესაბამისად, მხოლოდ სოციალურად დაწინაურებული ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი (ყოველ შემთხვევაში ამგვარი ვითარებაა ახ.წ. I-IV საუკუნეებში), რაც თავისთავად ხსნის მოჭიქული კერამიკული ჭურჭლის აღმოჩენის იშვიათობას გვიანანტიკური ხანის საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამგვარი თიხის ჭურჭელი (ძირითადად ამფორისკები) იდენტურია პართიაში, დურა-ევროპოსსა (სირია) და სელევკიაში (ერაყი) აღმოჩენილი გვიანპართიული პერიოდის, შედარებით დაბალი ხარისხის მოჭიქული ჭურჭლისა და შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ სწორედ ამ რეგიონებიდან ხდებოდა მათი იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე სავაჭრო-კულტურული ურთიერთობების შედეგად. სავარაუდოდ, ამფორისკები გამოიყენებოდა სუნამოს და სამედიცინო სითხის შესანახად. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ამგვარი ჭურჭლის ძირითადი ნაწილი ახ.წ. III საუკუნისა და IV ს.-ის პირველი ნახევრით თარიღდება. სურ. 4, ლიტ. 11.

ავტ.

3.6.1.2.3. არქეოლოგია სარდიონის მძივების ევოლუცია სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჯგუფებში – შუაბრინჯაოს ხანა – ადრექრისტიანული პერიოდი (სამთავროს სამაროვნის მიხედვით). / ნ. ქობალია, ქ. შავლაყაძე, ა. სახვაძე, მ. კუბლაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. - 2022. - ტ. 16. - #2. - გვ. 150-156. - ინგ.; რეზ.: ინგ., ქართ.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე უმნიშვნელოვანეს ძეგლზე, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი სარდიონის მძივების კვლევის შედეგებს. სამაროვანზე დაკრძალული საზოგადოების 3000-წლიანი ისტორია ადრე ბრინჯაოს ხანიდან (ძვ. წ. III ათასწლეულის შუახანები) განუწყვეტლივ არის წარმოდგენილი და ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ეს ძეგლი შეირჩა სარდიონის მძივების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაციის შესადგენად. აქ, ჩვენ შეგვიძლია თვალი გავადევნოთ სარდიონის მძივების ევოლუციას საკმაოდ დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთში – ძვ.წ. XVII – ახ.წ. VIII საუკუნეებით დათარიღებულ 311 სხვადასხვა ტიპის სამარხში; საერთო ჯამში 14655

სარდიონის მძივი დადასტურდა. მინერალოგიური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სარდიონის არტეფაქტებისთვის გამოყენებული ნედლეულის უმეტესობა საქართველოში არსებული აქატქალცედონის საბადოების იდენტურია; რაც შეეხება კლასიფიკაციას, ჩვენ დავაჯგუფეთ მძივები ექვს ძირითად ქრონოლოგიურ ჯგუფად და დავადგინეთ თითოეული პერიოდისთვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები. სურ. 2, ლიტ. 10.

ავტ.

6.2. ენა და ლიტერატურა

6.2.1. ენების ზოგადი კვლევები

3.6.2.1.1. დადებითი და უარყოფითი ემოციური ველის შექმნის შესაძლებლობები მხატვრულ ტექსტში (XX საუკუნის ქართული მცირე პროზის ნიმუშების მიხედვით). /ნ. გელდიაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 48-59. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.06>

ენობრივი საშუალებები ავტორის ერთადერთ იარაღს წარმოადგენს მკითხველისათვის საკუთარი განცდების გაზიარებისა და მათი სულიერი სამყაროს გამოსახატავად; ყოველგვარი ემოცია ტრანსფორმირდება ენაში და ლინგვისტიკასაც სწორედ ეს აინტერესებს – როგორ, რა გზით და რა მიზნით აღნიშნავს ენისა და მეტყველების ესა თუ ის ერთეული ამა თუ იმ ემოციას. ნაშრომის მიზანი მცირე პროზაულ ნაწარმოებებზე დაკვირვება, კერძოდ კი, დადებითი და უარყოფითი ემოციური ველის შექმნის იმ ენობრივი შესაძლებლობების ჩვენებაა, რომლებიც სახასიათოა ამ ტიპის ტექსტებისათვის და რომელთა მეშვეობითაც მწერლები პერსონაჟის ცხოვრების ეპიზოდებს, მისი მდგომარეობისა და ყოფის მომენტებს, ასახავენ ეფექტურად, ტვირთავენ განსაკუთრებული ემოციური ელფერით. ანალიზურმა კვლევამ ცხადყო, რომ მკითხველში დადებითი თუ უარყოფითი ემოციური განწყობის შესაქმნელად ნიშანდობლივია ორი ძირითადი გზა: 1. მწერალი თავად გვთავაზობს პერსონაჟის მდგომარეობის ან გარემოების შეფასებას სათანადო ემოციური ენობრივი საშუალებების მოხმობით; 2. მწერალი წარმოაჩენს პერსონაჟის მიერ დანახულ გარე სამყაროს, დახასიათებულს ემოციურ-შეფასებითი ლექსიკური ერთეულებით. გამოიკვეთა, რომ ემოციური ველის შექმნაში ყველაზე მეტად მონაწილეობს ზედსართავი სახელი და შემასმენელი; კონტექსტიდან გამომდინარე, ემოციურ დატვირთვას იძენს ასევე არსებითი სახელი, როგორც იდეის საკვანძო სიტყვა. განსაკუთრებულად საინტერესო მახასიათებელი აღმოჩნდა ემოციური შორისდებული, რამდენადაც სწორედ ის გამოხატავს პერსონაჟების გუნება-განწყობილებას, გრძნობებს, განცდებს და ყველაზე მეტად გამოირჩევა მაღალი ემოციურ-ექსპრესიული გამომსახველობით; ჭარბობს: მწუხარების, დარდის, გაოცების შორისდებულები. შორისდებულებად მრავლადაა ასევე რელიგიური სიტყვები თუ ფრაზებიც. დასტურდება შემთხვევები, როდესაც ემოციას, უარყოფითად დახატული მდგომარეობის ფონზე, დადებითი მუხტის კონტრასტირება და უპირატესობა იწვევს, ზოგჯერ კი უეცარი, მოულოდნელი ფინალი გამოირჩევა მკვეთრი ემოციურობით. ემოციურობით შეფერილი ლექსიკური ერთეულები ძირითადად ორი სახით ფიგურირებს ემოციური ველის შექმნაში: 1. წინადადებაში ერთი სიტყვა, ან ერთი და იგივე მეტყველების ნაწილი გამოირჩევა მეტი ემოციურობით; 2. რამდენიმე სხვადასხვა მეტყველების ნაწილი ქმნის ემოციურ ფონს. ლიტ. 11.

ავტ.

3.6.2.1.2. გურამ დოჩანაშვილისეული სიტყვათქმნადობა. /ე. ფილაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 77-83. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.09>

გურამ დოჩანაშვილის პროზა ყურადღებას იპყრობს გამორჩეული სიტყვათქმნადობით, სემანტიკური თავისებურებებით, ამოუწურავი სიტყვათა მარაგით, მდიდარი სტილისტური ხერხებითა თუ ხალხური მეტყველების ნიმუშებით. მწერალი სიტყვათწარმოებისას იყენებს სემანტიკურად და სტრუქტურულად განსხვავებულ ენობრივ ერთეულებს. მწერლის ენისათვის დამახასიათებელია ფუძეგაორკეცებული (**ბნელ-ბნელი, წვრილ-წვრილი**) და ნაირფუძიანი (**ენამოქარგული, ნესტოებდაბერილი, ჩრდილდაფენილი**) კომპოზიტები.

სხვადასხვა ფუძით შეერთების შედეგად შექმნილ კომპოზიტებში განირჩევა; ა) ერთი და იმავე ტიპის სახელთა გაერთიანებით შექმნილი კომპოზიტები, სადაც ორივე კომპონენტი არსებითი სახელია: **ძილ-ღვიძილი, ტყვია-წამალი, ხელ-პირი, გულ-ხელი, შაქარყინული, თავსამკაული...** ბ) ერთი კომპოზიტი არსებითი სახელია, მეორე - ზედსარავი: **თვალეზამოქარგული, ჩრდილდაფენილი, გრძელსხივება, ნესტოებდაბერილი, თვალეზაბუქული...** გ) ორივე კომპონენტი ზედსართავი სახელია: **ლურჯ-წითელი, ტკბილ-მომწარო...** დ) კომპოზიტის ერთი კომპონენტი წარმოქმნილი სახელია: **წოწოლაქუდიანი, შავწამოსასხამიანი...** ე) კომპოზიტის ერთი კომპონენტი ზმნა-შემასმენელია, ან მიღებულია ზმნათა გაერთიანებით: **ენაწყლიანობდა, ენაწყლიანობდნენ, დავძმადნაფიცდით, გაიარ-გამოიარა...** ექსპრესიით ხასიათდება სამ და ოთხკომპონენტიანი კომპოზიტები: **ხელისგულმიფარებული, ტუჩნიკაპათროლებული, ცალშიშველფეხმოდუნებული...** მხატვრულ წარმოსახვათა გადმოსაცემად აღსანიშნავია ისეთი კომპოზიტები, როგორიცაა: **ტანხვლიკიანი, ცადდარჩენილი, მზერააბჯენილი, ჩრდილდაფენილი, მდინარენაპკურები, ხმაურმიღწეული, საიდუმლოშენახული, ყვრიმალეზაბერილი, სახემითითხნილი, ორთქლდადენილი, სახედაჭმუჭნული, ცადდარჩენილები და...** ცალკე გამოსაყოფია ატრიბუტულმსახვრელიანი (**ენაჭარტალა, ფეხშიშველი**) და მართულმსახვრელიანი (**მზეთუნახავი, ხელისგული, მუხლისთავი, ბაღლობისდროინდელი, ცისარტყელა, გულისპირი, გულისმგერა, თავსახური**) კომპოზიტები. მწერლის ენისათვის ნიშანდობლივი აღმოჩნდა სახელზმნით შედგენილი კომპოზიტები: **მზერაამღვრეული, მზერაარიდებული, მზერადქცეული, მზერაგამტერებული, თავაწყვეტილი, ძილგამკრთალი, ქანცგაწყვეტილი, ყელგამოსაჭრელი, ხელიხელჩაკიდებულნი, ტანსაცმელშემოფლეთილი, ქედჩალეწილი, თვალისმომჭრელი, ახალშემოსწრებული, შარვალაკარწახებული, თითებმიხუტებული, თითებმიფარებული, თითებმიდებული, თათებმოკეცილი...** მწერლის ენაში ყურადღებას იპყრობს რამდენიმე ლექსემით შექმნილი მეტად საინტერესო და ექსპრესიული კომპოზიტები, რომლის ძირითად ფუძედ გვხვდება **გული** (**გულამგერებული**), **თვალი** (**თვალეზაფართოებული**), **მზერა** (**მზერამიწებებული**), **თავი** (**თავდაღწეული**) და... ნათელია, რომ გურამ დოჩანაშვილი სიტყვის უბადლო ოსტატია, ქართული სიტყვის, ლექსიკის თავისთავადობა, სიტყვათქმნადობა მწერალთან ამოუწურავია და დიდ შესაძლებლობას იძლევა. ლიტ. 6.

ავტ.

3.6.2.1.3. კონცეპტი „ცეცხლი“ ქართულ ფრაზეოლოგიაში. /ნ. ცეცხლაძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 88-96. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

დღესდღეობით აქტუალურია კონცეპტების საშუალებით ენის და კულტურის კვლევა. სტატიაში განხილულია ცეცხლი, როგორც კონცეპტი, ქართულ ფრაზეოლოგიაში.

ცეცხლი სოციოკულტურული ფენომენია: კერა, სადაც ცეცხლს ანთებდნენ, სოციუმის განვითარების ადგილია, სინათლე კი მაგიურ-აპოთროპეული საშუალება. შეფასებითი კონცეპტი **ცეცხლი** მეტაფორულად გამოხატავს დადებით და უარყოფით მნიშვნელობათა ნაზავს, ასიმეტრიას. სხვადასხვა ენაში მკვლევრები ამ ლექსემის ასოციაციურ-ფსიქოლოგიურ დატვირთვას იკვლევენ (ბელორუსული, ჩეხური, გერმანული, ინგლისური, ფრანგული, იტალიური) მეტაფორული აზროვნების სხვაობის გამოსავლენად. უნივერსალურ ფრაზეოლოგიზმთა გვერდით გვაქვს ეროვნულ-სპეციფიკურიც. სტატიის მიზანია კონცეპტ **ცეცხლის** პირდაპირსა და მეტაფორულ მნიშვნელობებს შორის კავშირის დადგენა; კომპონენტ **ცეცხლის** შემცველი ფრაზეოლოგიზმების ენობრივ, კულტუროლოგიურ და კოგნიტურ ელემენტთა გამოვლენა. ცეცხლი ეთნოსპეციფიკურ მეტაფორადაა მიჩნეული ქართულში. კვლევამ გამოავლინა, მისი, როგორც ფრაზეოლოგიური კონცეპტის, დიდი სემანტიკური დატვირთვა. მასში აკუმულირებულია ეთნოკულტურული ფასეულობები: ეს სოციალური ფენომენი უფლის, სინათლის, შინაგანი ტრანსფორმაციის მეტაფორაა, ამიტომაცაა საკითხი ინტერდისციპლინური შესწავლის საგანი. ცეცხლით გადმოიცემა ღრმა ემოციები. სულის ტკივილი განიცდება ფიზიკურადაც: მაგ. **ცეცხლის წაკიდება/ შენთობა, ორ ცეცხლს შუა დგომა, ცეცხლს ყრის/ აკვესებს/ აფრქვევს**, ეს ცეცხლის პირველადსა და მეორეულ მნიშვნელობებს შორის მჭიდრო კოგნიტურ კავშირს ადასტურებს. პირველადი უარყოფითი მნიშვნელობა დომინირებს მეტაფორულ-შიც. ქართულში **ცეცხლი** **სიყვარულის მეტაფორაა**, გამოხატავს დადებით კონოტაციას: **აქტიურობას, სიახლოვეს, ახლობლობას, ნათესაობას, თავდადებას**, მეტწილად კი **გადმოგვცემს უარყოფით სემანტიკას**: **აქედან ყველაზე ხშირად გაბრაზებას, ფსიქოფიზიკურ ზემოქმედებას, მწუხარებას, უბედურებას, ტანჯვას, ასევე სიძვირეს, მოუცლელობას, მოუთმენლობას, ბრძოლას, შიშს, წაქეზებას, შერცხვენას, დანაწევებას, წინაღუბედაობას, ღალატს, ეგოიზმს, გამოუვალ სიტუაციაში ყოფნას, ამ მდგომარეობის გამწვავებასაც კი**. სურ. 1, ლიტ. 30.

ავტ.

3.6.2.1.4. ერთი ნარატივის თავისებურებანი – ჰოლოკოსტზე მეტაფორების გარეშე (ჯონ ბოინის რომანის „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“ მიხედვით). /ნ. ძამუკაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 97-103. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.12>

სტატიის მიზანია ჯონ ბოინის ცნობილი რომანის „ბიჭი ზოლიან პიჟამაში“ მიხედვით ვაჩვენოთ მწერლის მიერ არჩეული ლექსიკო-სემანტიკური და ასევე სტილისტური ველი, როდესაც ის მოგვითხრობს კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდეს კატასტროფაზე–ჰოლოკოსტზე. ვეცადეთ გამოგვეკვეთა მწერლის სტილი: მისი თხრობის ლინგვისტური არჩევანი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ამ მოვლენას თითქოს მეტაფორებით აღწერა არ უხდება. თხრობა პირდაპირია, ლაკონური და უმეტესად ემოციურად დაშრეტილი, ვინაიდან თავად ჰოლოკოსტი იქცა ამ შემზარავი ჰუმანიტარული კატასტროფის ძლიერ მეტაფორად. მწერლის მიერ მოყვლილი ამბავი–ცხრა წლის ბიჭის, ბრუნოს თვალთ და გონებით განცდილი ისტორიაა. ჩვენი კვლევა სწორედ ამ მიზანს ისახავს: იმ ლინგვისტური ერთეულების – „აღმნიშვნელების“– გამოვლენას, მათი სპეციფიკური სინტაქსური, ფონეტიკური, ლექსიკო-სემანტიკური და ასევე სტილისტური მახასიათებლებით, რომელთაც მწერალი იყენებს თხრობისათვის. მათი ფუნქციური

დატვირთვა მრავალფეროვანია: ზოგჯერ ამა თუ იმ გონივრულად შერჩეული აღმნიშვნელით მწერალი გვიჩვენებს ამა თუ იმ სიტყვის ფონეტიკურად სხვაგვარად „წაკითხვის“ შესაძლებლობებს. მაგ. „ფურია“ ნაცვლად „ფიურერის“; ზოგჯერაც ბავშვური გულუბრყვილობით და ვერ გაგებით არასწორად აღქმულ სახელს: „Out-with“ ნაცვლად „Auschwitz“. მოვიძიეთ მეტად საინტერესო შემთხვევაც, როდესაც მწერალი მიმართავს ევფემისტურ მეტყველებასაც, რათა დაფაროს ან პირდაპირ არ თქვას სათქმელი. მსგავსი ლინგვისტური ერთეულები უხვადაა გაბნეული რომანში, რაც მთელ ტექსტს ერთგვაროვან ენობრივ ქსოვილში აქცევს. საინტერესოა იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ თითოეული თავიც იმგვარად არის დასათაურებული, როგორც თხრობის ბუნებას შეეფერება: ისინიც მიგვანიშნებენ ბავშვურ ლოგიკასა და აზროვნებაზე. რომანის ამგვარი მოცემულობების გათვალისწინებით, ჩვენი აზრით, სტატია საინტერესო იქნება ფსიქო-ლინგვისტიკით დაინტერესებული მკითხველებისთვისაც. ლიტ. 5.

ავტ.

3.6.2.1.5. გამეორება ტარიელ ხარხელაურის პოეზიის ენაში. /შ. წიგნაძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 104-111. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.13>

ტარიელ ხარხელაურის პოეტური შემოქმედება საინტერესოა, როგორც პოეტის თვალთახედვის, ისე მისი განსხვავებული წერის სტილის შესასწავლად. მწერლის ენისა და სტილის შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან, მის გარეშე შეუძლებელია ვისაუბროთ იმ განსხვავებულ წერის მანერასა და სტილზე, რომელიც განსახვავებს მწერლების შემოქმედებას ერთმანეთისაგან; მის ლექსებში მრავალფეროვანი სტილისტური საშუალებები გვხვდება. გამეორება ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში დიდი ესთეტიურობით, აზრის ხაზგასმითა და ექსპრესია-ემოციით ხასიათდება. ტარიელ ხარხელაურთან უფრო ხშირია არა ცალ-ცალკე ძირებისა და ფუძეების, არამედ მთელი სიტყვებისა და გამოთქმების გამეორება. გამეორებულია, როგორც ერთნაირი დანიშნულების იდენტური სიტყვები, ისე ერთნაირი დანიშნულების სხვადასხვა სიტყვები. ანაფორა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტილისტიკური ფიგურაა, რომელიც გამეორების სახესხვაობას წარმოადგენს და აზრისა და ემოციის გაძლიერებას ისახავს მიზნად. გვხვდება როგორც ლექსიკური, მორფოლოგიური, ისე სინტაქსური ანაფორის მაგალითები: **ვგრძნობ** - ვეღარ შევძლებ,/ **ვგრძნობ**, დავეცემი./ **მეძახი!**/და გჯერა, სწორია,/ **თოვლია, თოვლია, თოვლია, /მეძახი!** / * რა დიდი დღეა, დიდი დღეა - სდუმან ქარები,/და მეც მშვიდი ვარ, /მეც მშვიდი ვარ ბორგვას ჩვეული... მრავლად გვხვდება ეპიფორული გამეორების მაგალითები: არც არაფერი **მახარებს** / არც არაფერი **მწყინს**,/ მზარავს ლანდების ხარხარი, / ხმაური მზარავს **წყლის**,/ არის მაგალითები, სადაც ერთი წინადადების ბოლო სიტყვა იწყებს მეორე წინადადებას, რასაც, როგორც წესი, ანადიპლოზის სახელით მოიხსენიებენ: გაჩნდა სურვილი, წვიმაში **ვიდგე**, / **ვიდგე**, როგორც დგას კლდის პირს ჭადარი.../ ასევე პოეტის შემოქმედებაში მეორდება: შემასმენლები, ქვემდებარეები, შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი, დამატებები, განსაზღვრება/გარემოება/ზმნიზედა. ლექსებში ხშირია სტილისტიკური კატეგორიების გამეორება, როგორიცაა: ტროპები, სინონიმები, ანტონიმები, მოდალური სიტყვები. ამრიგად, გამეორების გამოყენებით პოეტი აძლიერებს შთაბეჭდილებას, განამტკიცებს სათქმელის აზრობრივ მთლიანობას, სათქმელს სძენს მაღალმხატვრულობასა და ქმნის მისთვის დამახასიათებელ, გამორჩეულ სტილს. განხილული მასალის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტარიელ ხარხელაურის პოეზიაში ყველაზე უფრო ხშირად მეორდება ზმნები, თუმცა ასევე არანაკლები სიხშირით მეორდება არსებითი სახელები, კავშირები და ნაწილაკები. ლიტ. 5.

3.6.2.1.6. ფემინისტ პოეტა ემოციური ენის ლინგვისტური ასპექტები. /შ. ლაზვიაშვილი, მ. ღარიბაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 60-70. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.07>

ქალები უკვე საუკუნეებია იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის, მათი სოციალური თუ პოლიტიკური თანასწორობისთვის. იმის გამო, რომ მათი უფლებები და თავისუფლება მუდამ უარყოფილი იყო, ისინი საზოგადოების არასრულფასოვან და უმნიშვნელო წევრებად ითვლებოდნენ. ქალთა მიმართ მიზოგინიამ და ჩაგვრამ ერთგავრი ბიძგი მისცა მსოფლიოში ფემინიზმის, როგორც მოძრაობის, ჩამოყალიბებასა და გააღვივებას. შესაბამისად, ფემინისტურმა მოძრაობამ ასახვა პოვა ლიტერატურაზე და მის ერთ-ერთ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა დროთა განმავლობაში. ფემინისტური ლიტერატურა მკაფიოდ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ენის, კულტურისა და აზროვნების ურთიერთმიმართება და ურთიერთქმედება. უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ფემინისტურ პოეზიაზე დაკვირვება და ფემინისტ ქალ-პოეტა ენის ლინგვისტური ანალიზი, რომელიც გაჟღერებულია სიტყვის თავისუფლებისაკენ ლტოლვით. შესაბამისად, ჩვენი კვლევის მიზანია ფემინისტურ პოეზიაში ემოციური ენის ლინგვისტური ასპექტების გამოკვეთა და მათზე დაკვირვება. კვლევა ეფუძნება ფემინისტი პოეტ ქალთა (მაია ანჯელოუ და სილვია პლატი) შემოქმედების ლინგვისტურ ანალიზს, რის საფუძველზეც გამოიკვეთა იზომორფიზმები და ალომორფიზმები; განისაზღვრა აღნიშნულ პოეტთა წერის სტილი და მთელი რიგი ლინგვისტური მახასიათებლები, რომლებიც ქმნიან ემოციურ ენას და მაღალმხატვრულ ელფერს სძენენ ფემინისტურ შემოქმედებას. ლიტ. 9.

3.6.2.1.7. სინტაქსის ზოგიერთი საკითხი მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“. /ლ. აბზიანიძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2023. – #1(21) – გვ. 85-93. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატიაში მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანის“ მიხედვით გაანალიზებულია რთული ქვეწყობილი წინადადების (ჰიპოტაქსის) არსი. მოცემულია, რომელ საკავშირებელ სიტყვას იყენებს დამოკიდებული წინადადება მთავართან დასაკავშირებლად, რა კორელატებია გამოყენებული მთავარში და როგორია პოზიცია დამოკიდებული წინადადებისა მთავარის მიმართ: დგას მთავარი წინადადების წინ, მოსდევს მას, თუ მოქცეულია მთავარში. „ამირანდარეჯანიანში“ ადგილის გარემოებით დამოკიდებული წინადადებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მონაცემებზე დაყრდნობით ნათლად აჩვენებს ამ ნაწარმოებში ასახულ იმ ისტორიულ ენობრივ ცვლილებებზე, რომლებიც თან ახლდა საშუალო ქართული ენის წარმოქმნასა და ახალი ქართული სალიტერატურო ენის თვისებრივი ელემენტების თანდათანობით დამკვიდრებას. ლიტ. 8.

3.6.2.1.8. მეტყველების თემა-რემატული სტრუქტურა, წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია და არქიტექსტის პრობლემა. /ე. ჯულაყიძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2023. – #1(21) – გვ. 94-102. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატიაში განხილულია წინადადების აქტუალური დანაწევრების თეორია და მისი ორგანული კავშირი არქიტექსტის პრობლემატიკასთან. წარმოდგენილია აგრეთვე დიალოგის ის ზოგადენობრივი საფუძველი, რომლის გარეშე შეუძლებელია არქიტექსტის კონცეპტუალიზაცია

და მოდელირება. თემა – რემატულობის სტრუქტურის კონცეპტი თავისი წარმოშობითა და შინაარსით უკავშირდება წინადადებას როგორც შინაარსობრივი „დატვირთვის“ პრობლემას და სწორედ ამიტომ – წინადადების აქტუალური დანაწევრების პრობლემატიკას. თემა – რემატულობა როგორც ენობრივი მოვლენა „ვერ ეტეოდა“ წინადადების ფარგლებში. მაგრამ, ამ შემთხვევაში არ უნდა იყოს საკმარისი პრობლემის უბრალო გადატანა წინადადების დონიდან ტექსტის დონეზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს არის ის პრობლემათა ერთობლიობა, რომლებმაც მიიყვანა თანამედროვე ლინგვისტიკა ტექსტის ვერბალური კომუნიკაციის უმაღლეს ერთეულად აღიარებამდე. არქიტექსტის პრობლემასთან დაკავშირებული ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია, განხილულ იქნეს თემა – რემატულობასთან დაკავშირებული პრობლემატიკა, სადაც სამეტყველო-კომპოზიციური ფორმა გადამწყვეტ როლს თამაშობს თემა - რემატული სტრუქტურის არქიტექსტის კონცეპტში გადასატანად. ცხრ. 1, ლიტ. 3.

ავტ.

6.2.2. ცალკეული ენები

3.6.2.2.1. ყველაზე გავრცელებული სახელური აფიქსები ქართულ ჟესტურ ენაში. /თ.

მახარობლიძე/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. - 2023. – ტ. 17. – #2. – გვ. 156-160. – ინგლ.; რეზ.: ინგლ., ქართ.

სალაპარაკო ენებისგან განსხვავებით, სადაც მიმდევრობით პროცესებს ანიჭებენ უპირატესობას, ჟესტურ ენებში მორფოლოგიური პროცესები უმეტესად თანადროულია. ეს უკანასკნელი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ფუნქციური მორფოლოგიური ერთეულები შემოდის არა სეგმენტების დამატებით, არამედ მათი შეცვლით. ჟესტურ ენებში თანადროული მორფოლოგიური ოპერირება ხდება ხელის მოძრაობის ცვლილებებით ენის მორფოლოგიურ დონეზე და ეს გავლენას ახდენს ჟესტის ლექსიკურ-სემანტიკურ პლანზეც. ზოგადად, ჟესტურ ენებში აფიქსაცია იშვიათია, თუმცა ზოგიერთ ჟესტურ ენას მაინც გააჩნია აფიქსური სისტემა. ჩვეულებრივ, ეს აფიქსები არის მანუალური ჟესტები, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში სახის გამომეტყველება, ანუ, მიმიკა შეიძლება ჩაითვალოს აფიქსებად რიგ ჟესტურ ენებში, სადაც მიმიკას აქვს გრამატიკული ფუნქცია. მორფოლოგიურ აფიქსად რომ იყოს აღიარებული ჟესტი, ის რამდენიმე კრიტერიუმს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს დელექსიკალიზებული და გრამატიკალიზებული, რაც ნიშნავს, რომ ჟესტის ლექსიკური მნიშვნელობა გაცვეთილია; ჟესტი უნდა იყოს ეროზიული; მას უნდა ჰქონდეს ფიქსირებული პოზიცია; ასევე უნდა ჰქონდეს მკაფიო მორფოსემანტიკური მნიშვნელობა – ამ ჟესტის დამატებამ სიტყვას კონკრეტული სემანტიკა უნდა შემატოს. წარმოდგენილ ნაშრომში აღწერილია ყველაზე გავრცელებული ნომინალური აფიქსები ქართულ ჟესტურ ენაში (GeSL), რომელიც ადგილობრივი ყრუ და სმენადაქვეითებული პირების ორიგინალური ბუნებრივი ენაა. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგიაში გამოვლინდა ზოგიერთი დერივაციული აფიქსი, რომლებიც საკმაოდ პროდუქტიულია. ეს არის ნომინალური უარყოფის აფიქსები და ასევე სხვა სემანტიკის აფიქსები. ამ ტიპის აფიქსი დაერთვის სახელის გამომხატველ ჟესტს და წარმოქმნის განსხვავებულ ლექსიკურ-სემანტიკურ შინაარსს. იმის გამო, რომ ქართული ჟესტური ენა არ არის სტანდარტიზებული, ამ აფიქსების ადგილი ზოგჯერ იცვლება, თუმცა მათი დელექსიკალიზაციისა და გრამატიკალიზაციის

პროცესები საკმაოდ ნათელია. უნდა აღინიშნოს, რომ სახელური აფიქსები ძალიან პროდუქტიულია ქართულ ჟესტურ ენაში. ამრიგად, ამ ენის სახელთა მორფოლოგია აჩვენებს თანმიმდევრულ და თანადროულ მორფოლოგიურ სისტემურ პროცესებს ერთდროულად. სურ. 6, ლიტ. 13.

ავტ.

3.6.2.2.2. ქართული ჟესტური ენის წარმოშობის შესახებ. /თ. მახარობლიძე/. ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 43-47. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართული ჟესტური ენის წარმოშობის შესახებ დოკუმენტირებული მასალები ან რაიმე ისტორიული წყაროები არ მოიპოვება. ეს არის ბუნებრივი ენა, მაგრამ ჟესტური ენები ზეპირი კომუნიკაციის ენებია და, ცხადია, არ მოიპოვება ტექსტური სახის ჩანაწერები. არც ამ ენის კორპუსი არ არის ჯერ შექმნილი. ქართული ჟესტური ენა არის ორიგინალური თავისთავადი ენა, რომელიც განიცდის ორმხრივ ინტენსიურ გავლენას ქართული სამტყველო ენისა და რუსული ჟესტური ენის მხრიდან. გასული საუკუნის 50-იან წლებში საქართველოში მოხდა რუსი ყრუთა თემის წარმომადგენლების ჩამოსახლება. სავარაუდოდ, ამ დროისათვის საქართველოში უკვე არსებობდა დამოუკიდებელი, ბუნებრივი ქართული ჟესტური ენა თავისი გრამატიკული წყობით, რაც დასტურდება ქართულ და რუსულ ჟესტურ ენათა შორის არსებულ სხვაობებში. სტატიაში ჩამოთვლილია ამ ენათა შორის არსებული კონკრეტული ლინგვისტური სისტემური განსხვავებები. ქართული ჟესტური ენის შემდგომი დეტალური კვლევები, დიდი ალბათობით, კიდევ მრავალ განმასხვავებელ ელემენტს გამოავლენს იმის დამადასტურებელს, რომ ეს ენა არის დამოუკიდებელი, ბუნებრივი წარმოშობის ახლაგაზრდა ენა და არა რუსული ან საბჭოთა ჟესტური ენის ერთ-ერთი განშტოება. ლიტ. 11.

ავტ.

3.6.2.2.3. საწყისის გადატანის ერთ-ერთი თავისებურება ქართულ-ინგლისურ თარგმანთან მიმართებაში. /თ. გელაშვილი/. ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #27 – გვ. 21-26. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ენათა სისტემა, მათი სტრუქტურული თავისებურებები და მახასიათებლები სხვადასხვა კუთხით განიხილება ენათმეცნიერებაში. ენათა შედარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ის გრამატიკული მიმართებანია, რომელსაც ყოველი ენა გამოყენების თავისებურ ხერხებს უსადაგებს. გრამატიკულ სტრუქტურათა ეკვივალენტობის საკითხი, თუ გავითვალისწინებთ სათარგმნი მასალის ჟანრს, სტილისტურ თუ სხვა თავისებურებებს, საკმაოდ რთულია და ერთმნიშვნელოვნად ვერ გადაწყდება. ეკვივალენტობას, ნებისმიერ დონეზე, საფუძვლად უდევს ორიგინალსა და სათარგმნ ტექსტებს შორის ძირითადი გრამატიკული მახასიათებლების მსგავსება- განსხვავების გამოვლენა. სტატიის მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს ქართულ ენაში არსებულ სახელზმნური ფორმის, საწყისის, ქართულ- ინგლისურ თარგმანში გადატანის ერთერთი თავისებურება. ამ თავისებურების გამოსავლენად, ჩვენ კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“ შევადარეთ და შევუპირისპირეთ ინგლისურ ენაზე ნათარგმნ ვახტანგ ერისთავის ვარიანტს და მეტი სიზუსტისთვის ცალ-ცალკე

განვიხილეთ საწყისის ინგლისურ-ქართულ თარმანში გადატანის ერთ-ერთი თავისებურება. სურ. 1, ლიტ. 4.

ავტ.

3.6.2.2.4. ინგლისური ნასესხობები ფრანგულ ენაში. /მ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი/. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 13-15. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ენათა შორის სესხების პროცესი მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც არსებობენ თავად ენები. თავისი არსებობის განმავლობაში ფრანგულ ენაზე ბევრმა ენამ მოახდინა გავლენა. ბოლო პერიოდში საგრძნობლად იმატა ინგლისური ნასესხობების, „ანგლიციზმების“ რაოდენობამ. წინამდებარე სტატიაში განხილულია ფრანგულ ენაზე ინგლისურის გავლენა, ინგლისური ენიდან ლექსიკური, სინტაქსური და ფონეტიკური სესხების საკითხი და ნასესხობების კლასიფიკაცია. ლიტ. 3.

ავტ.

3.6.2.2.5. კულტუროლოგიური კვლევები და ინგლისური ენის ანდაზები. /ე. თოფურია/. ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 26-28. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ანდაზები სხვადასხვა ეთნოსის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. ანდაზები ყველა ერის კულტურული ნება და უძველესი მემკვიდრეობაა. ენა არის ხალხის საგანძური, რომელიც ავლენს ეროვნულ ისტორიას, მსოფლმხედველობასა და ცხოვრების წესს. ანდაზები ავლენენ ერის ყველა სფეროს, როგორცაა ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა, რელიგია, მეცნიერება, კულტურა და ა.შ. ერი, კულტურა ზომავს ეროვნულ საქმიანობას, როდესაც ენა ეროვნული აზროვნების ნიშანია. ლიტ. 4.

ავტ.

3.6.2.2.6. ნეოლოგიზმთა თავისებურებანი ფრანგულ ინტერნეტ-სლენგში. /ც. ახვლედიანი/. ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 9-12. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომი ეხება ინტერნეტ-საშუალებებით შემოსულ ნეოლოგიზმებს ფრანგულ ენაში. თანამედროვე სამყაროში, ინტერნეტ-სლენგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტერნეტმომხმარებელთა ურთიერთობაში; ბოლო დროს კი, შეინიშნება ინტერნეტ-ლექსიკის აქტიური გამოყენების ტენდენცია ფრანგი ახალგაზრდების ყოველდღიურ ცხოვრებაში. ფრანგულ ენას ახასიათებს სიტყვათა დიდი რაოდენობის შეკვეცა სასაუბრო მეტყველებაში. ეს მოვლენა ასევე მჟღავნდება ინტერნეტ-ურთიერთობებშიც. განმასხვავებელი ნიშნებია აბრევიატურების აქტიური გამოყენება, ზოგიერთ ასოებრივ შეერთებათა შეცვლა აპოსტროფით, სიმბოლოთა (ციფრების, დიდი ასოების, ფულის სიმბოლოთა) გამოყენება სიტყვის თანამჟღერ ნაწილთა ან მთელ სიტყვათა შესაცვლელად, ნეოლოგიზმების შექმნა და/ან გამოყენება. ფრანგული ინტერნეტ-სლენგი, რომელსაც ახასიათებს სიტყვაწარმოების სხვადასხვა ხერხი, ხშირად სალიტერატურო ფრანგული ენისათვის არატიპიური, ფართოდ გამოიყენება თანამედროვე ფრანგი ახალგაზრდების მიერ ინტერნეტ-სერვისებში ურთიერთობისას და გამოდის რა ვირტუალური ენის ჩარჩოებიდან, რეალურ ყოველდღიურ ურთიერთობაშიც კი გამოიყენება. ლიტ. 3.

3.6.2.2.7. ენანტიოსემიის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ფრანგულში. /ც. ახვლედიანი/.
 ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 17-20. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ენანტიოსემიის პრობლემები თანამედროვე ფრანგულ ენაში და წარმოდგენილია მათი კლასიფიკაცია. განსაკუთრებულ ყურადღება ეთმობა ამ ენობრივი ფენომენის ანალიზისადმი სხვადასხვაგვარ მიდგომასა და მათ ინტერპრეტაციებს. ენანტიოსემიური ფენომენის სრულყოფილი კლასიფიკაცია ჯერჯერობით არ მომხდარა, დამუშავებულია მხოლოდ ძირითადი სახესხვაობები, რაც დამახასიათებელია ფრანგული ენანტიოსემიისათვის; ესენია: 1. ენობრივი ოპოზიცია - სამეტყველო ენანტიოსემია, რომელიც ხშირად წარმოადგენს ენანტიოსემიის სხვა სახეობათა საფუძველს; 2. სტრუქტურისა და გამოვლენის ხარისხის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს სრული ენანტიოსემია, რომელიც გულისხმობს სიტყვის ერთი მნიშვნელობის მეორესთან აბსოლუტურ სტრუქტურულ შესაბამისობას და არასრული ენანტიოსემია, რომლის დროსაც საპირისპირო მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი მოდიფიცირდება ანალიტიკური ხერხით; 3. კონტექსტის შენარჩუნების აუცილებლობის მიხედვით, შეიძლება გამოიყოს აბსოლუტური ენანტიოსემია 4. ფუნქციის მიხედვით, მიზანშეწონილია გამოვყოთ ლოგიკური (ანუ ნომინატიური) ენანტიოსემია, რომელიც ეხება ნომინატიურ, სტილისტიკურად არამარკირებულ მნიშვნელობას 5. გრამატიკული კრიტერიუმების გათვალისწინებით, შეიძლება ვილაპარაკოთ სუბსტანტიურ ენანტიოსემიაზე, 6. ფრანგული ენის ხატოვანი ხასიათის გათვალისწინებით, მათთვის დამახასიათებელია ოპოზიცია ლექსიკური (ანუ ლექსემური)/ფრაზეოლოგიური ენანტიოსემია 7. სინტაქსური ენანტიოსემია შეიძლება გამოვლინდეს სინტაქსურ დონეზე 8. ლექსიკურ/გრამატიკულ ენანტიოსემიას; 9. სტილისტიკური ენანტიოსემია; 10. შესაძლებელია გამოიყოს სინქრონიული და დიაქრონიული ენანტიოსემია. ლიტ. 2.

3.6.2.2.8. გენდერის სემანტიკური სპეციფიკისათვის გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში. /ც. მოდებაძე/.
 იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 71-76. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
 DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.08>

ქალი სამყაროს, სიცოცხლის საწყისი და დასასრულია. ქალის გარეშე სამყარო დიდი ხნის წინ შეწყვეტდა არსებობას. გამომდინარე იქიდან, რომ ფრაზეოლოგიზმები ერის ცნობიერების და ცხოვრების სარკეა, კონცეპტ „ქალის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები ყველა ენაში მრავლადაა და მათ შორის გერმანულშიც. ჩვენი კვლევის მიზანია: კონცეპტ „ქალის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმების მოძიება და მათი სემანტიკის განსაზღვრა. კვლევის ობიექტია გერმანულენოვანი ლექსიკონები და პრესა, კერძოდ ჟურნალები: „Bravo“, „Mädchen“. მოძიებულ იქნა 83 გერმანული ფრაზეოლოგიზმი. როგორც კვლევამ გვიჩვენა, კონცეპტი „ქალი“ გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში გამოყენებულია დადებითი და უარყოფითი კონოტაციით, თუმცა უარყოფითი კონოტაციით გამოყენებული ფრაზეოლოგიზმები ჭარბობს (54) დადებითი კონოტაციით წარმოდგენილ (29) ფრაზეოლოგიზმებს. კონცეპტი „ქალი“ დადებითი კონოტაციის ფრაზეოლოგიზმებში ნახმარია მრავალფეროვანი სემანტიკური მნიშვნელობით, როგორიცაა სილამაზე, სიყვარული, მომჭირნეობა, შრომისმოყვარეობა და ა. შ. გერმანული ფრაზეოლოგიზმების კვლევამ გვიჩვენა, რომ ქალი უფრო ხშირად ნეგატიური კონოტაციით ანუ უარყოფითი სემანტიკური მნიშვნელობით ფიქსირდება. ბიბლიაშიც კი ევა არის ცოდვის

დასაბამი. იგი არის საგანი, სათამაშო ეშმაკის ხელში. ის არის სუსტი არსება, რომელზედაც ზემოქმედება იოლია. უარყოფით კონოტაციაში იგულისხმება შემდეგი სემანტიკური მნიშვნელობები: გრძელი ენა, მოკლე ჭკვა, სიცბიერე, არასანდოობა, მსუბუქი ყოფა-ქცევა, ცვალებადი ხასიათი და ა. შ. კონცეპტ „ქალის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმების უმეტესობა სემანტიკური მნიშვნელობით ქალისა და მამაკაცის ურთიერთობასთან და ოჯახთან არის დაკავშირებული. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიუხედავად უამრავი უარყოფითი კონოტაციის შინაარსის მქონე ფრაზეოლოგიზმებისა, ქალი მაინც რჩება სიცოცხლის საწყისად, რაც კარგად ჩანს ფრაზეოლოგიზმებშიც. ლიტ. 11.

ავტ.

3.6.2.2.9. ანგლიციზმების სქესის განსაზღვრა გერმანული პრესის მაგალითების მიხედვით. /თ. ნიჟარაძე, ს. შავგულიძე/. ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 61-66. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ანგლიციზმების გერმანულ ენაში მოხვედრისას ხდება მათი ინტეგრირება გერმანულ გრამატიკულ სისტემასთან. არსებით სახელებს ინგლისურში არ აქვს სქესი. მაგრამ თუკი ასეთი სიტყვის შესახებ ხდება გერმანულში, ის მაშინვე მიიღებს გრამატიკულ სქესს, რაც არტიკლით გამოიხატება. გერმანულში ანგლიციზმების სქესის განსაზღვრა ხდება შემდეგი კრიტერიუმებით: 1. ბიოლოგიური სქესი; 2. ლექსიკური მსგავსება; 3. ჯგუფური ანალოგია; 4. ფარული სემანტიკური ანალოგია; 5. მარცვალთა რაოდენობა; 6. მორფოლოგიური ანალოგია. განხილულია თითოეული კრიტერიუმი გერმანული პრესიდან მოყვანილი მაგალითების საფუძველზე. საილუსტრაციო მასალა მოხმობილია DWDS-ის კორპუსიდან. კონკრეტული მაგალითები მოძიებულია შემდეგი ჟურნალ-გაზეთების 2000 წლის შემდგომ გამოცემებში: Berliner Zeitung, Der Tagesspiegel, Die ZEIT. როგორც კვლევამ აჩვენა, გერმანულში ინგლისურიდან შემოსული არსებითი სახელები ექცევიან გერმანული გრამატიკული წესების ფარგლებში. რამდენადაც სქესის გრამატიკული კატეგორა ინგლისურში არ არის გამოხატული მორფოლოგიურად არსებით სახელებთან, გერმანულმა ენამ ამ მხრივ დიდი გავლენა მოახდინა ანგლიციზმებზე. ლიტ. 4.

ავტ.

3.6.2.2.10. ყაბარდოული ენის სისტემის ძირითად თავისებურებათა შესახებ. /ვ. შენგელია/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2023. – ტ. 17. – #1. – გვ. 145-150. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ყაბარდოული (სხვაგვარად – ყაბარდოულ-ჩერქეზული) ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის აფხაზურ-ჩერქეზული ჯგუფის წევრია, კერძოდ, ის შედის ამ ჯგუფის ჩერქეზულ (ადილურ) ქვეჯგუფში, რომელშიც მასთან ერთად ადილურიც მოიაზრება. ყაბარდოულის ფონეტიკური სისტემა და გრამატიკული სტრუქტურა საინტერესოა როგორც თავისთავად, ისე თეორიული ენათმეცნიერების თვალსაზრისით. ფონეტიკაში ყურადღებას იქცევს სამწევრა ვოკალიზმი და რთული კონსონანტიზმი, რომელშიც წარმოდგენილია როგორც სხვა იბერიულ-კავკასიური ენებისათვის დამახასიათებელი ხშულთა სამეულეზბრივი სისტემა (მჟღერი, ფშვინვიერი და აბრუპტიული

თანხმოვნებით), ისე სპეციფიკური ფონემები – ლატერალები და სპირანტთა სამეულები. თანხმოვანთა კომპლექსების მეტი წილი ორკომპონენტიანია და დეცესიური მიმდევრობისა.

მნიშვნელოვანია არსებითი სახელების დაყოფა ვინ და რა ჯგუფის სახელებად. სახელებს მოეპოვება კუთვნილების, ბრუნვის, განსაზღვრულობისა და რიცხვის კატეგორიები. კუთვნილების კატეგორიის ნიშნები პრეფიქსებია. გამოიყოფა ოთხი ბრუნვა – სახელობითი, პოლიფუნქციური ერგატივი, მოქმედებითი და გარდაქცევითი. თავისებურია პირის, ჩვენებით და კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნვა. თვლის სისტემა ყაბარდოულში ათობითია (ადიდურისაგან განსხვავებით), რიგობით და წილობით რიცხვით სახელებს პრეფიქს-სუფიქსები აწარმოებს. ყაბარდოულში გარჩეულია გარდაუვალი და გარდამავალი, სტატიკური და დინამიკური ზმნები (დინამიკურობას და სტატიკურობას სპეციალური მაწარმოებლები აქვს). ზმნა შეიძლება იყოს მონოპერსონალური და პოლიპერსონალური – ორპირიანი, სამპირიანი, ოთხპირიანი და ხუთპირიანი. ზმნა

მდიდარია სიტყვაწარმოებითი კატეგორიებით – შვიდი კატეგორია ფუნქციონირებს (მათ შორის – კაუზატივისა და ქცევის კატეგორიები). ატრიბუტულ სინტაგმაში გვაქვს როგორც პრეპოზიციური, ისე პოსტპოზიციური წყობა. მსაზღვრელი პრეპოზიციურია, თუ ის რიგობითი რიცხვითი სახელია ან ჩვენებითი ნაცვალსახელი. პოსტპოზიციურია გვხვდება ზედსართავი სახელი და რაოდენობითი რიცხვითი სახელი. ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს დაირთავს სინტაგმის მეორე კომპონენტი. პრედიკატულ სინტაგმაში გარდამავალი ზმნა ქმნის ერგატიულ კონსტრუქციას (სუბიექტი ერგატიულ ბრუნვაშია, პირდაპირი ობიექტი – სახელობითში), გარდაუვალი – ნომინატიურს (სახელობით ბრუნვაში დასმული სუბიექტით). ლიტ. 9

ავტ.

3.6.2.2.11. ეტიმოლოგიური კომენტარები. /ნ. სიმონიანი/. ჟ. **ენა და კულტურა**. – 2022. – #28. – გვ. 72-78. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

შესწავლილია სომხური სიტყვების *kc ist 'thorne', xał 'to call, to cry'*. ორიგინალობის საკითხი. სიტყვა *kc ist* მიჩნეულია უცხოური წარმოშობის სიტყვად (რ. აჩარიანი, გ. ჯაპუკიანი). ფონეტიკური და სემანტიკური ანალიზმა მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ეს სიტყვა ინდო-ევროპული ძირისაა და შემოსულია სომხურში. ანალოგიურია ჩვენი კვლევის შედეგი სიტყვისათვის *xał 'to call, to cry'*. ლიტ. 21.

ავტ.

3.6.2.2.12. აფხაზეთი-ენის კონცეპტი. /ნ. კუცია/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI. – გვ. 48-61. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ენა ეროვნულობის უპირველესი ჰიპოსტასია, ტერიტორიასა და სარწმუნოებასთან ერთად. ილიასეული კონცეპტი („მამული, ენა, სარწმუნოება“) ჯერ კიდევ მეათე

საუკუნეში ფიქსირდება გიორგი მერჩულესთან. იმპერია ასწლეულთა განმავლობაში ცდილობდა ამ ჰიპოსტასთან ნიველირება-გაქრობას. აფხაზეთი, საქართველოს ჩრდილო-დასავლეთი რეგიონი, შავი ზღვა ჯერ ცარიტული, შემდეგ საბჭოთა იმპერიის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წამოადგენდა, 1993 წელს კი განახორციელა კიდეც ასწლეულობით ნაოცნებარი - ავტოქტონ ქართველთა ეთნიკური წმენდის შედეგად სრულად შეცვალა რეგიონის დემოგრაფიული სურათი, მიიტაცა ძირძველი ქართული მიწები და, ოკუპაციანექსიის მორიგ ეტაპზე, დაედირა მხოლოდ სამურზაყანოში დარჩენილი ქართული მოსახლეობის იდენტობის უპირველეს მახასიათებელს - ქართულ ენას - გააუქმა რა მშობლიურ ენაზე სწავლება.

აბსოლუტურად განსხვავებული ვითარებაა ენგურსგამოდმა საქართველოში - მრავალ სკოლაში ისწავლება აფხაზური ენა, თბილისისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ცალკე სპეციალობადაა წარმოდგენილი აფხაზოლოგია, გამოიცემა ქართულ-აფხაზური, აფხაზურ-ქართული ლექსიკონები, ითარგმნება აფხაზ ავტორთა ნაწარმოებები. ქართული ენის მდგომარეობა რეგიონში მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს. ლიტ. 16.

ავტ.

6.2.3. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა

3.6.2.3.1. გერონტი ქიქოძის ლიტერატურულ-კრიტიკული ნააზრებიდან. /ე.

ვარდოშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI. – გვ. 62-72. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

მეცნიერული კვლევისას გერონტი ქიქოძე ეყრდნობოდა რუს და დასავლეთ ევროპელ მწერალთა და ფილოსოფოსთა ნააზრებს. იგი იყო ბრწყინვალე მთარგმნელი, კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. ილია ჭავჭავაძის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ იგი შემდეგ წერილებსა და ნარკვევებში გვესაუბრება: „ილია ჭავჭავაძის პორტრეტისათვის“, „ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“, „ილია ჭავჭავაძე“, „ტრაგიკულის გრძნობა ქართულ პოეზიაში“, „პოეზია და სინამდვილე“. „მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. ილია ჭავჭავაძის შესახებ მნიშვნელოვანია გ. ქიქოძის შემდეგი დებულებები: ილიამ სალიტერატურო ჟანრებისა და ტიპების დემოკრატიზაცია მოახდინა. ილიას იგი მიიჩნევს პირველ ქართველ მწერლად, რომელმაც პოეზიას თავის სამშობლოს უახლოესი სინამდვილე დაუდო საფუძვლად. ამასთანავე, ქიქოძე თვლის, რომ პატრიოტული ლექსების უმრავლესობა პროგრამული ხასიათისაა ან განსაზღვრული თემის განვითარებას წამოადგენს. „განდეგილი“ მას ყველაზე აბსტრაქტულ ქმნილებად მიაჩნია ილიას ნაწარმოებთა შორის, რომლის მორალი სრულიად გარკვეულია, ესაა ასკეტიზმის უარყოფა ჰუმანიზმის სახელით. ასევე აღნიშნავს, რომ ილიამ, როგორც მხატვარმა, განსაკუთრებით სოციალური საკითხებისადმი მიძღვნილი

ნაწერებით გაითქვა სახელი. 1936 წლით დათარიღებულ წერილში „ქართლი კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე“ გ. ქიქოძე ასკვნის: „რუსთაველის მსგავსად ილია ჭავჭავაძემაც ქართული ლიტერატურა გაანთავისუფლა ნაციონალური კარჩაკეტილობისაგან, მან ქართული კულტურის ჯანსაღი ტრადიციები მოწინავე კაცობრიობის დიდ იდეურ მოძრაობას დაუკავშირა. მხოლოდ რუსთაველის დროს ყველაზე მოწინავე წინა აზრის და ბიზანტიის კულტურა იყო. ილიას დროს კი დასავლეთ-ევროპის კულტურა“ (გ. ქიქოძე). გ. ქიქოძისეული თვალთახედვა ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესახებ აქტუალური და მნიშვნელოვანია დღესაც. ლიტ. 8.

ავტ.

3.6.2.3.2. თხრობის სტრუქტურა ჯონ სტაინბეკის რომანში თავგებსა და ადამიანებზე. /გ. ჩიქობავა/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. - 2023. - ტ. 17. - #2. - გვ. 161-166. - ინგ.; რეზ.: ინგ., ქართ.

ნაშრომის მიზანია, თხრობის სტრუქტურის კვლევა დიდი ამერიკელი მწერლის, ჯონ სტაინბეკის ადრეულ რომანში თავგებსა და ადამიანებზე (1937), რომელსაც თვით მწერალი „პიესა-რომანს“ (‘play-novelettes’) უწოდებდა. რომანი ისეა დაწერილი, რომ თეატრალურ დასებს შეუძლიათ მისი, როგორც პიესის, სცენაზე დადგმა. ფაქტობრივად, აქ თითოეული თავი ერთგვარი სცენა თუ დრამატული მოქმედებაა: პირველი აზნაუციები ქმნის სამოქმედო გარემოსა და ფონს, რაც საშუალებას აძლევს ავტორს მხოლოდ მინიმალური ჩარევით, დიალოგების საშუალებით წარმართოს თხრობა, გადმოსცეს მოქმედება და ხასიათები. რომანში პიესის მსგავსადაა დრამატიზებული უმიწაწყო მიგრანტ მუშათა უიმედო ბრძოლა დამოუკიდებელ მიწათმფლობელებად გადაქცევისათვის 1930-იანი წლების დიდი დეპრესიის დროს. ის, რომ მწერალი არ გვიხატავს ათწლეულის პანორამულ სურათს, განპირობებულია თხრობის სტრუქტურითა და ჟანრის პოეტიკით, რომელიც პანორამული თხრობის ელემენტების ნიველირების ხარჯზე მოქმედების დრამატიზაციას მოითხოვს, უფრო გვიანდელი ეპიკური ტილოსაგან მრისხანების მტევნები (1939) - განსხვავებით, სადაც თხრობის დრამატიზაციას პანორამული ელემენტები ერწყმის. თხრობისას სტაინბეკი თავს არიდებს ისტორიული ფონის ფართო პლანით ჩვენებას, დიდი დეპრესიის ეპოქის პანორამული სურათის დახატვას. მწერალი ექსპერიმენტულ თხრობით სტრატეგიას მიმართავს - იყენებს ენას, მოქმედებას და სიმბოლიკას, როგორც განმეორებად მოტივებს. სამივე მოტივი რომანის პირველივე ეპიზოდში გვხვდება, შემდეგ თხრობის კვალდაკვალ კონტრაპუნქტულად იმლება და ბოლოს ისევ თავს იყრის რომანის ფინალში. თავგებსა და ადამიანებზე მრავალშრიანი, მრავალპლანიანი პიესა რომანია რთული სიმბოლიკითა და კომპლექსური თხრობის სტრუქტურით, რაც განაპირობებს კიდევ ნაწარმოების სიცოცხლისუნარიანობას. ლიტ. 10.

ავტ.

3.6.2.3.3. ევროპული მასკარონები დადიანების სასახლეში. /ლ. ჭითანავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. - 2021. - XXI. - გვ. 84-90. - ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

მასკარონები, ადამიანის სახის ან ცხოველის თავის გამოსახულებიანი, უკანა მხრიდან ჩამოჭრილი და ბრტყელფუძეზე მიდგმული სკულპტურული მოსართავებია. მასკარონების ერთი ჯგუფი აერთიანებს ზღაპრულ-ფანტასტიკურ არსებებს - გრიფონებსა და მათ მსგავს გამოსახულებებს. უდიდესი ნაწილი ლომების, ლეოპარდების, ძაღლების, კატების, არწივებისა და სხვათა რეალისტური გამოსახულებებია, მაგრამ ასევე დიდი რაოდენობითაა ბერძნულრომაული მითოლოგიის პერსონაჟების სახეები, ასე მაგალითად: დიონისე, ღვინისა და ვენახის კულტურის გამავრცელებელი დვთაება, რომელსაც თავი დამშვენებული აქვს ვაზის გვირგვინითა და ფიჭვის გირჩით. არქიტექტურაში მასკარონი მე-17 საუკუნეში იტალიაში გაჩნდა, შემდგომ ევროპის სხვა ქვეყნებში გავრცელდა. თავდაპირველად ავი სულების შესამინებლად იქმნებოდა, თუმცა ესთეტიკური სილამაზე და ვიზუალური დიდებულება არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო. ბაროკოსა და რენესანსული სტილის ავეჯი დამშვენებულია მასკარონებითა და გრიფონებით. მიუხედავად იმისა, რომ იმჟამინდელი არქიტექტურის შესაბამისად ავეჯი მძიმეა და მონუმენტური, მასზე გამოსახული მასკარონები ამ სიმძიმეს ატარებენ და მონუმენტურობით გამოირჩევიან. ცნობილია, რომ სამეგრელოს სამთავროს მმართველ დადიანებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა და ნათესაობა აკავშირებდათ საფრანგეთთან. ევროპული სტილი განუყოფელი ნაწილი იყო დადიანების სასახლის ცხოვრებისა, ამიტომაც ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი და მისი შვილები ევროპულ განათლებას ზიარებულნი, ამ გავლენით აწყობდნენ თავიანთ საცხოვრისს; ავეჯს სპეციალურად უკვეთავდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში (იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, ინგლისი). სალომე დადიან-მიურატს მემკვიდრეობითაც ერგო ნაპოლეონ ბონაპარტის ავეჯის ნაწილი, მათ შორის სეკრეტერები, რომლებიც დამშვენებულია ბავშვთა და ქალთა სახეებით. აქვეა არა ერთი სავარძელი და სკამი დამშვენებული ლომების, მიწიერი მზრძანებლობის გამომხატველი იდეალების ფიგურებით; ტუმბოები და კარადები დატვირთულია, როგორც ქალთა, მამაკაცთა, ახალგაზრდების, ბავშვების სახეებით, ისე ზღაპრულ-მითიური პერსონაჟებით, გრიფონებით, ხარკაცების, სატირებისა და სხვათა სახეებით.

ლიტ. 6

ავტ.

3.6.2.3.4. მიხეილ ბახტინის ესთეტიკური კონცეფციის განვითარების გზები. /მ. ქარდავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI. – გვ. 91-99. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

მიხეილ ბახტინის სახელი ყველა ლიტერატურათმცოდნისათვის არის ცნობილი. ნაშრომში შეძლებისდაგვარად განხილულია ბახტინის ესთეტიკური თეორია, როგორც ერთი მთლიანობა და წარმოჩენილია მისი განვითარების გზები. ძნელია მიხეილ ბახტინის ნააზრევის შესწავლა და გაგება, მიზეზი კი მეცნიერის რთულ და თავისებურ სტილთან ერთად აზრის გადმოცემის თეზისური და კონსპექტური ფორმებია,

რომლებიც ინტუიტურ აფორიზმებს ემსგავსება. ბახტინს აინტერესებდა ადამიანის ონტოლოგიური ბუნება, რომელიც ხშირად არ მოდის თანხვედრაში მის პიროვნულ მახასიათებლებთან. მისთვის ნიშანდობლივია განსაკუთრებული ინდივიდუალური აზროვნება, არ მოსწონს წინა პერიოდის მეცნიერული ტრადიციების აბსტრაქტულ-ლოკალური სივრცე, რომელიც მისაღებად თვლიდა, მხოლოდ მსჯელობის ერთ ვარიანტს, ანუ ბ ყოველთვის იყო ბ-ს ტოლი. მიხეილ ბახტინის მეცნიერული მემკვიდრეობა ხშირ შემთხვევაში მოიცავს ფილოსოფიური აზრის ურთიერთ საწინააღმდეგო მიმართულებებს. მკვლევართა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ბახტინის იდეები ესაა რუსული ინტელექტუალური ტრადიციების გაგრძელება, ხოლო მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ის უფრო ახლოს იყო დასავლურ-ევროპულ კულტურასთან, კერძოდ; სტრუქტურალიზმთან და მარქსისტულ პოეტიკასთან და, რომ მისი იდეები ინტუიტირებულნი არიან პოსტმოდერნიზმით. ეს იდეები ხშირად დიამეტრულად განსხვავებულნი და შეუთავსებელნიც კი არიან ერთმანეთთან, რასაც ზოგჯერ მეცნიერის შემოქმედებითი მემკვიდრეობის დამახინჯებულ აღქმამდეც მივყავართ. ბახტინი უარყოფდა მეცნიერულ აბსტრაქციას და უპირატესობას ანიჭებდა კონკრეტულ აზრს, კონკრეტულ ინდივიდუალურ სუბიექტს, რომელიც მოქმედებდა გარკვეულ დროსა და გარკვეულ სივრცეში. ცდილობდა რუსული თავისუფალი აზრის დაკავშირებას გერმანულ ფილოსოფიასთან. ლიტ. 5.

ავტ.

3.6.2.3.5. „ტყაშმაფა“ და მეგრული წარმართული პანთეონი. /ნ. აბულაძე/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI. – გვ. 73-83. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ განვითარების ძალიან რთული და მრავალფეროვანი გზა განვლო. მეგრული სულიერი კულტურის განხილვა უძველესი ქართული ტრადიციის გარეშე შეუძლებელია. მეგრული ეთნოგრაფიული ყოფა და ზეპირსიტყვიერი მასალა საშუალებას გვაძლევს ჯეროვნად იქნეს შესწავლილი წარმართული პანთეონი ზოგადქართულ და მსოფლიო წარმართულ პანთეონთან ერთად. მითოლოგიურ პერსონაჟებზე არსებული ადრინდელი თქმულებები და გადმოცემები მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ წერილობითი წყაროების უქონლობის გამო ამგვარი თქმულებები და გადმოცემები ხალხის ყოფას გადმონაშთის სახით შემორჩა, რომელიც აუცილებელია იმ შეხედულებების აღსადგენად, რომლითაც იკვებებოდა ჩვენი წინაპრების გონება. ლიტ. 11.

ავტ.

3.6.2.3.6. სათაურის შერჩევა ტექსტის რედაქტირებისას. /ნ. მაღლაფერიძე/. გონი. - 2023. – #9. – გვ. 98-105. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში გადმოცემულია სხვადასხვა ტიპის ნაწარმოებებისთვის სათაურის შერჩევის წესები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია მხატვრული და არამხატვრული ტექსტების სათაურების შერჩევაზე, რადგან პირველში სათაური უნდა გამოხატავდეს ნაწარმოების თემასა და იდეას, ხოლო მეორეში – გადმოცემული საკითხის პრობლემატიკას. აქვე საუბარია პრესის სათაურების სახეობებსა და რედაქტორის მიერ მათ გონივრულად შერჩევაზე. საუბარია იმაზეც, თუ რა სტილის სათაური შეეფერება რუბრიკას, ქუდს, ქვესათაურსა და საკუთრივ სათაურს. ნაშრომში გადმოცემულია სხვადასხვა ცნობილ მწერალთა დამოკიდებულება სათაურისადმი. რუს კლასიკოსთაგან მოყვანილია ჩეხოვის სათაურისადმი მეტად საპასუხისმგებლო დამოკიდებულება, ხოლო ქართველ მწერალთაგან ვსაუბრობთ მიხეილ ჯავახიშვილის სათაურების შერჩევის ოსტატობაზე. ასევე, მოკლედ მიმოვიხილავთ სპეციფიკური თემატიკით შერჩეული კრებულების სათაურებს და იმ გავრცელებულ შეცდომებს, რომელთაც ხშირად უშვებენ ავტორები სათაურის შერჩევის დროს, კერძოდ, შტამპებზე, შაბლონებსა და ტრაფარეტებზე. აქვე ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, თუ როგორი შინაარსის შემცველი უნდა იყოს ესა თუ ის სათაური, კერძოდ: მისასალმებელი, კითხვითი თუ მიმართვითი. ლიტ. 4.

ავტ.

6.2.4. ლიტერატურის თეორია

3.6.2.4.1. მწერლის ენის ზოგიერთი თავისებურება (რეზო ჭეიშვილი). /მ. მიქაძე/. ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 48-60. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მწერალ რეზო ჭეიშვილის ენა სადა, მარტივი, ადვილად გასაგებია, მწერალი ცდილობს დაიცვას სალიტერატურო ენის ნორმები, მაგრამ მისი თხზულებების ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური და მორფოლოგიური მოვლენების შესწავლამ ცხადყო, რომ ნორმათა დარღვევის შემთხვევები გვხვდება როგორც პერსონაჟთა, ასევე მწერლის ენაშიც. მოქმედ პირთა მეტყველებაში საკმაოდ მრავლადაა დიალექტური ფორმები, უპირატესად კი იმერიზმები. ეს დასაშვებია, რადგან პერსონაჟის უკეთ დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათ მეტყველებას. მაგრამ რაც შეეხება მწერლის ენას, აქ დარღვევები გაუმართლებელია, მწერლის ენა უნდა იყოს ყოველგვარი კუთხური ფორმებისაგან, ნორმათა დარღვევებისაგან თავისუფალი. ლიტ. 14.

ავტ.

3.6.2.4.2. აკაკი წერეთლის უცნობი წერილები და მათი ატრიბუციის საკითხი. /ნ. ფრუიძე/. ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 108-114. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ცნობილია, რომ მწერლები ზოგჯერ შეგნებულად მალავენ თავიანთ ვინაობას და ისე აქვეყნებენ ნაშრომებს. ეს ბევრი მიზეზით შეიძლება აიხსნას. რასაკვირველია, მწერლის თანამედროვეებმა და, განსაკუთრებით, მისმა უახლოესმა გარემოცვამ, როგორც წესი, სიმართლე იცის, მაგრამ რაც დრო გადის, მეცნიერებისათვის მით უფრო რთულდება ავტორობის დადგენა. არადა, თუკი არ გვექნება საშუალება, რომ სრულად გავეცნოთ მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ვერც ამ უკანასკნელის სრულფასოვნად შესწავლაზე გვექნება პრეტენზია. ამიტომაცაა, რომ კლასიკოსთა მემკვიდრეობის გამოცემისას უყურადღებოდ არც სავარაუდო თხზულებებს ტოვებენ. თხზულებები, რომელთა მიკუთვნების საკითხი საეჭვოა და სპეციალურ კვლევაშიც ითხოვს, იბეჭდება თხზულებათა კრებულის ცალკე განყოფილებაში. ამგვარ განყოფილებას „Dubia“ ჰქვია. თუ დროთა განმავლობაში კვლევა დაადასტურებს ავტორობის საკითხს, მომდევნო აკადემიურ გამოცემაში ტექსტი ძირითად ნაწილში გადაინაცვლებს; საპირისპიროს დამტკიცების შემთხვევაში კი ამგვარ ტექსტს „Dubia“- დანაც ამოიღებენ. ზოგადად, ავტორობის დაადგენა საკმაოდ რთული პროცესია და სამი ძირითადი მიმართულებით ითხოვს კვლევას. ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, დოკუმენტური წყაროს მოპოვებაა; ასევე, კვლევის საფუძველზე უნდა გამოვლინდეს იდეური და ენობრივ-სტილური მსგავსება ავტორის აღიარებულ და სავარაუდო თხზულებებს შორის. საგულისხმოა, რომ აკაკის თხზულებათა დღემდე დაბეჭდილ არცერთ გამოცემას არ აქვს მსგავსი განყოფილება, არადა ნამდვილად არსებობს ისეთი ტექსტები, რომლებიც, შესაძლოა, მართლაც ეკუთვნოდნენ აკაკის კალამს. ამჯერად ჩვენი კვლევის საგანია 1905-1906 წლებში შექმნილი ორი სტატია: „რა გამოჟღავნდა?“ (ივერია, 1905, #45) და „იმერეთის თავად-აზნაურობის სულ-მოკლეობა“ („ცნობის ფურცელი, 1906, #3034). ვფიქრობთ, ორივე წერილის ავტორი აკაკი წერეთელია და რაკი ამ მოსაზრებას მხოლოდ ირიბი მტკიცებულებები გააჩნია, ისინი უნდა დაიბეჭდოს ე.წ. „სავარაუდოთა“ განყოფილებაში. მაგრამ ამისათვის უნდა დაიშვას პრეცედენტი და აკაკი წერეთლის თხზულებათა სრულ აკადემიურ გამოცემას, რომელზეც ამჟამად მუშაობს შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილება, უნდა დაემატოს „Dubia“. ლიტ. 5.

ავტ.

3.6.2.4.3. პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ზოგიერთი საკითხისათვის. /ნ. ბირკაია/. ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 85-95. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ზოგიერთი საკვანძო საკითხი. სტატიაში მიმოხილულია პოსტმოდერნიზმის, როგორც კულტურულ-ისტორიული ეპოქისა და მხატვრულ-ესთეტიკური პარადიგმის, წარმოშობის მიზეზები, პოსტმოდერნისტული ფილოსოფიისა და ესთეტიკის არსებითი მახასიათებლები და ამ ფონზე შესწავლილია პოსტმოდერნისტული რომანისათვის დამახასიათებელი ძირითადი პოეტოლოგიური კატეგორიები. XX საუკუნის მეორე ნახევარში -პოსტმოდერნიზმის ხანაში - იზადება რომანის ახალი ტიპი, ე.წ. პოსტმოდერნისტული რომანი, რომელიც პრინციპულად უპირისპირდება

პოეტოლოგიური და იდეურმსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ტრადიციული (განმანათლებლური, რეალისტური) და, მეორე მხრივ, არატრადიციული (რომანტიკული, მოდერნისტული) რომანის ტიპს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკის ისეთ თავისებურებებზე, როგორიცაა: დეკონსტრუქცია, ფრაგმენტულობა, დეკანონიზაცია, ირონია და თვითირონია, ჟანრების და ფორმების ჰიბრიდიზაცია, კარნავალურობა, პაროდულობა, დეკონსტრუქცია, ენობრივი და მსოფლმხედველობრივი თამაშება, ორმაგი კოდირება, ავტორის სიკვდილი, რეალურისა და ფიქციურის/გამოგონილის კომბინირება, ინტერტექსტუალობა და სხვა. პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკისათვის ნიშანდობლივია აპრიორული ანტილოგოცენტრიზმი/ლოგოცენტრისტული პოზიციებისა და ლოგოცენტრისტულ ღირებულებათა დეკონსტრუქცია/დე-სტრუქცია, დეკონსტრუქციისტული პათოსი, ონტოტექსტუალობა, არტისტული თამაშისადმი აპრიორული სწრაფვა, სიმულაკრულობა, ინტერტექსტუალობა, მეტაფიქციონალობა, ორმაგი (სამმაგი და ა. შ.) კოდირების პრინციპი, რიზომატულობა, კლასიკური ტექსტების პაროდირება, თხრობის/ნარაყის აბსოლუტიზება (თხრობა თხრობისათვის), ჟანრობრივი, სტილური და რიტორიკული პლურალიზმი, თხრობის პერსპექტივათა პლურალიზმი და თანაფარდობა, ტექსტის ყველა დონეზე (ლექსიკური, სინტაგმატური, პრაგმატული) აღსანიშნისა და აღმნიშვნელის მთლიანობის, ანუ მათი ერთმნიშვნელოვანი თანხვედრის რღვევა-დაშლა/დეკონსტრუქცია, გასართობი/ტრივიალური ლიტერატურისადმი მოჩვენებითი სწრაფვა და ტექსტის ფარგლებში გასართობ-მასობრივ და ინტელექტუალურ-ელიტარულ დისკურსთა თანაარსებობა, „ავტორის სიკვდილი“/ტრადიციული ავტორის „ლიკვიდაცია“. ლიტ. 16.

ავტ.

3.6.2.4.4. კონცეპტები დევი და ქაჯი/ქაჯეთი „ვეფხისტყაოსანში“ და მათი შესატყვისები რუსულ თარგმანებში. /მ. მჟავანაძე/. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 100-110. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული კონცეპტების - დევისა და ქაჯი/ქაჯეთის - კორპუსლინგვისტური ანალიზი, მოცემულია ცდა მათი ტრანსფერის საკითხის შესწავლისა რუსულ ენაზე შესრულებულ თარგმანებში, კერძოდ, კ. ბალმონტის შ. ნუცუბიძისა და ა. ხალვაშის მიერ შესრულებულ სრულ პოეტურ თარგმანებში. ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შევეცადეთ წარმოგვედგინა აღნიშნულ ლექსემათა გამოვლენის შემთხვევები მთელ პოემაში, შეგვეფასებინა ურთიერთმიმართებები როგორც დედანსა და თარგმანს, ასევე საკუთრივ აღნიშნულ თარგმანებს შორის. წინამდებარე სტატია სასარგებლო იქნება საკითხის შესწავლით დაინტერესებული მკითხველისათვის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ცხრ. 1., ლიტ. 20.

ავტ.

3.6.2.4.5. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი პასაჟის გააზრებისათვის -ინდოთ ქალაქი და ლორე [ისტორიულ - ფილოლოგიური ძიება]. /ი. სანიკიძე/. ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 101-107. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ცხადია, რომ თანადროული ეპოქა და მასში მიმდინარე ისტორიული მოვლენები უდიდეს გავლენას ახდენს რუსთველზე, ამიტომ საგულდაგულოდ დაფარული მხატვრული ფარდის მიღმა ნებისმიერ მკვლევარს პოეტის ეპოქის ამოცნობა უწევს. ინდოეთის ამბავში ერთერთი ასეთი საყურადღებო პასაჟი სასიძოს მკვლელობა და ამ მკვლელობის შემდგომ განვითარებული მხატვრული კონტექსტები მოჩანს, რომლებიც, თავის მხრივ, ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ ფაქტთან, 1178 წლის ორბელთა აჯანყებასთან, პირდაპირ

კავშირს უნდა ამჟღავნებდეს. სასიძოს მკვლელობის შემდგომ ტარიელს თავის საფეოდალო ქალაქში გამოკეტილს ვხედავთ, ისტორიული წყაროებიდან კი ცნობილია, რომ ბაგრანტიონთა სამეფო სახლის პირდაპირი შთამომავალი - დემეტრე-დემნა უფლისწული - ქვეყნის ამირსპასალარ იოანე ორბელთან ერთად ლორეს ციხეში (დღევანდელი სომხეთი) რამდენიმე თვეა გამაგრებული. მოკლედ რომ ვთქვათ, მხატვრულ ტექსტსა და ისტორიულ ცნობათა შორის ასეთი პარალელი იკვეთება — „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენთვის უცნობი ქალაქი ინდოთ ქვეყნისა და ლორე. ერთგანაც უფლისწულია გამოკეტილი ისე, რომ ზღუდეს ვერ სცდება და მეორეგანაც. ერთი გმირი ტარიელია და მეორე - დემნა. ორივეს სჭირდება დახმარება. სავარაუდოდ, ამიტომაც განგაშებს ინდოელი რაინდი და საშველად უხმობს თავის მომხრეებს, ანუ როგორც რუსთველი გვეტყვის — „ლაშქარსა ყველასა“. ვფიქრობთ, რომ რუსთველურ ტილოზე დავით აღმაშენებლის პირდაპირი შთამომავლის, დავით V-ის ვაჟის, დემეტრე-დემნა უფლისწულის, სამეფო ტახტიდან ჩამოშორების, გიორგი III-ის მიერ ძალაუფლების უზურპაციისა თუ დემეტრე უფლისწულის თესლში განადგურების მტკივნეული ისტორიის ერთი დეტალი ინდოთ ქალაქში გამოკეტილი ტარიელის ტკივილებშიც ქანდაკდება. ლიტ. 7.

ავტ.

3.6.2.4.6. მისტიკური სამყაროს სურათი ფრანც კაფკას ნაწარმოებებში. /ს. მუჯირი/. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 119-127. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განხილულია ებრაული მსოფლმხედველობის, ტრადიციების, განსაკუთრებით კი ებრაული მისტიკის გავლენა ფრანც კაფკას პიროვნებაზე და მის ლიტერატურულ შემოქმედებაზე. ფ. კაფკა თავის პროზაულ ნაწარმოებებში და ეზოთერულ ჟანრში დაწერილ

აფორიზმებში, უხვად იყენებდა სიუჟეტებსა და კონტექსტებს კაბალას სხვადასხვა ვარიანტებიდან და ჰასიდური მისტიკიდან. კაფკას ნაწარმოებებში უხვად ვხვდებით კაბალას „კვალს“: მოტივებს, თემებსა და ფიგურებს, ასევე, პოპულარულ ჰასიდურ ლეგენდებს, ბიბლიის ინტერპრეტაციებს, ქადაგებებს და ა. შ. ეს ინტერტექსტუალური პარალელები მკითხველს მიაწოდებენ ფ. კაფკას ნაწარმოებების სიღრმისეულ დონეზე, რომლის დეკოდირების გარეშე მისი გაგება შეუძლებელია. კაბალისტური ქვეტექსტი განსაკუთრებით იგრძნობა კაფკას რომანში „პროცესი“, მოთხრობებში „კანონის წინაშე“

და „სახეცვალება“. ამ ნაწარმოებებში წინა პლანზეა წამოწეული ცხოვრებისეული პრობლემებისგან და ცოდვებისაგან თავის დაღწევის, ჭეშმარიტი გზის მიგნების ცდები. კაბალაში გამოთქმულ რწმენას, რომ ადამიანს თეურგიის გზით, თვით უფალზეც კი შეუძლია ზემოქმედება, კაფკას ნაწარმოებების გმირები კარგავენ. თავისი პასიური თეურგიის გამო ისინი ვერ აღწევენ „უმაღლეს ინსტანციას“ და ეგუებიან თავიანთ ტრაგიკულ ბედს. ფ. კაფკა უმთავრესად აღწერს თვისობრივი იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანს, რომელიც თავისი უუნარობის, ამბივალენტური ფიქრებისა და არასწორი ქმედებების გამო, ვერ ხდება უზენაესი „კანონის“ გაგების ღირსი. ლიტ. 5.

ავტ.

3.6.2.4.7. სიცოცხლე, როგორც გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა. /ნ. რატიანი/. ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 95-100. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატიაში გაანალიზებულია გაბრიელ გარსია მარკესის ნაწარმოებში „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ რამდენიმე სიტყვა, რომელთა დეკოდირების შემდეგაც ტექსტი განსხვავებულად იკითხება. ეს სიტყვებია „ლელვის ხე“, „პირში საძაგელი გემო“, „ტანგაუხდელად ეძინა“. ამ სიტყვების გამოყენებით მწერალი მკითხველს ამისამართებს ბიბლიის „დაბადების“

ტექსტთან და, შესაბამისად, აძლევს გეზს, რომ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ დასვას ის შეკითხვები, რაც მკითხველს უჩნდება ბიბლიის წაკითხვის შემდეგ. ეს შეკითხვაა „ვინ არის დამნაშავე?“. მარკესის მოთხრობის მთავარი შეკითხვაც ესაა, მაგრამ ამ კითხვაზე პასუხი რამდენიმეა: დამნაშავე სანტიაგო ნასარია, რომელმაც კავშირი დაამყარა ქალიშვილთან, დამნაშავე ანხელა ვიკარია, რომელმაც მოუგონა სანტიაგო ნასარს და გადააბრალა სხვისი დანაშაული. დამნაშავე კაციც შეიძლება იყოს და ქალიც. მაგრამ ვინაა დამნაშავე სანტიაგო ნასარის სიკვდილში და არა ის, თუ ვინაა დამნაშავე სანტიაგო ნასარის მკვლელობაში. ამ კითხვას რომ პასუხი სწორად გაეცეს, საჭირო ხდება დამხმარე პერსონაჟების როლის ანალიზი. ვის შეეძლო და ვერ უშველა ნასარს? მღვდელმა, პოლკოვნიკმა, ექიმმა - ადამიანებმა, რომლებიც ისეთ პროფესიას წარმოადგენენ, რომელთა პირდაპირი პასუხისმგებლობაა ადამიანის გადარჩენა. მაგრამ ნაწარმოებში ნასარის სიცოცხლის ხელყოფამდე სააბედისწერო ნაბიჯს დგამს დედა - ის შვილს უკეტავს კარს. გამოდის რომ სანტიაგოს სიკვდილის მიზეზი დედაა. თუკი ამ მომენტს განვაზოგადებთ და ვიტყვი, რომ სანტიაგო ნასარი ნებისმიერი ადამიანია, მაშინ მივხვდებით, რომ მას შემდეგ, რაც უფალმა სამოთხიდან გამოაძევა ადამი და ევა, სიკვდილის მიზეზი ხდება დედა, ადამიანი, რომელიც აჩენს შვილს, ადამიანი, რომელიც სიცოცხლის დაბადებით აჩენს სიკვდილს და რომ გამოცხადებული სიკვდილი ესაა სიცოცხლის გაჩენა, ხოლო სიცოცხლე ესაა ამ გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა. ლიტ. 2.

ავტ.

3.6.2.4.8. ალექსანდრე შოშია ჩხაიძის პიესის „ხიდის“ განხილვა. /ს. ცეცხლაძე/. ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 115-121. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.
<https://doi.org/10.52340/lac>

პიესით შოშია ჩხაიძეს ქართული თეატრის ისტორიის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის და არა მარტო - თეატრის, მან თავისი დრამატურგიით ფუნდამენტური ცვლილებები შეიტანა ქართული აზროვნებისა თუ კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესშიც კი. მეტად ცხოვრებისეული, სამართლიანობასა თუ კაიკაცობაზე დაფუძნებული მისი შემოქმედებითი ნამუშევარი, არასდროს გახუნებულა და მიმაჩნია, რომ არც არასდროს გახუნდება. მისი გული სავსე იყო ადამიანთა სიყვარულით, სიკეთითა და უბოროტო საქციელებით. მისთვის უმთავრეს საგანს წარმოადგენდა, ადამიანს არ დაკარგოდა პირვანდელი არსი და ყოველთვის დარჩეს ადამიანად. არ შეუშინდეს ცხოვრების ურთულეს

გამოწვევებს, ყოველთვის იაროს სწორი და მართალი გზით, სადაც მუდამ იქნება სამართალი,

მორალი და ადამიანთა შორის პატივისცემა. მიუხედავად არსებული პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფონისა, ავტორი მაინც არ უშინდებოდა მაღალი თანამდებობის პირების ინტერესებს და კვლავინდებურად აგრძელებდა თავის საქმიანობას. დრამატურგს არასოდეს უღალატია საკუთარი ცხოვრების კრედოსთვის, მაღალი მოქალაქეობრივი თუ ზნეობრივი პოზიციებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სიტყვა მოზომილი, სხვების ინტერესებისთვის დამაკმაყოფილებელი და მისაღები უნდა ყოფილიყო, დრამატურგი ყოველ სტერეოტიპს ამსხვრევდა. გაბატონებული წესისა და ჩარჩოების მიღმა კვლავ აგრძელებდა საქმიანობას. შოშია ჩხაიძემ „ხიდის“ პერსონაჟების მეშვეობით, სრულყოფილად წარმოაჩინა თავისი სათქმელი, ცხოვრებისეული პოზიცია თუ ყოველი კრიტიკული მოსაზრება. ლიტ. 5.

ავტ.

3.6.2.4.9. ქრისტიანობისა და სამშობლოს დაცვის იდენტობის სკითხი ჰაგიოგრაფიაში. /ნ. გიორგაძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 126-131. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.16>

ქართული ორიგინალური მარტიროლოგიური ჟანრის თხზულებები ძველი ქართული მწერლობის სრულ პერიოდს მოიცავს. იგი იწყება V საუკუნიდან და სრულდება XVIII საუკუნით. ქრისტიანულ სამყაროში მოწამეთა კულტის აღმოცენების წინაპირობა ახალი აღთქმის წიგნებში უნდა ვეძიოთ. ქრისტესა და მისი მოწაფეების მოწამებრივი

აღსასრულით იყო შეპირობებული „წამებათა“ ჟანრის დამკვიდრება ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში. ჰაგიოგრაფია სინკრეტულობით გამოირჩევა. ამიტომაც არ კარგავს აქტუალობას, მას ვერც იდეოლოგიური ხასიათი ხდის დრომოჭმულად. ამ დარგის ნაწარმოებებს ყოველთვის ეძებნება თანადროულობის ნიშნები. წყაროთმცოდნეობითი მასალა, რომელსაც ასე ჭარბად იტევს „ეკსტატი მცხეთელის მარტვილობა“, მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ისტორიულ-ლიტერატურული კვლევებისა და დასკვნებისათვის. თხზულება იძლევა მონუმენტურ სურათს ეპოქის გლობალურ საკითხებზე, რაც მნიშვნელოვანია ეკსტატის ხასიათის, მისი პიროვნული სიმადლის გასააზრებლად. აღმოსავლეთ საქართველოს სპარსელთა დამპყრობლური პოლიტიკის გამოსვლით უმეფობის ხანა დასდგომია. მეფის უზენაეს ძალაუფლებას სპარსეთის შაჰის მიერ დანიშნული მარზპანი ჩაენაცვლა. ერისმთავარ-მამასახლისთა, დიდებულთა გარემოცვაც იკვეთება ძალისმყრობელ სპარსთა ირგვლივ, მაგრამ ფუნქციები ფორმალური, ნომინალურია. ასეთ მძიმე ჟამს, როცა ქართლში სპარსელები ზეობენ, თვით ის ძალა ბატონობს, რომელი ქვეყნისა და აღმსარებლობის წარმომადგენელიც მაზდეანად აღზრდილი ეკსტატია, უდიდესი გმირობის ტოლფასია ქრისტიანობის აღიარება. ქრისტესთვის წამებული იმავდროულად იქცა ჩვენი ქვეყნის ინტერესების დამცველად. მისი იდენტობა ეროვნულ გმირთან ბუნებრივად იკვეთება, რამეთუ, ქრისტიანობისათვის თავდადება ქვეყნისათვის თავდადებად აღიქმებოდა. ეკსტატი თავისი ქმედებით თავისთავად ეწინააღმდეგება აგრესორთა ძალმომრეობრივ პოლიტიკას. აქ ვლინდება მისი არა მარტო რელიგიური, არამედ ადამიანური, მოქალაქეობრივი პოზიცია. ეს პოზიცია უფრო კარგად გამოიკვეთა წმ. რაჟდენის ქმედებაში, როცა ვახტანგ მეფის თანამებრძოლად იქცა. ნერსე ერისთავის გვერდით აბოს მუდმივად თანამყოფობაც არ გამორიცხავს აბოს მხრიდან მისი პოლიტიკური იდეების თანაზიარობას. ისტორიული ფონი ქმნის უფრო ღირებულს აბოს წამების მნიშვნელობასაც და არა მხოლოდ წამების. ამ შემთხვევაშიც ერთგარად იკვეთება აბოს მოქალაქეობრივი პოზიცია. თავისი ქმედებით იგი თითქოს აპროტესტებს კიდეც არაბთა აგრესიას. აქეთაა მიმართული მის მიერ ქრისტიანული რელიგიის ქადაგება, პოლემიკური ნიშნით აღბეჭდილი მისი დიალოგი ამირასთან. ქართულ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიაში აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნების საიმედო საყრდენი ქრისტიანული ეკლესიაა, რომ სარწმუნოებრივ-ეროვნული გადარჩენის გზები ერთმანეთს კვეთს, თანხვედება. ამიტომ თითოეული წმინდანი მოიაზრება არა მხოლოდ ქრისტეს „ტარიგად“, არამედ ეროვნულ გმირად და აგრესიას დაპირისპირებულ მებრძოლად. ლიტ. 4.

ავტ.

3.6.2.4.10. ეპოქალური სინამდვილე დავით თურდოსპირელის მინიატურებში. /ნ. კოჭლოშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 138-144. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.18>

დავით თურდოსპირელის მინიატურები, მიუხედავად მცირე პროზისთვის დამახასიათებელი მკაცრი კანონიკისა, არა მხოლოდ მწერლის სულიერ სამყაროში გვახედებს და მისი სუბიექტური განცდების თანაზიარს გვხდის, არამედ მთელი რიგი სიცხადით წარმოაჩენს მწერლის თანადროულ ეპოქალურ პრობლემებს. დავით თურდოსპირელი ადრეული ასაკიდან ჩაერთო აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის პერიოდში რედაქტორობდა ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ჟურნალს „ჩვენი დროშა“ და აღმანახს „პირველი ტალღა“. ჟანდარმერია ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ახალგაზრდა მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ნაბიჯებს. დავით თურდოსპირელის მინიატურული პროზა მრავალმხრივ ეხმიანება მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველთა ისტორიულ-პოლიტიკურ თუ კულტურულ-საზოგადოებრივ ყოფას. მწერალს ქვეყანაში განვითარებულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა მოვლენებმა სათქმელის შენიღბვის სხვადასხვა გზისკენ უბიძგა. რიგ შემთხვევაში თუ შეფარვით ცდილობდა უფლებაყრდელი ქვეყნისთვის გზა ხსნისა ეჩვენებინა, რიგ შემთხვევაში კი თითქმის ერთი და იმავე სათაურით აბსოლუტურად განსხვავებული შინაარსის ნაწარმოებებს ქმნიდა. მინიატურაში „მჭკნარის ფოთლებთან“ შეფარვით განმუდგენებული ურვის მიზეზი უთუოდ მწერლის თანადროული ყოფითაა გამოწვეული. 1916 წლით დათარიღებულ მინიატურაში „სიყვარული“ ერთ შეხედვით სიყვარულის ფილოსოფიის მაძიებელი, ქვეყნიერების დასაბამიდან დღემდე მისი მატიანისა რომ ვერაფერი გაუგია რა, თავისუფლების ხიბლით ტკობისა და მონობის ბორკილების დასამასხვრევად თავგანწირული ბრძოლისკენ მოუწოდებს მკითხველს. დავით თურდოსპირელის ავტოგრაფებზე მუშაობამ მწერლის შემოქმედებითი პროცესისთვის დამახასიათებელი არაერთი ნიუანსი გამოკვეთა. რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია მისი ხელნაწერებისთვის, რომლებიც ძირითადად შავი ავტოგრაფებია და ნათლად გვიჩვენებს მწერლის შემოქმედებითი მუშაობის პროცესს, ავტორის მიერ ხელმოწერილი და დაუთარიღებელია. ვფიქრობთ, მწერალი შეგნებულად არ ათარიღებდა თავის ხელნაწერებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ თავისი სათქმელის მკითხველამდე მიტანას სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდა, ხელნაწერების დაუთარიღებლობაც, ალბათ, ერთ-ერთი ხერხი იყო თავისუფალი აზრის დასაცავად. დავით თურდოსპირელის მინიატურები, მიუხედავად თავისუფალი აზრის დევნა-შევიწროებისა, საინტერესოდ ავლენს მწერლის დამოკიდებულებას თანადროულ ისტორიულ-პოლიტიკურ ყოფასთან, ამავდროულად ქვეყნის უკეთესი მერმისისთვის ბრძოლის გზებსაც სახავს. ლიტ. 5.

ავტ.

3.6.2.4.11. ეპიკური ამბებიდან ერეკლეს ეპოსამდე. /ნ. გიორგაძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 121-125. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.15>

თემურ ჯაგოდნიშვილის თვალსაწიერი, კვლევის არეალი მეტად ვრცელია და მრავალისმომცველი. ამაზე მეტყველებს მისი 150-ზე მეტი პუბლიკაცია,

მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ვრცელი ჩამონათვალი: „რაფიელ ერისთავი და ხალხური შემოქმედება“(1979), „ქართული ფოლკლორისტიკის სათავეებთან“(1986), „ბერიკაცი ვარ ნუ მომკლავ“ (ფოლკლორისტულ-ლიტერატურათმცოდნეობითი ნარკვევები, 1990), „ქართული ორატორული ხელოვნება“(2000), „ნოდარ ტაბიძე (ცხოვრება მოღვაწეობა, 2009)“, „თაობათა მომღვარი“(2011), „ხანძთა, ძველი, ახალი(2014), “წერითი და ზეპირი კომუნიკაციები“(2017, თანაავტორთან ერთად), “ახალი რიტორიკა-საჯარო კამათის ტექნოლოგიები”(2018, თანაავტორთან ერთად), ლინგვოკრიმინალისტიკა“(2020), „ერეკლეს ეპოსი“(2021). ღვაწლმოსილი მეცნიერის ნაკვლევ-ნაღვაწი მოიცავს ლიტერატურათმცოდნეობის, ფოლკლორისტიკის, კომუნიკოლოგიის, ჟურნალისტიკათმცოდნეობის, ქართული ენის სწავლების საკითხებს. თემურ ჯაგოდნიშვილის ზემოთ დასახელებული წიგნების არასრული ჩამონათვალიდან გამოვყოფთ „ერეკლეს ეპოსს.“ წიგნი პირველად 2005 წელს გამოიცა, 2021 წელს ავტორმა მკითველს წარუდგინა ახალი, შევსებული რედაქცია, ხოლო 2023 წელს გამოდის მისი ინგლისურენოვანი თარგმანი. „ერეკლეს ეპოსის“ მნიშვნელობა დიდია. მისით გამდიდრდა ქართული ხალხური ეპოსი. ამჯერად, „ამირანის ეპოსის“, „ეთერიანის“ და „არსენას ლექსის“ გვერდით დამსახურებულად დგას „ერეკლეს ეპოსი“, გაირკვა ქართული ხალხური ეპიკური ცნობიერების სრულქმნილობა - მოთოლოგიური და სატრფიალო -რომანტიკული ეპოსების გვერდით საგმირო-საისტორიო ეპოსის არსებობა. თემურ ჯაგოდნიშვილი ქართულ ფოლკლორისტიკაში პირველი აღმოჩნდა, რომელმაც შეძლო არსებული ფოლკლორული ლექს-სიმღერების საფუძველზე გამოეველინა ერეკლე მეორის საგმირო-ისტორიული ეპოსის ტექსტები. წიგნში საინტერესოაა გაანალიზებული ერეკლეს ეპოსის თეორიული საფუძვლები და ეპოსმცოდნეობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ერეკლეს ზეპირსიტყვიერი თავგადასავლის ეპიკური სტრუქტურა, ტექსტის ჩაწერა-პუბლიკაციის ისტორია. და რაც მთავარია, წიგნი საშუალებას იძლევა მთლიანობაში აღვიქვათ ზეპირსიტყვიერებაში დალექილი ერეკლე მეფის ეპიკური თავგადასავალი, სრულად გავეცნოთ „პატარა კახის“ ეპოსის ციკლების გმირებს (ლევან ბატონიშვილი, მაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვანელი, თინა წავკისელი, ძალიკა ხიმიკაური, პაატა თემურიშვილი, გელა ნათელაშვილი და სხვა), გავიაზროთ მათი ისტორიული მისია ქვეყნის ტრაგიკული ხვედრის ფონზე. ლიტ. 3.

ავტ.

3.6.2.4.12. იურიდიული ცნებები გრიგორ ტატევაცის „კითხვათა წიგნში“. /ს. გრიგორიანი/. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 96-99. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

გრიგორ ტატევაცის (XIV-XV) „კითხვათა წიგნში“ არსებული იურიდიული ცნებების შეჯამებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მართალია, ავტორს ცალკე ნაშრომი ამ მიმართულებით არ გააჩნია, მაგრამ მისი კითხვები მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია. გრიგორ ტატევაცის კონსერვატიული საკუთარი შეხედულებებით ცდილობდა

განემართა წარსულში არსებული მიდგომები, მეორე მხრივ, პრობლემებიდან გამომდინარე, ახლებურად განემარტა იურიდიული ცნებები. ლიტ. 4.

ავტ.

3.6.2.4.13. საქართველოს გასაბჭოების პერიპეტიები გურამ გეგეშიძის რომანში „ხმა მღალაღებლისა“ (სისხლით ნაფერი წითელი დროშა). /ა. გოგილაშვილი/. ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 77-84. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

1921 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა საქართველოს ისტორიაში კიდევ ერთი ტკივილიანი ფურცელი ჩაწერა. რუსეთის მე-11 არმიის ნაწილები ბოლშევიკური აჯანყების მხარდასაჭერად საქართველოში 1921 წლის თებერვალში შემოიჭრნენ. კოჯორთან და ტაბახმელასთან რამდენიმე დღიანი უთანასწორო ბრძოლისა და დიდი მსხვერპლის შემდეგ, ქართულმა დანაყოფებმა პოზიციები დათმეს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მცირეხნიანი ისტორიაც ამით დასრულდა. ჩვენი ქვეყანა რუსეთის ოკუპაციის კლანჭებში მოექცა და საბჭოთა სასტიკი მმართველობის სამოცდაათწლიანი წნეხი დაიწყო. საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკულმა მოვლენებმა არაერთი ავტორის შემოქმედებაში ჰპოვა ასახვა. როგორც ილია ჭავჭავაძემ განსაზღვრა მწერლის ფუნქცია, გაჭირვებისა და უკიდურესი შევიწროვების ჟამსაც უნდა აფხიზლებდეს ერსო, საბჭოთა რეჟიმის დროს ეს ტვირთი საკუთარ თავზე არაერთმა ქართველმა მწერალმა აიღო, რაც გმირობის ტოლფასი იყო და ზოგიერთ მათგანს სიცოცხლის ფასადაც დაუჯდა. ხელისუფლებაში იოსებ სტალინის მოსვლის შემდეგ, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა სისტემამ განსხვავებული პოლიტიკური ხედვის მქონე ადამიანების, მათ შორის სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლების მასობრივი განადგურება დაიწყო. ეგრეთწოდებული პირველი ნაკადის ანტისაბჭოთა განწყობის მწერლები იყვნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მიწიშვილი, „ცისფერყანწელები“ და სხვანი, რომელთაც საბჭოთა ცენზურის მსახვრალი ხელი საკუთარ თავზე საკმაოდ მტკივნეულად გამოსცადეს. გურამ გეგეშიძე ის მწერალია, რომელსაც ქვეყნის მაჯისცემაზე უდევს ხელი. მისი რომანები „ხმა მღალაღებლისა“(1982), „სისხლის წვიმები(1991)“, „ნაცრის კოშკი(2001)“ და „ნათლისქრობა(2016)“ საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესების რამდენიმე მონაკვეთს ასახავს. მართალია, სტალინის გარდაცვალების შემდგომ, მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით, საბჭოთა რეჟიმის კრიტიკის გამო, მწერლებს სასიკვდილო განაჩენი აღარ ელოდათ, მაგრამ შევიწროვებისა და დაპატიმრების მსხვერპლნი მაინც ხდებოდნენ. მაგალითად შეგვიძლია, დავასახელოთ გურამ დოჩანაშვილისა და ჭაბუა ამირეჯიბის დაპატიმრების ისტორიები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ 1982 წელს, გურამ გეგეშიძის მიერ ანტისაბჭოთა იდეოლოგიით დატვირთული რომანის, „ხმა მღალაღებლისას“ გამოცემა მწერლის მხრიდან დიდ გამბედაობას მოითხოვდა. განსახილველ ნაწარმოებში ყურადღებამისაქცევია რამდენიმე მნიშვნელოვანი პარადიგმა, მათ შორისაა ეროვნული სულისკვეთების მქონე მამისა და მისი ძის, ყაფლან და ნესტორ ვარდანძეების

კონცეპტი, რომელიც ჩვენს ნაშრომში ეპოქის გამოძახილად მიიჩნევა და გაანალიზებულია საბჭოთა წყობილების დამყარების კონტექსტში. ასევე, საგულისხმოა ვარდანიძეების შტოსთან იდეოლოგიურად დაპირისპირებული უნდილაძეების კლანი, რომელიც ღალატისა და უზნეობის სიმბოლოდ წარმოაჩინა ავტორმა. ეკლესიიდან გამოსული, თეთრით შემოსილი ჯამბაჯურ ვარდანიძის მკვლელობა გაბოლშევიკებული ტიტიკო უნდილაძის მიერ - ბოლშევიკების ხელით ღმერთისა და სიწმინდის მკვლელობის ალეგორიად არის აღქმული ჩვენს ნაშრომში. გურამ გეგეშიძის მიერ „სისხლით ნაფერ წითელ დროშაზე“ აქცენტირებას კი საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისადმი ავტორის დამოკიდებულების კიდევ ერთ თვალსაჩინო მაგალითად განვიხილავთ. ლიტ. 13.

ავტ.

6.2.5. ცალკეული ლიტერატურული მიმდინარეობები

3.6.2.5.1. მხატვრული აზროვნების რემითოლოგიზაციისათვის: მითი, არქეტიპი და კოლექტიური არაცნობიერი. /ნ. კაკაურიძე, ი. ცხვედიანი, ლ. ნოზაძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2022. – #1(19). – გვ. 50-64. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატიის მიზანია, გაანალიზოს მხატვრული აზროვნების რემითოლოგიზაციის კვლევასთან დაკავშირებული ზოგადთეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები; შეისწავლოს ტერმინ „მითის“ დეფინიციები ლიტერატურულ კრიტიკაში და განსაზღვროს მითის, არქეტიპისა და კოლექტიური არაცნობიერის როლი, კომპლექსური ურთიერთმიმართების სპეციფიკა. ლიტ. 39.

ავტ.

3.6.2.5.2. შერვუდ ანდერსონის პერსონაჟთა გროტესკული სახეები და ნიღბები. /კ. წურწუშია/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 145-155. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.19>

წარმოდგენილი პუბლიკაციის მიზანია დიდი ამერიკელი მწერლის შერვუდ ანდერსონის ნოველების კრიტიკული ანალიზი, ინტერპრეტაცია და კონოტაციური ძიებანი. ამ თვალსაზრისით ნაშრომში განხილულია ანდერსონის სხარტი, მოკლე, უსიუჟეტო ნოველები, მათი კომპოზიცია. მწერლის წერის სტილი, გარემო; ნაჩვენებია

ეპოქის კრიტიკა, კულტურისა და ხელოვნების კრიზისი, ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური თემები. შ.ანდერსონის ნოველების არქიტექტონიკა მყარი, ლაკონური და ტევადია. ისინი იტევენ ადამიანური ყოფის უმნიშვნელოვანეს ფრაგმენტებს, ზოგჯერ მთელ ისტორიას. მწერლის მთავარ, სტილურ თავისებურებად უნდა მივიჩნიოთ უკიდურესად შეკუმშული თხრობა, სხარტი და მოკლე დიალოგები, სიტყვის ეფექტური გამოყენება. შ. ანდერსონთან მთელი სიმძაფრითაა გააზრებულია აწმყო, მძიმე ეგზისტენციალური გარემო. მწერლის პროტაგონისტი პერსონაჟების ეჯიბრებიან დროს, ეპოქას, დეგრადირებულ სისტემას, ავტორიტარულ რეჟიმს. ისინი დროის ნაკადიდან ამოვარდნილი პერსონაჟები არიან. მწერლის ტრაგიკული სახეები და ნიღბები ეპოქის სინამდვილეს ქმნიან. კაპიტალისტური ფასეულობები და მსოფლმხედველობა ანადგურებს და ბოჭავს მაღალი იდეალური პრინციპებისა და ღირებულებების მქონე ადამიანებს. ანდერსონის პერსონაჟები ეწირებიან ძალადობას, კაპიტალიზმის უხეშ მარწუხებს, საზოგადოების ზეწოლას. მათ ყველაზე მეტად ადამიანური რესურსების სიმწირე და ჰუმანიზმის ნაკლებობა ადევნებთ. უმექმედობას და მარტოობას მოსდევს ანდერსონის პერსონაჟების სრული კატასტროფა. ცხოვრებისაგან წელში გატეხილი პერსონაჟები გაუსაძლის რეალობაზე გვესაუბრებიან. ყოველივე ეს შეუწყნარებელი ეპოქის კონვულსიებია. დისკურსიული აზროვნება, კონოტაციური ძიებანი, ინტერპრეტაცია, მედიტაციები, აზრის მრავალპლანიანობა, კრიტიკული ანალიზი, შეპირისპირება, მეტაფორებისა და სიმბოლოების გააზრება, მეთოდოლოგიური ძიებანი გასდევს წარმოდგენილ ტექსტებს. ლიტ. 7.

ავტ.

3.6.2.5.3. მეტონიმიური ნარატივის დომინაცია თანამედროვე ქართულ პოსტმოდერნულ პოეზიაში. /ნ. გოგიაშვილი/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 132-137. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.17>

მიმდინარე ლიტერატურულ ტექსტებში მეტაფორულ მხატვრულ ფორმებს მეტონიმიური მხატვრული ფორმები ანაცვლებს. პარადიგმული აზროვნების ღერძს სინტაგმატური ცვლის, მეტაფორული პოეტური სტილი მეტონიმიურ პროზაულ სტილში გადადის. პოეზიაში კონვენციურ ლექსს ცვლის ვერლიბრი - იგივე თავისუფალი ლექსი. მეტაფორა, თავისი ტრადიციული გაგებით და მთელი აღჭურვილობით, უკვე ზედმეტია თანამედროვე სალიტერატურო ენისთვის. აქ აშკარად იგრძნობა მეტონიმიური დომინაცია – კერძოდ, მეტაფორა ნაცვლდება მეტონიმიით, როგორც მისი სახესხვაობა და არა როგორც მისი პოლარული მონაცვლეობა. მეტონიმია იძლევა საშუალებას, ერთი ტერმინი მეორით შეიცვალოს. მეტონიმიის სალიტერატურო ტექსტებში გამოყენება გაცილებით უპრიანია, ვიდრე სასაუბრო მეტყველებაში. პოსტმოდერნისტული ესთეტიკა კი გაცილებით ფართო მეტონიმიურობას ითავსებს. მეტონიმიის დეფინიცია ლათინური სიტყვიდან იღებს სათავეს და ითარგმნება, როგორც „ახალი სახელის მიღება“. სიტყვა იღებს ახალ მნიშვნელობას და ენაც

მდიდრდება ახალი შესატყვისებით. თანამედროვე ქართული პოსტმოდერნისტული ლიტერატურა და, კერძოდ, პოეზია, მეტონიმიური დისკურსის დომინაციის ჭრილში არსებობს და ვითარდება; და თუ შეგვიძლია ვისაუბროთ ლიტერატურულ მეტამორფოზაზე, მისი მეტონიმიურობა ერთ-ერთ თავლსაჩინო ნიშნად უნდა წარმოვადგინოთ. თანამედროვე ტექსტის მეტონიმიური ფორმა ის რელევანტური „ჭურჭელია“, რომელშიც თვისობრივად ახალი, თანამედროვე ტექსტი „ისხმება“. ფორმა-შინაარსის კლასიკური პარადიგმიდან გამომდინარე, ყველა შინაარსი თავის ფორმას პოულობს; მოცემულ ნაშრომში, შევეცადე, რამდენიმე თანამედროვე ქართველი პოეტის ტექსტების მაგალითებით დამედასტურებინა ეს მოსაზრება. ლიტ. 8.

ავტ.

6.2.6. ენათმეცნიერება

3.6.2.6.1. კომპოზიტები და მყარი შესიტყვებები, როგორც ეთნოგრაფიული

სინამდვილის ამსახველი ენობრივი ერთეულები ქართულ ენაში. /ლ. აზმაიფარაშვილი/. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე. – 2022. – ტ. 16. – #4. – გვ. 114-120. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ქართულ ენაში, ეთნოლინგვისტური თვალსაზრისით, საყურადღებოა ასოციაციურად შეკავშირებულ სიტყვათა გარკვეული წყვილები და მათგან ნაწარმოები კომპოზიტები დიალექტებში. აღნიშნულ ენობრივ ერთეულთა სემანტიკის თავისებურებები განსაზღვრულია იმ სინამდვილით, რომელშიც ტრადიციული საზოგადოება ცხოვრობს. იგივე შეიძლება ითქვას მყარ შესიტყვებათა შესახებაც, რომელთა მეშვეობითაც ენაში უშუალოდ არის სახელდებული ტრადიციებით გამყარებული სტერეოტიპული ქცევები თუ ქმედებები (წეს-ჩვეულებები, რიტუალები). კომპოზიტები და მყარი შესიტყვებები შეიცავს საყურადღებო ინფორმაციას ეთნოლინგვისტური კვლევებისათვის. მნიშვნელოვანია ეთნოგრაფიული ტექსტების მონაცემთა ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა, სათანადო ენობრივი ერთეულის (კომპოზიტის, მყარი შესიტყვების) სემანტიკის დახასიათებისას გათვალისწინებულ იქნეს მისი გამოყენების გარკვეული კონტექსტი. ლიტ. 13.

ავტ.

3.6.2.6.2. სამი ტექსტის შედარებითი პოლიტოლინგვისტური ანალიზის საკითხისათვის. /რ. სვანიძე/. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე. – 2022. – #1(19). – გვ. 35-49. – გერმ.; რეზ.: გერმ., ქართ., ინგლ.

გერმანია და საფრანგეთი ორი მნიშვნელოვანი აქტიორია როგორც ევროპულ, ასევე საერთაშორისო დონეზე. აქედან გამომდინარე, სასურველია უფრო აქტიურად იმოქმედონ უსაფრთხო, სამართლიანი და მდგრადი მსოფლიოსათვის, რათა დაპირისპირებული მხარეები შეარიგონ და გლობალური გამოწვევები წარმატებით

იქნას დამღეული. პოლიტიკის ქმედუნარიანობასა და თითოეული მოქალაქის ჩართულობაზე დამოკიდებული მსოფლიო საზოგადოების კეთილდღეობა. სტატიაში გაანალიზებულია ანგელა მერკელისა და ემანუელ მაკრონის გამოსვლები, ასევე აახენის ხელშეკრულება ლექსიკურმეტაფორული და არგუმენტაციული პერსპექტივიდან. დისკურსის შედარებითი პოლიტოლინგვისტური ანალიზი წარმოაჩენს ამ ტექსტის სახეობების ფუნქციონირების მექანიზმებს. იმპლიციტური მარკირებები და კონცეპტები განხილულია სემანტიკურ-პრაგმატულ და სინტაქსურ ჭრილში. სამივე ტექსტის მიზანია, მოქალაქეები დაარწმუნოს ვიზიონარულ იდეებში არგუმენტაციულ, საქმიან და/ან ემოციურ დონეზე და უზიდავოს მოქმედებისკენ. ლიტ. 8.

ავტ.

3.6.2.6.3. ჰაგიოტოპონიმები, როგორც სულიერი კულტურის ანარეკლი. /მ. შელია, ქ. გალობერი, მ. ჩქვანავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI. – გვ. 33-47. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომი ეძღვნება ონომასტიკური ლექსიკის კვლევის ერთ-ერთ ასპექტს, ტოპონიმებს, კერძოდ, ჰაგიოტოპონიმებს, ანუ წმინდანების სახელებისაგან ნაწარმოებ ტოპონიმებს, კონკრეტულად - ოიკონიმებს, ასტიონიმებს და კომონიმებს კომპონენტით „წმინდა“, რომლებიც გავრცელებულია ქრისტიანულ ქვეყნებში და ლინგვოკულტუროლოგიური ინფორმაციის მატარებელია. დიდი თუ პატარა უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ქალაქისა თუ სოფლის ისტორია ასოცირდება ქრისტიანულ რელიგიასთან. კვლევა ეყრდნობა მოძიებული მასალის დესკრიპციულ მეთოდს, სემანტიკურსტრუქტურულ და ეტიმოლოგიურ, კომპარატიულ ანალიზს. ასევე ნაშრომში განვიხილავთ ექსტრალინგვისტური ფაქტორების გავლენას ამ ტერიტორიებზე. ჰაგიოტოპონიმები სემანტიკური თვალსაზრისით შეიცავს კულტურულ და ისტორიულ ინფორმაციას, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში წარმოიშვა და დაკავშირებულია სხვადასხვა ტერიტორიაზე მცოვრებ ხალხთა ენებთან, ქრისტიანულ რელიგიასთან. საქართველოს, ბრიტანეთის, აშშ-ის, კანადის, ავსტრალიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და ლათინური ქვეყნების ტოპონიმები უჩვეულოდ მდიდარი და მრავალფეროვანია. მათზე დიდი გავლენა მოახდინა ისტორიულმა მოვლენებმა და ცვლილებებმა ენასა და კულტურაში. ლიტ. 15.

ავტ.

3.6.2.6.4. ადრესატი, როგორც პასიური დიათეზების სემანტიკური აქტანტი. /ე. კილანავა/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI. – გვ. 25-32. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ.

მოცემულ კვლევას თეორიულ საფუძვლად უდევს დიათეზების თეორია, რომელიც ეფუძნება ე.წ. აზრობრივ-სიტუაციურ სქემას და განიხილება, როგორც სემანტიკური ან სილრმისეულ-სინტაქსური დონე. დიათეზა წარმოადგენს კორელაციას აზრობრივ სემანტიკური (სილრმისეულ-სინტაქსური) და ზედაპირულ- სინტაქსური დონეების კომპონენტებს შორის.

მოცემულ ნაშრომში გამოვყოფთ გვარის პრობლემისათვის რელევანტურ შემდეგ კომპონენტებს: პრედიკატი, აქტანტები ---ზემოქმედების სიტუაციის რელევანტური პარტიციპანტები (აგენსი, ექსპერიენცერი, პაციენსი, ადრესატი, რეზულტატივი,

ინსტრუმენტალი), ატრიბუტები --- ზემოქმედების სიტუაციის კომპონენტები, რომლებიც თან ახლავს მეორად სემანტიკურ აქტანტებსა და პრედიკატს, ხსნის და ავსებს მათ; ცირკუმსტანტები --- ზემოქმედების ან აღქმის აქტის მიმდინარეობის პირობები.

ნაშრომში განიხილება პასიური დიათეზები, რომლებშიც წინადადების ქვემდებარე კორელაციაშია სემანტიკურ აქტანტ ადრესატთან. გამოყოფილი ჯგუფები შეიცავს დიათეზებს, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან დამატებითი სემანტიკურ-სინტაქსური კორელაციების არსებობა-არარსებობით. კვლევის მიზანია დადგინდეს დამატებითი სემანტიკურ-სინტაქსური კორელაციები, რომლებითაც განსხვავდება სხვადასხვა დიათეზები, რომლებშიც ქვემდებარე კორელაციაშია ადრესატთან. ფაქტობრივი მასალის კვლევის დროს ჩვენ აღმოვაჩინეთ 11 ტიპის პასიური დიათეზა, სადაც მთავარი კორელაცია არის ქვემდებარე - ადრესატი, და დავადგინეთ ყოველი მათგანის ხვედრითი წონა.

გამოკვლევისათვის გამოვიყენეთ წინადადებები, რომლებიც შეიცავს ზმნებს პასივის პირიან ფორმებში. მაგალითები შეირჩა თანამედროვე ამერიკელი და ბრიტანელი მწერლების პიესებისა და პროზაული ნაწარმოებების დიალოგებიდან.

ექსტენსიური ფაქტობრივი მასალის კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სტატიაში მოცემული პასიური დიათეზები და მათი ხვედრითი წონა დამახასიათებელია ინგლისური დიალოგური მეტყველებისათვის. ლიტ. 14

ავტ.

3.6.2.6.5. ენა მოქმედებაში - ტექსტობრივი ქმედება. /ნ. დემეტრაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 35-38. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წინამდებარე სტატიაში ტექსტის, ამ ენობრივი ფენომენის ცნების განსაზღვრისათვის შემოგთავაზეთ შემდეგი: ტექსტი - ეს არის ცნება ზეპირ და წერლობით ფორმაში, რომელიც ხასიათდება: აზრობრივი და სტრუქტურული სისრულით, ავტორის ურთიერთობით შესაცნობელთან, მიზანმიმართულებით და ინფორმაციული გზავნილის პრაგმატული წყობით. ამდენად, ტექსტის კვლევის ცენტრალურ ობიექტად და ძირითად პრობლემად მივიჩნიეთ ტექსტის წარმოქმნა და გაგება. გარდაქმნის მექანიზმები: შინაარსი მნიშვნელობაში (ტექსტის წარმოშობა) და მნიშვნელობა აზრში (ტექსტის გაგება) განვიხილეთ ტრიადის ჩარჩოებში - 'ცნობიერება-ენა-სამყარო". ლიტ. 3.

ავტ.

3.6.2.6.6. ზმნის პირიანობის შესახებ ჟესტურ ენებში. /თ. მახაროზლიძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 51-55. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ჟესტურ ენებს მდიდარი მორფოლოგიური სტრუქტურა აქვთ როგორც ფლექსიური, ასევე დერივაციული თვალსაზრისით. მკვლევართა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ჟესტურ ენებში ძირითადად გვაქვს არა აფიქსური მორფოლოგია, არამედ თანადროული ანუ

სინქრონული მოცემულობა. ჟესტი თავისი კინეტიკით ერთდროულად გადმოსცემს რამდენიმე გრამატიკულ მნიშვნელობას და განსხვავებით სამეტყველო ენებისგან, ის არ მოიცავს თანმიმდევრულ აფიქსებს. ზოგი მკვლევარი კი მიიჩნევს, რომ ჟესტურ ენებში სინქრონულ მორფოლოგიასთან ერთად პარალელურ რეჟიმში ასევე მოცემული გვაქვს რიგი გრამატიკული კატეგორიების აფიქსური წარმოებაც. ქართულ ჟესტურ ენაში ზმნას აქვს მორფოლოგიური საშუალებები, რომ გადმოსცეს სამეტყველო ქართულის შესაბამისი მწკრივები გამონაკლისის გარეშე, მაგრამ მისი პარადიგმა არ იმეორებს სამეტყველო ქართული ენის ზმნის პარადიგმებს. ქართული ჟესტური ენის ზმნის უღვლილება, შესაძლოა, წარმოდგენილი იყოს დროის და კილოს მარკერების დონეზე. აღსანიშნავია, რომ პირიანობის გაგება ჟესტურ ენებში არ იმეორებს სამეტყველო ენებში არსებულ მოცემულობებს, არამედ ის ეყრდნობა უშუალოდ ზმნის ფორმის კინეტიკურ პარამეტრებს. ლიტ. 20.

ავტ.

3.6.2.6.7. გერმანული და ქართული სამეცნიერო ტექსტების სტრუქტურა და ფორმატი ინტერკულტურულ ჭრილში. /მ. გობიანი, გ. გობიანი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 27-34. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

მეცნიერება, ზოგადად, საკომუნიკაციო პროცესია. მას სჭირდება სპეციალური ენა, რომელიც უნივერსალური ინსტრუმენტია სამეცნიერო საქმიანობაში და ორიენტირებულია შემეცნების პროცესზე. სამეცნიერო ტექსტები სამეცნიერო კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ისინი გვაწვდიან დარგობრივ ცოდნას და ხელს უწყობენ სამეცნიერო საზოგადოებას აკადემიური და კვლევითი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გამყარებაში. ფორმალურ სამეცნიერო კომუნიკაციას მეცნიერების პოპულარიზაციისა და სამეცნიერო ბაზის განვითარებისა და ხელმისაწვდომობის კუთხით განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. სხვადასხვა სფეროს მეცნიერთა შორის საკომუნიკაციო პრობლემების არსებობამ გაზარდა ინტერესი სამეცნიერო კომუნიკაციის ინტერკულტურული კონტექსტს მიმართ. აღნიშნულ ნაშრომში მეცნიერება განხილულია როგორც საკომუნიკაციო პროცესი და ნაჩვენებია კულტურის ფენომენის გავლენა სამეცნიერო ტექსტების ვიზუალურ ფორმასა თუ სტრუქტურაზე გერმანული და ქართული სამეცნიერო ნაშრომების ფორმალური მახასიათებლების შედარების მაგალითზე. ცხრ. 5, ლიტ. 8.

ავტ.

3.6.2.6.8. წინადადება, როგორც ერთიანი სტრუქტურული ერთეული. /ი. რუსაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 67-71. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განხილულია წინადადება, როგორც ერთიანი სტრუქტურული ერთეული და

მისი ორი დონე. წინადადების თეორიის განვითარების თანამედროვე ეტაპი საშუალებას იძლევა გამოვყოს წინადადების აღწერის ორი დონე-სინტაქსური სტრუქტურისა და სემანტიკურ სინტაქსური. წინადადების ფორმის დამახასიათებელ ნიშნებს თან ერთვის ორი ძირითადი თვისება, რომლებიც წინადადებას ახასიათებს, როგორც ერთიან სტრუქტურას. ესენია პრედიკატულობა და მოდალობა. ლიტ. 9.

ავტ.

3.6.2.6.9. აპნ-ის მხატვრულ ტექსტში ფუნქციობის ძირითადი ასპექტები. /მ. ჩიქოვანი/. ჟ. ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 79-84. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია არასაკუთრივ - პირდაპირი ნათქვამის ფუნქციური სპექტრი, მისი ადგილი ტექსტის ნარატიულ სტრუქტურაში, მისი როლი მხატვრული სახეების იერარქიული სისტემის შექმნასა და დეკოდირებაში სადაც მჟღავნდება არასაკუთრივ - პირდაპირი ნათქვამის მონაწილეობის მექანიზმი ამ სისტემის ცალკეულ რგოლში. არასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამი მხატვრული ტექსტის ორგანული ნაწილია და უკავშირდება საავტორო თხრობას რაც ხორციელდება როგორც ტექსტის ზედაპირზე, ისე ტექსტის სიღრმეში. არასაკუთრივ - პირდაპირი ნათქვამი სიღრმისეული კონტამინაციის საშუალებით ახორციელებს პერსონაჟის ინდივიდუალური სივრცის ჩართვას მთხრობელის ინდივიდუალურ სივრცეში. შედეგად ხდება მთხრობელის ინდივიდუალური სივრცის სუბიექტიზაცია და პერსონაჟის ინდივიდუალური სივრცის ობიექტიზაცია. ტექსტის ერთი სეგმენტის ჩარჩოში ხორციელდება მთხრობელისა და პერსონაჟის სახეთა სინთეზი. იქმნება სინთეზური სახე, რომელშიც ავტორის სახეც ჩანს. ამგვარად, არასაკუთრივ-პირდაპირი ნათქვამი დამოუკიდებელი სტრუქტურა და სტილისტური ხერხია, რომელიც ხელს უწყობს პერსონაჟის მხატვრული პორტრეტის შექმნას ტექსტის სეგმენტის შიგნით და ამავე დროს ინარჩუნებს ტექსტის მონოლოგურ ერთიანობას. ლიტ. 12.

ავტ.

3.6.2.6.10. ბიზნეს დისკურსი, მისი ჟანრების სისტემა და ტიპები. /ე. არველაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 9-16. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატია ეძღვნება საქმიანი დისკურსის კონცეფციის განსაზღვრებას, რომელიც არის ინსტიტუციური დისკურსის ტიპი და მიზანმიმართული სტატუს როლური მეტყველება. ინსტიტუციური საქმიანი დისკურსი არის რთული, მრავალგანზომილებიანი დისკურსი, სადაც მასში შემავალ თითოეულ სფეროს აქვს საკუთარი, თანდაყოლილი მხოლოდ ადრესატი და ადრესანტი, კომუნიკაციის მიზნები და ამოცანები, ურთიერთქმედების სიტუაციები, მიზნები და მათი მიღწევის სტრატეგიები. სტატიაში ასევე წარმოდგენილი იქნება ბიზნეს დისკურსის ჟანრების

სისტემა, რომელიც აქტუალურია მენეჯმენტის, მარკეტინგის, ეკონომიკის, ვაჭრობის, ბიზნესის და სხვა სფეროების სპეციალისტების კომუნიკაციაში. ჟანრების სისტემა შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ისეთ პროფესიულ საქმიანობაში, რომელშიც „სიტყვა არის პროფესიული ინსტრუმენტი“. სტატიში განხილული იქნება ინსტიტუციური საქმიანი დისკურსის ისეთი ჟანრები, როგორიცაა: საქმიანი საუბარი, საქმიანი მოლაპარაკებები, საქმიანი შეხვედრები, რომლებიც მთელ რიგ თანამედროვე სამეცნიერო პუბლიკაციებში მოხსენიებულია როგორც ეგრეთწოდებული „რთული მეტყველების მოვლენები“. საქმიანი მეტყველების თითოეულ ჟანრს აქვს საკუთარი კონკრეტული საკომუნიკაციო ამოცანა და მიზანი (მსჯელობა, აზრის ჩამოყალიბება, გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.), მაგრამ ამავე დროს, ეს ამოცანები და მიზნები ახლოსაა იმით, რომ ეს არის ბიზნესის ამოცანები და მიზნები, რომელიც არის სპეციალისტებისა და ბიზნესმენების პროფესიული წრის პროფესიული კომუნიკაცია. ეს მიზნები და ამოცანები ხშირად ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული და ერთმანეთს ავსებს. სტატიის წარმოდგენილი იქნება საქმიანი დისკურსის სამი ტიპი: დასაქმების დისკურსი, ოპერატიული ურთიერთქმედებისა და პერსონალის დისკურსი და საქმიანი დისკურსის ანალიზის ალგორითმის სამი დონე. ლიტ. 17.

ავტ.

3.6.2..6.11. ინგლისური ვერბალური კომუნიკაციის ქცევის დომინანტური თვისებები.
/თ. თვალაძე, ე. გოტიამვილი/. ჟურნალი **ენა და კულტურა**. – 2022. – #27. – გვ. 39-43. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ენა ეხმარება ადამიანს აღწეროს სამყარო. პრობლემა არის არა ენის სწორად გამოყენება, არამედ ენის გარემოში განხორციელებული ამა თუ იმ საბაბის ჭეშმარიტად ურთიერთგაგება, რაც ვითარდება დიალოგში – როგორც გაგების მექანიზმი. ენა უზრუნველყოფს კომუნიკაციურ ურთიერთობას და კომუნიკაციის ნორმებს საზოგადოებაში. კომუნიკაციის ნორმების, წესებისა და თავისებურებების ათვისებით ადამიანი ხდება განსაზღვრული საზოგადოების წევრი. მისი მეტყველება იძენს გაგებისა და ნორმატიულობის თვისებებს, ის იმყოფება ისეთ მდგომარეობაში, რომ თვალყური ადევნოს სხვა ადამიანების არგუმენტაციებს და დამოუკიდებლად ახსნას შესაბამისი არგუმენტაცია. სხვადასხვა ლონგოკულტურული საზოგადოების კომუნიკაციური ქცევის ძირითად მახასიათებლებში იგულისხმება მეტყველების განსაკუთრებულობა, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა ასაკობრივ, გენდერულ, სოციალური ჯგუფებისათვის და ვლინდება სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირ ტიპურ სიტუაციებში. ნაშრომში განხილულია ნიმონანტური კომუნიკაციური სტრატეგია, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საუბრის მომენტში ნებისმიერ დროს კომუნიკაციის გაგრძელების მიზნით. მოცემულ ნაშრომში ჩვენ ასევე განვიხილეთ კომუნიკაციის და თავაზიანობის სტრატეგიის ურთიერთდამოკიდებულება. აღწერეთ ენის დომინანტი ფუნქციები (კომუნიკაციური, სოციალური – მიმართული კონტაქტის

დამყარებისაკენ, კონოტაციური, მარეგულირებელი, ემოციური, იმპერატიული); სამეტყველო ერთიერთობის წესების განმსაზღვრელი მოვლენების პოსტულატები (რეალობის, გულწრფელობის, მშვიდი – მომთმენი ქცევის, მართებული ემოციურობის); ზეპირი კომუნიკაციისათვის დამახასიათებელი კატეგორიები (შინაარსი, ურთიერთქმედების ტექნიკა, კომუნიკაციის მიზანი); პოზიტიური და ნეგატიური თავაზიანობის სტრატეგიები (პოზიტიური, რომელიც მიმართულია ადრესატის დაახლოებაზე, დისტანციის შემცირებაზე; ნეგატიური – პირიქით, ადრესატის დაშორებაზე, დისტანციის დაცვაზე). დავადგინეთ, რომ კომუნიკაციური დომინანტები მჭიდროდაა დაკავშირებული კონკრეტული ლინგვოკულტურული საზოგადოების თავაზიანობის სისტემასთან. ისინი ფორმირდებიან მის საფუძველზე, დაწესებული განსაზღვრული კომუნიკაციური სტრატეგიების რეგულარულად გამოყენების შედეგად. ამა თუ იმ ხალხის ვერბალური ქცევის დამახასიათებელი კომუნიკაციური დომინანტები წარმოადგენენ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ ჭრილში, რამდენადაც მათ საფუძველზე შესაძლებელია პერსპექტივაში აღწეროთ კომუნიკაციის ნაციონალური სტილი და შევიმუშაოთ კომუნიკაციის დიდაქტიკური წესი, რომელიც უზრუნველყოფს უცხო ენების შემსწავლელთა კულტურათაშორისი კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარებას. ლიტ. 4.

ავტ.

3.6.2.6.12. კონცეპტუალიზაციის პროცესის შესწავლის ძირითადი მიმართულებები. /ნ. კოპალიანი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 44-50. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

განხილულია ლინგვისტური კონცეპტუალიზაციის პროცესის კვლევის აქტუალობა, კონცეპტუალიზაციის როგორც ლინგვისტური ცნების რაობა და ის ძირითადი პრობლემატიკა, რომელიც მეცნიერთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს. თანამედროვე ლინგვისტიკაში კონცეპტუალური დონის არსებობა საყოველთაოდ აღიარებულია, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა ეხება მისი სტატუსის განსაზღვრის საკითხს. ნაშრომში ნაჩვენებია განსხვავებული შეხედულებები კონცეპტუალური დონის სტატუსთან დაკავშირებით; საუბარია მის შინაარსზე და დონეებზე; გამოყოფილია ფუნდამენტური კონცეპტები და ხაზგასმულია მათი გამოყენება კონცეპტუალურ სისტემაში. კონცეპტუალიზაცია განხილულია, როგორც ორმხრივი მოვლენა: როგორც ადამიანის მიერ ინფორმაციის კოგნიტური გადამუშავების დინამიკური პროცესი, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან გარესამყაროს, ადამიანის შინაგან სამყაროს და ენობრივ სურათს; და როგორც შედეგი - კონცეპტების სახით სტრუქტურირებული სამყაროს სურათი. ნაშრომში დახასიათებულია კონცეპტუალიზაციის პროცესის მთავარი თვისებები: მისი ინჰერენტული, ანუ არსობრივად დინამიური [ლანგაკერი] და ონტოლოგიური [რუზინი] ბუნება. სწორედ ეს მახასიათებლები განსაზღვრავენ კონცეპტების არამდგრად, მოქნილ ბუნებას, ვერბალური და არავერბალური

კონცეპტუალური შინაარსის არსებობას. ნაშრომში განხილულია აგრეთვე კონცეპტუალური სისტემის არაერთგვაროვნება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მის ცალკეულ მონაკვეთებს განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ საერთო სტრუქტურაში. ლიტ. 12.

ავტ.

3.6.2.6.13. ზედსართავი სახელების სუფიქსები იტალიურ და რუსულ ენებში. /მ. მეტრეველი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 56-60. – რუს.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში მოცემულია ზედსართავი სახელების სუფიქსების ტიპოლოგიური კვლევა იტალიურ და რუსულ ენებში. ჩვენ გამოვიკვლიეთ ზედსართავი სახელის სუფიქსების სემანტიკა ორივე ენაში, ასევე ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ზედსართავი მორფემების გაფართოებაზე იტალიურ და რუსულ ენებში. რუსული და იტალიური ენების ტიპოლოგიური კვლევები ჩატარდა იტალიაში, ქალაქ ნეაპოლში. ყველა ევროპულ ენაში ზედსართავ სახელს აქვს დიდი სემანტიკური შესაძლებლობები, ამიტომ კვლევისთვის ავირჩიეთ ზედსართავის სუფიქსები. შევისწავლეთ ორივე ენაში ზედსართავის სუფიქსების სემანტიკა, ზედსართავი სახელების წარმოებული სუფიქსების პროდუქტიულობა, ზედსართავის სუფიქსების იდენტური გამოყენების საინტერესო შემთხვევები, ზედსართავის სუფიქსების საერთო ნიშნები ორივე ენაში და ა.შ. კვლევის მიზანია იტალიურ და რუსულ ენებში სუფიქსური ზედსართავი სახელების ფორმირების ტიპოლოგიური ანალიზი; იტალიურ და რუსულ სუფიქსებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების გამოვლენა სიტყვაწარმოების დონეზე. კვლევაში გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: სტატისტიკური ანალიზი, სიტყვაწარმოქმნის ანალიზი, მორფემიული ანალიზი, კომპონენტური ანალიზი და კომპონენტიური სინთეზი. შესასწავლად შეირჩა სასაუბრო ენის სიტყვები, ლიტერატურული ენა, მხატვრული და ტერმინოლოგიური ლექსიკა. ლიტ. 3.

ავტ.

3.6.2.6.14. თავაზიანობის გამომხატველი მოდალური ზმნები ინგლისურ ენაში. /ს. ყიფიანი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 67-71. – ინგლ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ბრაუნისა და ლევენსონის თავაზიანობის თეორია საყოველთაოდ აღიარებულია ყველა კულტურისა და ენისათვის. ენა არ არის მხოლოდ ინფორმაციის გადაცემის ინსტრუმენტი, ის ასევე სოციალური ურთიერთობის დამყარებისა და შენარჩუნების საშუალებაა. ბუნებრივია, რომ თავაზიანობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო ბიზნესის სფეროში. თავაზიანი ფორმების სათანადო გამოყენება

განსაკუთრებით ეფექტური და აუცილებელია საქმიან კორესპონდენციაში. აღნიშნულ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მოდალური ზმნების გამოყენებაზე ბიზნეს წერილებში. კვლევის პრაქტიკული ნაწილი ორიენტირებულია სტუდენტთა მიერ შესრულებულ წერილებში ამა თუ იმ მოდალური ზმნის გამოყენებაზე და მათი გამოყენების სიხშირეზე. სურ. 1, ლიტ. 6.

ავტ.

3.6.2.6.15. სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათი როგორც ეროვნული მსოფლმხედველობის სისტემა. /ს. მჭავია/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 61-66. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სამყაროს ენობრივი სურათის სპეციფიკა, მნიშვნელობის ეროვნული (და ამ თვალსაზრისით, უნიკალური) კომპონენტი ენის სისტემის ყველა დონეზე ვლინდება, თუმცა განსაკუთრებული მკაფიოებით იგი ლექსიკასა და ფრაზეოლოგიაშია წარმოდგენილი. სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათი წარმოაჩენს სამყაროს შესახებ ხალხის ცოდნის ერთობლიობას, პირველ რიგში, ყოფითი ცნობიერების დონეზე; ამ თვალსაზრისით მას შეიძლება სამყაროს ნაივური სურათი ეწოდოს. ენის ფრაზეოლოგიურ ერთეულებში ფიქსირდება სინამდვილის ტიპური ფრაგმენტები (მოქმედება, მდგომარეობა, სიტუაცია, ხარისხი, რაოდენობა და ა.შ.), რომლებიც ერთმანეთთან კავშირშია გააზრებული. ეს სიტუაციები იქცევა ადამიანთა ქცევის სტერეოტიპად, რომელიც ეროვნული კულტურული მსოფლმხედველობითაა განპირობებული. ნაშრომში წარმოდგენილია ენათმეცნიერთა დასაბუთებული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ კულტურული კონოტაციის გამო, რომელსაც ფრაზეოლოგიაში შეიცავს, სამყაროს ფრაზეოლოგიური სურათი შეპირისპირებითი ლინგვისტური კვლევის მნიშვნელოვანი სფეროა. ლიტ. 5.

ავტ.

3.6.2.6.16. ქართული და ამერიკული პოლიტიკური თოქშოუების გამხსნელი მარკერების შეპირისპირებით ანალიზი. /ს. დვალიშვილი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 16-20. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

წინამდებარე კვლევა წარმოადგენს ქართული და ამერიკული პოპულარული პოლიტიკური თოქშოუების გამხსნელი მარკერების შეპირისპირებით ანალიზს. გამხსნელი სიგნალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დისკურსში. ეს სიგნალები განსხვავდებიან ეროვნული და კულტურული თავისებურებების მიხედვით. ჩემი მიზანია, განვიხილო შემდეგი ქართული და ამერიკული პოლიტიკური თოქშოუები: რექცია, გიორგი თარგამაძის ფორმულა, იმედი live, პოლიტმეტრი, სანაია, JUSTICE, RED&BLUE, All in with Chris Hayes, REPORTS, PRIMETIME WITH JOHN DICKERSON და

გადაცემების შესავლის სტრუქტურის და ენობრივი რეალიზაციის შესწავლის შემდეგ გამოვავლინო სპეციფიკური მარკერები: რა სიგნალები გამოიყენება ქართულ და ამერიკულ პოლიტიკურ თოქშოუებში? რამდენად ფიქსირდება თოქშოუებში გადაცემის გახსნის ელემენტების თანმიმდევრობა? სტუმრების წარდგენაში შეინიშნება თუ არა რაიმე განსხვავება? და ა.შ. ლიტ. 11.

ავტ.

3.6.2.6.17. სახის“ როლი წარმატებულ ურთიერთობის ჩამოყალიბებაში. /ე. ვაწაძე/.

ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 21-25. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

„სახის“ ცნების და როლის გააზრებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმატებული კომუნიკაციის დამყარების პროცესში. წარმატებული კომუნიკაცია კი წარმატებული ურთიერთობების ჩამოყალიბების და მიზნის მიღწევის საწინდარია. ტერმინი „სახე“ „რეპუტაციის“, „კარგი სახელის“ მნიშვნელობით პირველად 1876 წელს იყო გამოყენებული ინგლისურ ენაში, როგორც ჩინური ტერმინის 'diū liǎn' თარგმანი ფრაზაში „მზადდები, რომლის გამო ჩინეთმა სახე დაკარგა“ [ტომასი 1995:168]. იმ დროიდან „სახე“ ფართოდ გამოიყენება ისეთ ცნებებში, როგორებიცაა „სახის დაკარგვა“ (loosing face) და „სახის შენარჩუნება“ (saving face). პ. ბრაუნი და ს. ლევენსონი „სახეზე“ საუბრისას განიხილავენ „უარყოფით და დადებით სახეს“, რომელთაგან პირველი მეგობრობის და ჰარმონიის სტრატეგიას წარმოადგენს და გამოიხატება თითოეული ადამიანის სურვილში, იყოს დადებითად შეფასებული სხვა ადამიანების მიერ, მეორე კი გულისხმობს ადამიანის სურვილს, მისი მოქმედება არ იყოს შეზღუდული სხვა ადამიანების მხრიდან. მაგრამ, როგორც „დადებით“, ისე „უარყოფით სახეს“ შეიძლება საშიშროება შეექმნას, რის შედეგადაც საქმე გვაქვს „სახის შელახვის აქტებთან“ [ბრაუნი, ლევენსონი 1987:60]. ასევე აღსანიშნავია, რომ თავის თეორიაში პ. ბრაუნი და ს. ლევენსონი განიხილავენ თავაზიანობას, როგორც „დადებითს“ და „უარყოფითს“. „დადებითი თავაზიანობის“ სტრატეგიები მიმართულია მსმენელის „დადებითი სახისადმი“ და გამოხატავენ სოლიდარობას, ახლო მეგობრულ ურთიერთობას და არაოფიციალურობას, ხოლო „უარყოფითი თავაზიანობის“ სტრატეგიები მსმენელის „უარყოფითი სახისადმი“ მიმართული და გამოიხატება თავშეკავებულობით, ოფიციალურობით და დისტანციით. ამრიგად, სახის ცნების და მისი როლის გააზრებას წარმატებული კომუნიკაციისა და ურთიერთობებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ ექსტრა ლინგვისტური თვალსაზრისითაც. ლიტ. 5.

ავტ.

საკვანძო სიტყვები: სახის ცნება, წარმატებული კომუნიკაცია

6.3. ფილოსოფია, ეთიკა და რელიგია

6.3.1. ფილოსოფია, მეცნიერების და ტექნიკის ისტორია და ფილოსოფია

3.6.3.1.1. ფილოსოფიის არსისა და მნიშვნელობის შესახებ (კ.იასპერსის „ფილოსოფიის შესავალი“-ს მიხედვით). /ხ. ამალლობელი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 166-171. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

კარლ იასპერსი გერმანელი ფსიქიატრი და ფილოსოფოსი, ექსისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ავტორი თავის ნაშრომში „ფილოსოფიის შესავალი“ ეხება ფილოსოფიის ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორიცაა კავშირი მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის, საზღვრული სიტუაციები და უპირობო მოთხოვნა, კომუნიკაცია და პიროვნების პასუხისმგებლობა, რწმენა და განმანათლებლობა, ცხოვრების ფილოსოფიური წესი და სხვა. საკითხი ფილოსოფიის რაობის შესახებ საუკუნეების განმავლობაში კამათის საგანს წარმოადგენდა მათთვის, ვინც თვლიდა, რომ ფილოსოფია „მეოცნებეთა უსარგებლო ნაზავია“ (მისი სიმარტივისა და ყველასათვის გასაგები მიზეზის გამო) და მათთვისაც, იმ გამორჩეული ადამიანებისთვისაც, ვინც ფილოსოფიით დაინტერესებას (უკვე მისი სირთულის გამო) სრულიად უიმედო საქმედ წარმოაჩენდა. ფილოსოფია, მთელი მისი განვითარების მანძილზე, ამ ორ რადიკალურად განსხვავებულ მიდგომათა მიჯნაზე ვითარდებოდა და სწორედ, აქედან გამომდინარე, ქმნიდა სივრცეს, სადაც ცნობისმოყვარე ადამიანს სიცოცხლისა და სამყაროს რაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხის ძიების შესაძლებლობას სთავაზობდა. იასპერსის აზრით, ფილოსოფია ჩნდება იქ, სადაც „ადამიანი იღვიძებს“. ეს კი ნიშნავს, რომ ფილოსოფიას საქმე აქვს არა მხოლოდ „ყოფიერებასთან მთლიანად, რომელიც ეხება ადამიანს, როგორც ადამიანს“, არამედ ჭეშმარიტებასთან, რომელთანაც ზიარება ადამიანური ყოფიერების მადეტერმინირებულია და რომელიც (ჭეშმარიტება) „სადაც კი ამოფეთქავს, უფრო ღრმად გვითრევს, ვიდრე ნებისმიერი მეცნიერული ცოდნა“. ლიტ. 6.

ავტ.

3.6.3.1.2. ეთიკის ზოგიერთი ასპექტი ფილოსოფიაში, კულტურასა და რელიგიაში. /ე. გეგეშიძე, მ. ბანძელაძე/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2020. – XIX-XX. – გვ. 100-104. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

ეთიკა უძველესი თეორიული დისციპლინაა. ზოგადი ეთიკური ნორმები

ეფუძნება ფილოსოფიურ და რელიგიურ რწმენას. თანამედროვე ებრაული ეთიკური ნორმებიც უშუალო კავშირშია ებრაულ რელიგიასთან. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე სიტყვა ეთიკას აწარმოებდა სიტყვისაგან „ეთო“-ს, რაც ნიშნავს ჩვევას. თანამედროვე ეთიკური თეორიები კავშირშია ეთიკურ სწავლებასთან უძველეს საბერძნეთში, რომლის თანახმადაც ეთიკა ადამიანს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ განაზოგადოს და სისტემატიზირება გაუკეთოს ქცევის პრინციპებს. ანტიკური ფილოსოფიის ეთიკური მოძღვრება ემყარება ორ უმთავრეს პრინციპს, ერთი მხრივ, ანტიკურ ეთიკაში ცხოვრების უმაღლესი მიზანია ბედნიერების მიღწევა, მეორე მხრივ, კი არის ცოდნა. ეთიკური რწმენა ანტიკურ ფილოსოფიაში განსხვავდება რელიგიური ფილოსოფიისაგან. წმინდა ავგუსტინესთვის სათნოება ისეთი რამ არის, რომლის აღსრულება მხოლოდ და მხოლოდ ღმერთს შეუძლია. სათნოება ისეთი რამ არის, რომელშიც ადგილი არა აქვს მიწიერ, ადამიანურ მოტივებს. ეთიკური ნორმები კავშირშია რელიგიურ ცნებებთან. ეს ასეა ქრისტიანულ რელიგიაშიც და უდაიზმშიც. მათ აქვთ მთელი რიგი საერთო და განმასხვავებელი ნორმები. ზოგადად მეტს საუბრობენ ქრისტიანულ მორალზე, ვიდრე იუდაიზმის ეთიკურ ნორმებზე. ამიტომ ეს საკითხი უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს ფილოსოფოსების, რელიგიური წარმომადგენლებისა და ეთიკისტების მხრიდან. ლიტ. 5

ავტ.

6.3.4. რელიგიათმცოდნეობა

3.6.3.4.1. „აფხაზეთის ეკლესია“ კონსტანტინოპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოებს შორის არჩევანში და ანტიოქიის ეკლესია (ავტოკეფალიის თუ ავტონომიის საკითხი). /ქ. პავლიაშვილი/. ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის შრომები. – 2021. – XXI. – გვ. 17-24. – ინგლ., რეზ.: ქართ., ინგლ.

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე „სადავო ეკლესიების“ საკითხმა უაღრესად აქტუალური ხასიათი შეიძინა და მართლმადიდებლურ სამყაროში ეკლესიათაშორის ურთიერთობას დაძაბულობა შეჰმატა; აშკარად გამოიკვეთა სქიზმის საშიშროება, რაც განპირობებულია საეკლესიო საზღვრების ხელახალი გადანაწილებით.

საბჭოთა იმპერიის დაშლას მოჰყვა ერთა თვითგამორკვევის პროცესში გაღვივებული სეპარატიზმი და საეკლესიო საზღვრების ხელახალი გადანაწილების ამბიცია, რაც გამოვლინდა ცალკეული ეპარქიების ავტოკეფალიის მოპოვების სურვილსა და ამ მიმართულებით მეცადინეობაში. საქართველოს მაგალითზე, აღნიშნულმა თავი იჩინა სოხუმისა და ცხინვალის ეპარქიებში.

აფხაზეთის სამღვდელოებაში ჩამოყალიბდა საეკლესიო დამოუკიდებლობის ურთიერთგანსხვავებული ფორმის მოთხოვნა: პრობერძნული დაჯგუფება (არქიმანდრიტი დოროთე დბარი) ითხოვს საეკლესიო ავტოკეფალიას კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან და სხვა გზას არაკანონიკურად მიიჩნევს, ხოლო „აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია“ (არქიმანდრიტი ბესარიონ აპლია) ითხოვს ავტონომიის სტატუსს მოსკოვის საპატრიარქოსგან. ავტონომიის სტატუსი, აპლიას აზრით, საფუძველი გახდება მომავალი ავტოკეფალიისათვის, ე.ი. ფაქტობრივად

ითხოვს სოხუმ-ბიჭვინთის ეპარქიის ავტონომიური უფლებით რუსეთის ეკლესიაზე დაქვემდებარებას.

აფხაზეთის ეკლესიაზე მოპოვებული „უფლების“ შენარჩუნებისათვის მოსკოვის საპატრიარქომ მთელი ძალისხმევა წარმართა მართლმადიდებლურ სამყაროში ისეთი ეკლესიის ძიებისაკენ, რომელიც დაეხმარებოდა აფხაზეთის ეკლესიის პრობლემის მოგვარებაში, ანუ აღიარებდა მის თვითმოწესეობას საეკლესიო წყაროების გათვალისწინებით და ისტორიული გამოცდილებით. ასეთ ეკლესიად მოსკოვის საპატრიარქომ ანტიოქიის ეკლესია შეარჩია.

საქართველოს საპატრიარქო მუდმივად მეთვალყურეობს მართლმადიდებელ სამყაროში მიმდინარე მოვლენებს, მართლმადიდებელი ეკლესიების აფხაზეთის საკითხისადმი მიდგომას. ამ მიმართულებით განვითარებულ მოვლენასა თუ ფაქტს საქართველოს ეკლესია დიდი სიფრთხილით ეკიდება. საქართველოს ეკლესიისათვის ნათელია, რომ აღნიშნული შეხვედრა მართლმადიდებლური სამყაროსათვის რთულ პერიოდში შედგა, როდესაც უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობამ სათავე დაუდო საეკლესიო განხეთქილებას; მართლმადიდებლური სამყარო პირობითად გაიყო ორ - რუსულ და ბერძნულ ბანაკებად. ანტიოქიის ეკლესია აღმოჩნდა ე.წ. რუსულ ბანაკში, ქართველ ანალიტიკოსთა ნაწილი ანტიოქიისა და აფხაზეთის პრეზიდენტების შეხვედრას ნეგატიურ შეფასებას აძლევს და მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის ეკლესიასთან ექვარისტული კავშირი უნდა გაწყვიტოს; საჯარო განცხადებებით დაგმოს ანტიოქიის საპატრიარქოს შეჭრის მცდელობები საქართველოს ეკლესიის შიდა საქმეებში: მსოფლიო პატრიარქისა და სხვა პატრიარქებისადმი საგანგებო მიმართებებში ანტიოქიის საპატრიარქოს არამეგობრულ და უღირს ქმედებებზე მიუთითოს. ლიტ. 23.

ავტ.

3.6.3.4.2. ცაგერის საეპისკოპოსოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა. /ვ. ლეთოდინი/. ნოვაცია. – 2023. – #31. – გვ. 15-25. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

ნაშრომის მოცემულია საეკლესიო მიწათმფლობელობის, ასევე საეპისკოპოსოს სოციალური ფენების ზოგადი მიმოხილვა, როგორი იყო კონკრეტულად საეპისკოპოსოს შემოსავლები, სოციალური მდგომარეობა, ბეგარა-გადასახადები საუკუნეების მიხედვით. ამის შესახებ მომდევნო თავებში გადმოგცემთ.

ავტ.

6.4. ხელოვნება (ხელოვნება, ხელოვნების ისტორია, საშემსრულებლო ხელოვნება, მუსიკა)

6.4.1. ხელოვნება, ხელოვნების ისტორია

3.6.4.1.1.კადრი, როგორც კოვიდის რეალობაში ურთიერთობის ენა. /ნ. ჭრელაშვილი/. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. – 2022. – #3(525). – გვ. 21-30. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

<https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-3-21-30>

სამყარო, 2019 წლის მიწურულს, მოულოდნელად, ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა. ვირუსთან (კოვიდ-19) თანაარსებობამ საფრთხე შეუქმნა ადამიანის ჯანმრთელობას და მის სულიერ, ფიზიკურ, სიცოცხლისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან კომპონენტს. რთული იქნება სფეროს დასახელება, რომელზეც ვირუსმა დამანგრეველი გავლენა არ იქონია. ამ კუთხით არც არქიტექტურაა გამონაკლისი. კოვიდის ფარგლებში არქიტექტურამ სერიოზული ზიანი მიიღო სხვადასხვა მიმართულებით: განათლება მოექცა ჩაკეტილ სივრცეში, შეწყდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამები, ვიზიტორის გარეშე დარჩა არქიტექტურულად მნიშვნელოვანი ქალაქები და არქიტექტურული ძეგლები. გადაიდო ბიენალები, კონფერენციებმა შეიცვალა ფორმატი – ღია კომუნიკაცია ჩაანაცვლა დისტანციურმა. მკვლევარს, მეცნიერს, მოგზაურს გადაადგილებისთვის ჩაეკეტა ყველა ქვეყნის საზღვარი. სამყაროში, სხვადასხვა სფეროში დაიწყო ახალ რეალობაზე მორგების გეგმის ძიება. არქიტექტურისთვის, როგორც მეცნიერების და ასევე ვიზუალური ხელოვნების კვლევის მეთოდებში, კოვიდთან დამშვიდობებამდე, საჭიროა, გავაძლიეროთ კარგად აპრობირებული, არაერთხელ ნაცადი და კვლევებში გამოყენებული მეთოდოლოგია – კადრი, როგორც ურთიერთობის ენა. წარმოდგენილ თემაში, ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით, ეგვიპტის პირამიდების მაგალითზე, განვიხილეთ, არქიტექტურული კვლევის დროს, ფოტოფიქსაციის როლი. სურ. 11, ლიტ. 1.

ავტ.

3.6.4.1.2. ხელოვნების ნაწარმოების ანალიზი. /დ. გაგნიძე/. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. – 2022. – #1(35) – გვ. 198-202. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

DOI: <https://doi.org/10.52340/tuw.2022.01.35.25>

ხელოვნების ნაწარმოების ანალიზის დროს გასათვალისწინებელია, თუ ხელოვნების რომელ დარგს ეკუთვნის ნაწარმოები. რასაკვირველია, არსებობს საერთო კითხვები, მაგრამ მასთან ერთად ყველა დარგს თავისი სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, განსხვავებულიც გააჩნია. კითხვები კი ასეთი თანმიმდევრობით დაისმება: ა) ნაწარმოების ავტორი და სახელწოდება. მისი შექმნის დრო და ადგილი. რა ჰქვია კომპოზიციას? როგორ შეესატყვისება მისი სათაური სიუჟეტს და სიმბოლიკას? ბ) რამ განაპირობა ნაწარმოების შექმნა და რა ადგილი უკავია მოცემულ ნაწარმოებს მხატვრის თუ მოქანდაკის შემოქმედებაში? იმ ეპოქის მოკლე დახასიათება, როდესაც შეიქმნა ნაწარმოები. გ) ნაწარმოების ზომა (ფერწერულ და გრაფიკულ ნაწარმოებში აღნიშნავენ სურათის სიგრძეს და სიგანეს სიგრძის საზომ ერთეულებში, რაც შეეხება ფორმატს, ის შეიძლება იყოს: ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად დაგრძელებული, კვადრატული, ოვალური, მრგვალი. სტილი და მიმართულება (ბაროკო, როკოკო, ამპირი, იმპრესიონიზმი, კლასიციზმი, მოდერნი და ა.შ.); დ) ნაწარმოების აღწერა. თემა და სიუჟეტი. რა არის გამოსახული ნახატზე? როგორ არიან განლაგებული პერსონაჟები,

საგნები და სიმბოლოები? ნაწარმოების კომპოზიცია: ერთფიგურიანი, ორფიგურიანი, მრავალფიგურიანი, აგებული შეიძლება იყოს დიაგონალზე, ჰორიზონტალზე, ვერტიკალზე, სამკუთხედზე. სად მდებარეობს კომპოზიციის ცენტრი და რით არის გამოყოფილი სურათზე? ე) როგორ არიან საგნები განლაგებული კომპოზიციაში? ნაწარმოების მთავარი გმირები – ისევე, როგორც ლიტერატურულ ნაწარმოებს, ნახატსაც ჰყავს თავისი მთავარი გმირები, ისინი შეიძლება იყვნენ: ადამიანები, ცხოველები, ფრინველები და ა.შ. წონასწორობა კომპოზიციაში – ნიშნავს ურთიერთდამოკიდებულებას გამოსახულების ნაწილებს და მთავარს შორის; ე) ფერი, კოლორიტი და მისი ფუნქცია – ფერწერულ ნაწარმოებში კომპოზიციასთან ერთად ფერი იქცევს ყურადღებას, მხატვრის გემოვნებაზეა დამოკიდებული, როგორ კოლორიტს შეარჩევს მხატვარი; ვ) მოცულობა და სიბრტყე, შუქ-ჩრდილები და რეფლექსი. ზ) კომპოზიციის შემადგენლობა – ესა თუ ის კომპოზიცია შედგება როგორც მთავარი, ასევე მეორეხარისხოვანი წევრებისაგან; თ) რითმი და ჰორიზონტის ხაზი; ი) სტატიკა და დინამიკა. ლიტ. 6.

ავტ.

3.6.4.1.3. შუქჩრდილების დატანის ხერხები პერსპექტივაში ნახატის შექმნის დროს. /ი. კვერნაძე/. გონი. - 2023. - #9. - გვ. 32-35. - ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

პერსპექტივაში ნახატის შექმნის დროს სიღრმის ილუზიის მისაღებად გამოიყენება ჩრდილები და შრაფირება. მათი შესრულების ტექნიკა არ არის რეალური. ის მხოლოდ ინფორმაციას იძლევა წერტილების შედარებითი პოზიციის შესახებ და განასხვავებს მომრგვალებულ კონტურებს მკვეთრი კიდეებისგან. ხაზოვანი პერსპექტივის ნახატები განსხვავდებიან აფინურ დაგეგმილებაზე დაფუძნებული ნახატებისაგან, რომლებშიც გამოსახული სივრცითი ობიექტის წერტილები გეგმილდება ნახატის სიბრტყეზე ურთიერთპარალელური სხივების გასწვრივ. ხაზოვანი პერსპექტივა ეფუძნება რამდენიმე ოპტიკურ პრინციპს. აქ სჯობს დავეყრდნოთ მახის ოპტიკურ ილუზიას. მახის ეფექტი მდგომარეობს შემდეგში: ჩვენ ვხედავთ თეთრი ველის პარალელურ ნათელ ხაზს მიმდებარე ბნელი ველის საზღვარზე და პირიქით. მნიშვნელოვანია ინვერსიული კვადრატების კანონი: მრუდი ზედაპირის ხილული სიკაშკაშის ხარისხი, რომელიც ემორჩილება ლამბერტის კანონს, პროპორციულია სინათლის დაცემის კუთხის კოსინუსისა და არ არის დამოკიდებული იმ კუთხეზე, რომლითაც ის ჩანს. საინტერესოა თითოეულ სინათლის წყაროსთან უკანა შუქის კავშირი. ეს არის ნაკლები ძალის შუქი, რომელიც მისწრაფვის წყაროდან სინათლისკენ. უკანა შუქი დიდად არ იცვლება, მაგრამ სხეული გაცილებით მოცულობითი ხდება უკნიდან განათებისას. სურ. 3, ლიტ. 1.

ავტ.

6.4.3. საშემსრულებლო ხელოვნებათმცოდნეობა (მუსიკათმცოდნეობა, თეატრთმცოდნეობა, დრამატურგია)

3.6.4.3.1. ფ. ლისტის ფანტაზია კვაზი სონატა „დანტეს წაკითხვის შემდეგ“. /თამარ

ლიჩელი/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი). – 2023. – #2 (28). – გვ. 32-51. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

ფერენც ლისტის ფანტაზია კვაზი სონატას „დანტეს წაკითხვის შემდეგ“ დიდი და სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია პიანისტთა რეპერტუარში. ეს ნაწარმოები სხვადასხვა დროს იქცევდა მკვლევრების ყურადღებას, თუმცა მწირია ლიტერატურა, სადაც ნაწარმოები შემსრულებლის რაკურსიდანაა შესწავლილი. სტატიაში განხილულია ლისტის ფანტაზია კვაზი სონატის შექმნის ისტორია, კომპოზიციურ-დრამატურგიული თავისებურებები, ფანტაზიურობისა და ერთნაწილიანი სონატის პრინციპების ურთიერთქმედების ასპექტები. სხვადასხვა პიანისტთა და საკუთარ სამემსრულებლო გამოცდილებაზე დაყრდნობით ავტორი განიხილავს ნაწარმოების ინტერპრეტაციის საკითხებს. სურ. 9, ცხრ. 1, ლიტ. 7.

ავტ.

3.6.4.3.2. ელექტროაკუსტიკური მუსიკის საწყისები მიხეილ შულღიაშვილის

ნაწარმოებებში „ინვერსია“ და „მულტიპლიკაცია“. / ნ. ბარაბაძე/. ქესჟ

მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი). – 2023. – #2 (28). – გვ. 70-85. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში განხილულია ქართული ელექტრონული/ელექტროაკუსტიკური მუსიკის საწყისები მიხეილ შულღიაშვილის ნაწარმოებებში „ინვერსია“ და „მულტიპლიკაცია“. კვლევის მთავარ ობიექტად წარმოდგენილია მიხეილ შულღიაშვილის საკომპოზიტორო მიდგომები, ესთეტიკა და სააზროვნო პრინციპები, მათემატიკისა და ლოგიკის როლი მის შემოქმედებაში, სწრაფვა კონსტრუქციულობისკენ. სურ. 5, სქემა 2, ლიტ. 13.

ავტ.

3.6.4.3.3. ოთარ თაქთაქიშვილის ვოკალური ციკლი „ნიკოლოზ ბარათაშვილის შვიდი

ლექსი“. / ე. გოგოლიძე/. ქესჟ მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია (ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალი). – 2023. – #2 (28). – გვ. 17-31. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ., რუს.

სტატიაში წარმოდგენილია ოთარ თაქთაქიშვილის ვოკალური ციკლის „ნიკოლოზ ბარათაშვილის შვიდი ლექსის“ კომპლექსური ანალიზი. მისი კომპოზიციურ-შინაარსობრივი თავისებურებები, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ტექსტისა და მუსიკის ინტერპრეტაციის, ვოკალისა და საფორტეპიანო თანხლების ურთიერთქმედების სპეციფიკა. ყურადღება გამახვილებულია კონცერტმაისტერის სამემსრულებლო ასპექტებზე. სქემა 7, ლიტ. 19.

ავტ.

3.6.4.3.4. უცხოელი დოკუმენტალისტების კრიტიკული თვალთ დანახული

საქართველო. /ნ. კანკია/. ჟურნალი სპექტრი. – 2022. – #6. – გვ. 270-276. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატია ეხება საქართველოს შესახებ უცხოელების მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებს. მასში განხილულია სხვადასხვა თემაზე შექმნილი ფილმები. ამ სტატიაში, პირველ რიგში, აქცენტი გაკეთდა BBC-ის ფილმზე, რომელშიც გაანალიზებულია რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი - კერძოდ, 2008 წლის აგვისტოს ომი. ეს ფილმი სხვადასხვა ინტერვიუებით, ვიდეო და ფოტო მასალით დამაჯერებელს ხდის მასში აღწერილ ფაქტებს. საინტერესო ფილმებს შეიძლება განეკუთვნებოდეს ისეთი ფილმებიც, რომლებიც ადამიანთა აყოველთაოდ ცხოვრებას ეხება და ასეთად სტატიაში მიჩნეულია ფრანგული დოკუმენტური ფილმი „საქართველო, ჭიათურა“, რომელიც ამ ქალაქის მოსახლეობის შრომას, პრობლემებს, ტრადიციებს ასახავს. ლიტ. 3. ავტ.

6.4.4. ფოლკლორისტიკა

3.6.4.4.1. შელოცვების „სოფლურთა თქმა“ და მასთან დაკავშირებული ენობრივ-ლექსიკური თავისებურებანი. /რ. ხაჭაპურიძე/. ნოვაცია. – 2023. – #31. – გვ. 7-14. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

შელოცვები ადამიანის მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. საინტერესოა არა მარტო შინაარსით (როგორც ხალხური მეტყველების ნიმუში), არამედ გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისითაც. მასში არის ფართო ინტერესის მქონე სიტყვების ერთეულები.

არსენ იყალთოელის „დიდი სჯულის სამართლის“ თარგმანში XI საუკუნის ხალხურ ენად მიჩნეულია სიტყვა „სოფელი“ („სოფელი“ ნიშნავს ხალხურს, მდაბიურს).

ლოცვის ტექსტი მთლიანად ჩავიწერე (მკაცრად ვიცავდი მომხსენებლის სტილს). ავხსენი დიალექტური ლექსიკის ენობრივი თავისებურებები.

ლექსიკონი შევადგინე გამოყენებული ლექსიკური ერთეულების მიხედვით, ავხსენი კონტექსტში. თითოეული ლექსიკური ერთეული შევადარე ორი სხვადასხვა ტიპის ლექსიკონს. შემომაქვს შელოცვები და მასთან დაკავშირებული ლექსიკურ-ენობრივი მახასიათებლები. ლიტ. 8.

ავტ.

6.4.5. კვლევები კინოხელოვნების, რადიოსა და ტელევიზიის სფეროში

3.6.4.5.1. აუდიოვიზუალური კულტურის ფორმირება და მისი ტექნოლოგიური მიღწევები. /თ. ჭანტურია/. ჟურნალი სპექტრი. – 2022. – #6. – გვ. 240-254. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

სტატია ეხება აუდიოვიზუალური კულტურის განვითარებას და მის ტექნოლოგიურ მიღწევებს. იმისთვის, რომ გაანალიზებული იყოს აუდიოვიზუალური შემოქმედება, მისი სპეციფიკა, ტიპები, ჟანრები, ეკრანული სახეები, შესაძლებლობები, მისია, ფუნქციები, საზოგადოებასთან ურთიერთქმედება, ძალაუფლების მასშტაბი,

ტრანსფორმაცია, აუცილებელია, აუდიოვიზუალური კულტურის გენეზისის და მისი ტექნოლოგიური განვითარების კანონების განხილვა. განხილვის შედეგად ირკვევა, რომ ეკრანი არის სამყაროს სახე, რომელიც აყალიბებს საკუთარ კულტურას, ქმნის ახალ იდეებს ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ, თავისი ინტერპრეტაციით და კორექტირებით ადგილის და დროის მიხედვით, როგორც ერთგვარი პროდუქტიული ფენომენი. თანამედროვე გარემოში ადამიანის არსებობა დამოკიდებული ხდება ეკრანზე. რაც შეეხება აუდიოვიზუალურ ტექნოლოგიას, არ არსებობს სადამიანის ინდივიდუალური და სოციალური ცხოვრების სფერო, რომელშიც ის არ თამაშობდეს მნიშვნელოვან როლს. შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ სამყაროში აუდიოვიზუალური ტექნოლოგია ადამიანის პროდუქტიული ძალების და კულტურული განვითარების ნაწილს წარმოადგენს. ლიტ. 22.

ავტ.

6.5. სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებები

3.6.5.1. მედიაგანათლება თუ მედიაწიგნიერება - ტერმინოლოგიური განმარტებისათვის. /მ. თუნგია/. ჟურნალი სპექტრი. – 2022. – #6. – გვ. 255-261. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

21 საუკუნის დასაწყისში მომხდარმა სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა რევოლუციამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია მედიის სფეროშიც. ტრანსფორმირებული მედია პეიზაჟის პირობებში და, რაც მთავარია, დროის საკმაოდ მოკლე პერიოდის გათვალისწინებით, მედია მკვლევარებს გაუჭირდათ გარკვეული პროცესებისა და მოვლენების ადეკვატურად შეფასება, ასევე მოუწიათ უკვე დამკვიდრებული ტერმინებისათვის გადახედვა ახალი ციფრული რეალობის გათვალისწინებით. რაც შეეხება მედია საგანმანათლებლო მოძრაობას, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, ქაოსური მდგომარეობაა უკვე თითქმის ოთხი ათეული წელია გრძელდება. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ დღემდე ღიად რჩება ამ მეტად მნიშვნელოვანი სფეროსათვის ერთიანი სახელწოდების საკითხი. დღემდე მედია მკვლევარებს შორის, ამ თვალსაზრისით, აზრთა შეუთანხმებლობაა. თუმცა აპრობლემას მხოლოდ სხვადასხვა სახელი კი არა, შედარებით აღიარებული ტერმინებისადმი განსხვავებული მიდგომა განაპირობებს. ლიტ. 6.

ავტ.

3.6.5.3. კულტურული ცვლილებები გლობალიზაციის ეპოქაში და მისი მნიშვნელობა კულტურათაშორის კომუნიკაციაში. /რ. მიქაუტაძე/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 135-140. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

თანამედროვე გლობალურმა ფინანსურმა და სასაქონლო ბაზრებმა, მედიამ და მიგრაციულმა ნაკადებმა გამოიწვია კულტურის სწრაფი ცვლილება, რაც გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნებსა და კულტურებს შორის პირდაპირი კონტაქტების სწრაფი ზრდით,

კულტურული ფასეულობების სესხებით და ხალხის ერთი კულტურიდან მეორეში მიგრაციით. კულტურის გლობალიზაციის ამ პროცესში დევს გარკვეული კონფლიქტური პოტენციალი, თუმცა გლობალური პროცესები არ იწვევენ ერთიანი მსოფლიო კულტურის ჩამოყალიბებას. გლობალიზაცია გულისხმობს ერთი კულტურის ჩვეულებებისა და მეორეს ტრადიციების ნებაყოფლობით დაუფლებას, მათ საკუთარ ნიადაგზე გადმოტანას და ამ გზით საკუთარი კულტურის გამდიდრებას. ლიტ. 5.

ავტ.

3.6.5.4. მასწავლებლის როლი საკლასო ოთახში ტექნოლოგიების ინტეგრირებაში. /ე. ვაწაძე /. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #27. – გვ. 145-149. – ქართ., რეზ.: ქართ., ინგლ.

დღეს ტექნოლოგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უამრავი ადამიანის სწავლის პროცესზე და გარკვეული სარგებლობაც მოაქვს მათთვის. ჩემი სტატიის მიზანია ვაჩვენო, რომ თავისთავად ტექნოლოგიის არსებობა არაფერს ნიშნავს წარმატებული სასწავლო პროცესის წარმართვისათვის და შემსწავლელისათვის ტრანსფერული უნარების განვითარების თვალსაზრისით. არსებობს რამოდენიმე ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იყოს გამოყენებული ტექნოლოგიები საკლასო ოთახში და რამდენად შესაძლებელია, რომ მან დადებითი გავლენა მოახდინოს მოსწავლის მოტივაციაზე. მათ შორის არის ციფრული ამბის მოყოლა, ანიმოტოს და კალტურას გამოყენებით, ასევე ისეთი ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორიც არის გავრცობილი და ვირტუალური რეალობა და სწავლის მართვის სისტემა, ონლაინ აპლიკაციებიკაპუთი, ქვიზლეთი, მენტიმეტრი, პადლეტი და სხვა. თუმცა, ტექნოლოგიების წარმატებული, მამოტივირებელი გამოყენება დამოკიდებულია მასწავლებლის და მოსწავლის ცოდნაზე, თუ როგორ განახორციელონ ეს შესაძლებლობები. სტატიაში გამოყენებულია არწერილობითი და ხარისხობრივი კვლევა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ ტექნოლოგიების წარმატებულად გამოყენებისათვის მასწავლებელი უნდა იყოს შემსწავლელი, ლიდერი, მოქალაქე, თანამშრომელი, შემოქმედი, ფასილიტატორი და ანალიტიკოსი, ხოლო მოსწავლეს ჭირდება ისეთი უნარების ფლობა როგორიცაა: სწავლის საჭიროების იდენტიფიცირება, კონკრეტული, გაზომვადი, მიღწევადი, რელევანტური და დროული მიზნის დასახვა, დაგეგმვის შესწავლა, წყაროს მოპოვება, პრაქტიკა, მონიტორინგის პროცესი, შეფასება და გადამეორება(რეინდერსი, 2010). ამრიგად, მასწავლებლის და მოსწავლის ხელშეწყობა მოტივაციისა და სწავლის პროცესში ტექნოლოგიების პოტენციურად გამოყენების მთავარი გასაღებია. ლიტ. 4.

ავტ.

3.6.5.5. განათლება და ანტიკური ლირიკა. /ვ. წერეთელი/. ჟურნალი ნოვაცია. – 2023. – #31. – გვ. 41-47. – ქართ.; რეზ.: ქართ., რუს., ინგლ.

ათენური განათლების მიზანი იყო პიროვნების ყოვლისმომცველი განვითარება – როგორც ფიზიკური, ასევე მორალური, გონებრივი და ესთეტიკური თვალსაზრისით. არსებითად, საუბარი იყო პიროვნების ყოვლისმომცველ ჩამოყალიბებაზე, პირველ რიგში, განვითარებული ინტელექტითა და სხეულის კულტურით. უძველესი ლირიკა წარმოიშვა პოეტი ინდივიდის მოსვლასთან ერთად, ე.ი. როდესაც ადამიანმა გააცნობიერა თავისი დამოუკიდებლობა, გამოეყო რა ბუნებას და კოლექტივს. ტერმინმა “ლირიკა” შეცვალა ადრინდელი – “მელიკა” (“მელოდან” – მელოდია). პლატონის აზრით, მელოსი შედგება სამი ელემენტისგან – სიტყვებისგან, ჰარმონიისა და რიტმისგან. ძველებს მელოსი ესმოდათ, როგორც მუსიკის, პოეზიისა და ორკესტრის (ცეკვის ხელოვნება) ერთობლიობა. სიტყვა “ლირიკა” ნიშნავს მუსიკალური ინსტრუმენტის – ლირას, ციტარას ან ფლეიტის თანხლებას. კლასიკური პერიოდის ლირიკა ჩვენამდე მოვიდა ანტიკური ავტორების მიერ მოწოდებული ფრაგმენტების ან ციტატების სახით. ლიტ. 8.

ავტ.

3.6.5.6. სტუმრის წარდგენის, მიმართვისა და სამადლობელი ფორმულების ზოგადი თავისებურებები ამერიკულ და ქართულ გასართობ თოქშოუებში. /ნ. იობიშვილი/. ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 29-37. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.

ნაშრომში განხილულია სტუმრის წარდგენის, მიმართვისა და სამადლობელი ფორმულების ზოგადი თავისებურებები ამერიკულ და ქართულ გასართობ თოქშოუებში. კვლევა ეყრდნობა შეპირისპირებით-აღწერით მეთოდს. აღნიშნული თემა, საკმაოდ აქტუალურია, რადგანადაც დღევანდელ სატელევიზიო სივრცეში თოქშოუებს, კერძოდ კი, გასართობ თოქშოუებს ბევრი მაცურებელი ჰყავს. ამდენად, თანამედროვე მედიადისკურსში სატელევიზიო საუბრებს, თოქშოუს დიდი ადგილი უჭირავს. იგი საზოგადოებრივი აზრის შექმნასა და ჩამოყალიბებაზე დიდ ზეგავლენას ახდენს. რეციპიენტს მიეწოდება ამა თუ იმ კულტურაში მისაღები, მისაბადი და სავარაუდო აზროვნების სქემები. გადაცემის ეს ფორმა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტელეეკრანებთან უამრავ ადამიანს იზიდავს, ამიტომ საქართველოშიც ტელევიზიის მესვეურები სულ უფრო მზარდ ინტერესს იჩენენ ამ ჟანრისადმი. ზეპირი კომუნიკაცია, დიალოგი, ინტერვიუ, მიმდინარეობს კონკრეტულ სიტუაციაში. ბუნებრივი საუბრები სულაც არ არის უინტერესო, პირიქით სწორედ ყოველდღიურ დიალოგში მქლავნდება პირველად ენის განვითარების ტენდენციები, მისი დინამიკური და ექსპრესიული ბუნება, ყოფითი მხატვრულობა, სოციალურ-გეოგრაფიული ნაირფეროვნება. საუბარი, დიალოგური მეტყველება არის „ენა მოქმედებაში“, „ცოცხალ სიტუაციებში“, თავისი განუმეორებლობითა და ინდივიდუალიზმით [ზექალაშვილი 2012:13]. თოქშოუ ამერიკული და ევროპული სატელევიზიო სივრცის განუყოფელი მახასიათებელია. რა თქმა უნდა არც ქართული სატელევიზიო სივრცეა გამონაკლისი ამ კუთხით და ქართველი ტელემაცურებელიც განებივრებულია სხვადასხვა ტიპის თოქშოუებით. გასართობ თოქშოუებში ვხვდებით ბუნებრივ საუბრებს, ზოგიერთში არის თამაშები და სხვადასხვა აქტივობები, საუბრის სტილი უფრო ჰგავს ინტერვიუს. მასპინძელმა მოწვეულ სტუმარს უნდა დაუსვას კითხვები და გააგრძელოს საუბარი. გასართობი

თოქშოუები ძირითადად ღამის ეთერში გადის, რადგან ისინი უმეტესად გათვლილია განტვირთვისათვის. ასე რომ, ისინი ადვილად ემატება ჩვენს რუტინას. აქ ჩვენ შეგვიძლია მოვუსმინოთ უამრავი განსხვავებული ადამიანის საუბარს. მათი საუბრის მანერა ყოველთვის განსხვავებულია. ამერიკული და ქართული გასართობი თოქშოუების ანალიზის საფუძველზე გვსურს, დავადგინოთ, თუ რა ზოგადი სახის თავისებურებები იკვეთება სტუმრის წარდგენის, მიმართვისა და სამადლობელი ფორმულების კუთხით ამერიკულ და ქართულ გასართობ თოქშოუებში. ლიტ. 13.

ავტ.

**3.6.5.7. სილამაზის კონცეპტი როგორც ტელეონომიური რეგულატივი. /შ. კუპატაძე/.
ჟურნალი ენა და კულტურა. – 2022. – #28. – გვ. 38-42. – ქართ.; რეზ.: ქართ., ინგლ.**

სილამაზე ჩვენს კვლევაში მოიაზრება, როგორც სენსორულად, მხედველობით აღქმადი, კულტურულად მარკირებული შეფასებითი კომპონენტის მატარებელი მოვლენა (ობიექტი), რაც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა „სილამაზის“ კონცეპტის ლინგვოკულტურული სტატუსის შესახებ. კონცეპტი „Beauty / სილამაზე“ განისაზღვრება ჩვენს მიერ, როგორც ლინგვოკულტურული ტელეონომიური უნივერსალური კონცეპტირეგულატივი, რომელიც ახდენს ერთ-ერთი უმაღლესი ზოგადსაკაცობრიო სულიერი ფასეულობის რეპრეზენტაციას. იმ დებულებიდან გამომდინარე, რომ ცნებები ექვემდებარება გააზრებას, ხოლო კონცეპტები - განცდას, გამომდინარეობს, რომ კულტურის ვერბალიზებული კონცეპტი „Beauty / სილამაზე“ მოიცავს სამ საბაზო მდგენელს: ცნებითს, ხატოვნებითსა და ფასეულობრივს. ლიტ. 12.

ავტ.

ავტორთა საძიებელი

აბაშიძე ზ. 3.6.1.1.6.

აბზიანიძე ლ. 3.6.2.1.7.

აბულაძე ნ. 3.6.2.3.5.

აბუსელიძე ჯ. 3.6.1.1.5.; 3.6.1.1.8.

ამაღლობელი ხ. 3.6.3.1.1.

აზმაიფარაშვილი ლ. 3.6.2.6.1.

არველაძე ე. 3.6.2.6.10.

ახვლედიანი ც. 3.6.2.2.6.; 3.6.2.2.7.

ბანძელაძე მ. 3.6.3.1.2.

ბარაბაძე ნ. 3.6.4.3.2.

ბასილაძე გ. 3.6.1.1.3.

ბირკაია ნ. 3.6.2.4.3.
ბურჩაკ-აბრამოვიჩი მ. 3.6.2.2.4.
გაგნიძე დ. 3.6.4.1.2.
გალობერი ქ. 3.6.2.6.3.
გეგეშიძე ე. 3.6.3.1.2.
გელაშვილი თ. 3.6.2.2.3.
გელდიაშვილი ნ. 3.6.2.1.1.
გიორგაძე ნ. 3.6.2.4.9.; 3.6.2.4.11.
გობიანია გ. 3.6.2.6.7.
გობიანია მ. 3.6.2.6.7.
გოგიაშვილი ნ. 3.6.2.5.3.
გოგილაშვილი ა. 3.6.2.4.13.
გოგოლიძე ე. 3.6.4.3.3.
გოტიაშვილი ე. 3.6.2.6.12.
გრიგორიანი ს. 3.6.2.4.12.
დემეტრაძე ნ. 3.6.2.6.5.
დვალიშვილი ს. 3.6.2.6.16.
დიასამიძე ე. 3.6.1.1.1.
ვარდოშვილი ე. 3.6.2.3.1.
ვაწაძე ე. 3.6.2.6.17.; 3.6.5.4.
იობიშვილი ნ. 3.6.5.6.
კაკაურიძე ნ. 3.6.2.5.1.
კალანდაძე ნ. 3.6.1.2.1.
კანკია ნ. 3.6.4.3.4.
კვერნაძე ი. 3.6.4.1.3.
კილანავა ე. 3.6.2.6.4.
კობერიძე კ. 3.6.1.2.2.
კოპალიანი ნ. 3.6.2.6.12.
კოჭლოშვილი ნ. 3.6.2.4.10.
კუბლაშვილი მ. 3.6.1.2.3.
კუპატაძე შ. 3.6.5.7.
კუცია ნ. 3.6.2.2.12.
ლაზვიაშვილი შ. 3.6.2.1.6.

ლეთოდიანი ვ. 3.6.3.4.2.
ლიჩელი თ. 3.6.4.3.1.
ზოსიძე ნ. 3.6.1.1.1.
თვალაძე თ. 3.6.2.6.11.
თოფურია ე. 3.6.2.2.5.
თუნგია მ. 3.6.5.1.
მაღაყმაძე რ. 3.6.1.1.1.
მალაფერიძე ნ. 3.6.2.3.6.
მახარაძე ზ. 3.6.1.2.1.
მახაროზლიძე თ. 3.6.2.2.1.; 3.6.2.2.2.
მახაროზლიძე თ. 3.6.2.6.6.
მეტრეველი მ. 3.6.2.6.13.
მიქაუტაძე რ. 3.6.5.3.
მიქაძე მ. 3.6.2.4.1.
მოდეზაძე ც. 3.6.2.2.8.
მჟავანაძე მ. 3.6.2.4.4.
მჟავია ს. 3.6.2.6.15.
მუჯირი ს. 3.6.2.4.6.
ნოქარაძე თ. 3.6.2.2.9.
ნოზაძე ლ. 3.6.2.5.1.
პვლიაშვილი ე. 3.6.3.4.1.
პატარიძე მ. 3.6.1.1.4.
რატიანი ნ. 3.6.2.4.7.
რუსაძე ი. 3.6.2.6.8.
სანიკიძე ი. 3.6.2.4.5.
სახვაძე ა. 3.6.1.2.3.
სვანიძე რ. 3.6.2.6.2.
სიმაშვილი თ. 3.6.1.1.7.
სიმონიანი ნ. 3.6.2.2.11.
ჭაფოძე კ. 3.6.1.1.2.
ქარდავა მ. 3.6.2.3.4.
ქობალია ნ. 3.6.1.2.3.
ღარიბაშვილი მ. 3.6.2.1.6.

შავგულიძე ს. 3.6.2.2.9.
შავლაყაძე ქ. 3.6.1.2.3.
შელია მ. 3.6.2.6.3.
შენგელია ვ. 3.6.2.2.10.
ფილაშვილი ე. 3.6.2.1.2.
ფრუიძე ნ. 3.6.2.4.2.
ცეცხლაძე ნ. 3.6.2.1.3.
ცეცხლაძე ს. 3.6.2.4.8.
ცხვედიანი ი. 3.6.2.5.1.
ყიფიანი ს. 3.6.2.6.14.
ჩიქოზავა გ. 3.6.2.3.2.
ჩიქოვანი მ. 3.6.2.6.9.
ჩქეანავა მ. 3.6.2.6.3.
ძამუკაშვილი ნ. 3.6.2.1.4.
წერეთელი ვ. 3.6.5.5.
წიგნაძე შ. 3.6.2.1.5.
წურწუმია კ. 3.6.2.5.2.
ჭანტურია თ. 3.6.4.5.1.
ჭითანავა ლ. 3.6.2.3.3.
ჭრელაშვილი ნ. 3.6.4.1.1.
ხაჭაპურიძე რ. 3.6.4.4.1.
ჯულაყიძე ე. 3.6.2.1.8.

საგნობრივი საძიებელი